# დროშა

№ 1 იანვარი 1957

619/1957/2
619/2
ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა



აჭარელი სტუმრების ჯგუფი მწერალთა კავშირში თბილისელ თანამოკალმეებთან.



რუსთაველის თეატრის „ოიდიპოსი“ — აკაკი [illegible]ორავა მეგობრულად ესაუბრება ოიდიპოსის როლის შე[illegible]რულებელს ბათუმის თეატრში ი. კობალაძეს.







პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# დროშა

№ 1 (66) იანვარი 1957 წელი

გამოცემის VI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი


ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის იანვარში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში ჩატარდა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

დეკადამ გვიჩვენა აჭარის მშრომელთა უდიდესი მიღწევები კულტურული მშენებლობის ფრონტზე. მრავალრიცხოვანი მაყურებელი აღტაცებით ხვდებოდა აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლებსა და ბათუმის თეატრის სპექტაკლებს.

აჭარაში მომუშავე მწერლები შეხვდნენ მკითხველებს თბილისისა და რუსთავის თეატრებსა და კლუბებში. მწერალთა კავშირის სექციებში მიმდინარეობდა სტუმრების ნაწარმოებების გარჩევა.

დეკადამ დიდი წარმატებით ჩაიარა.



7552









Ოცდახუთი წლის წინათ, სოფელ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ბაზაზე შეიქმნა ტექნიკუმი. მაშინ აქ ორმოცდათოთხმეტი მოსწავლე ირიცხებოდა. ტექნიკუმის შენობა ნახევრადაც კი არ იყო დამთავრებული, მარტო პირველი სართულის ორ ოთახს ჰქონდა სახურავი. ეს იყო და ეს. მერე დრომ თავისი მოიტანა, დრომ კი არა, მონდომებამ და ენთუზიაზმმა. თანდათანობით აშენდა, გაიზარდა, გამრავლდა და განმტკიცდა ტექნიკუმი. დღეს აქ საქართველოს ორმოცდახუთი რაიონიდან ჩამოსული ხუთასზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება სასოფლო-სამეურნეო განათლებას. ახლა, ნაცვლად ერთისა, სამი განყოფილება არსებობს სასწავლებელში: მეხილეობა-მებოსტნეობის, აგრონომიული და საბუღალტრო-ეკონომიური. თავისი არსებობის მანძილზე ტექნიკუმმა ათასამდე უმცროსი აგრონომი და ხუთასამდე ბუღალტერი მოამზადა. აქ აღზრდილები წარმატებით შრომობენ ჩვენი ქვეყნის მინდვრებზე, ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ეწევიან სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას.

უკვე სამი წელიწადია, რაც ტექნიკუმი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე „საქართველოს სსრ-ს“, „ფიზკულტურისა და სპორტის“ და „მეყვავილეობის“ პავილიონებში ფართო ჩვენებით მონაწილეობს და წარმატებითაც სარგებლობს.

აი, ასეთია მოკლედ სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ისტორია. რით მიაღწია ყოველივე ამას ტექნიკუმმა? რაში მდგომარეობს მისი მიღწევათა „საიდუმლოებანი“?

სწორედ ამის შესახებ მოგითხრობთ ეს წერილი.

## „ტექნიკუმის მატიანე“

ტექნიკუმში ინახება უბრალო, შინდისფერ ყდაში ჩასმული დავთარი. თამამად შეიძლება მას ტექნიკუმის „მატიანე“ ეწოდოს. ათვალიერებთ მის გაყვითლებულ ფურცლებს და თვალწინ წარმოგიდგებათ ის გზა, რომელიც სასწავლებელმა დაარსებიდან დღემდე გაიარა. დავთარში შეხვდებით ყველას გვარსა და სახელს, ვინც კი დაამთავრა ეს ტექნიკუმი. აქვე შეიტყობთ, თუ სად გაანაწილეს დამთავრების შემდეგ ესა თუ ის მოსწავლე, განაგრძო თუ არა სწავლა, სად და რა თანამდებობაზე მუშაობს ამჟამად.

აი, ზოგიერთი მათგანი: 1933 წელი. ვ. გ. კოპალეიშვილი — დიდი ჯიხაიშის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, მ. კ. ლეკვეიშვილი — სამტრედიის მტს-ის აგრონომი; ს. ი. სანაძე — უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაუბრუნდა ტექნიკუმს მასწავლებლად.

მომდევნო წლებში სასწავლებელდამთავრებულთა შორის არიან: ს. მ. კახაძე — აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილე; ა. ი. ქუთათელაძე — ამჟამად ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგე; დ. ხ. რომელაშვილი — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის პირველი მოადგილე.

დავთარში სამამულო ომის მრისხანე წლებიც იგრძნობა. არის ისეთი სასწავლო წელი, როდესაც გამოშვებულთა სიაში მარტო ქალებს ვხვდებით.

გულდაწყვეტილი და სინანულის გრძნობით კითხულობთ გვარებს, რომლის გასწვრივაც წვრილი, შავი ასოებით სწერია — „დაიღუპა დიდ სამამულო ომში“. მერე და მერე ისევ მრავლდება მოსწავლეთა რიცხვი; 1954 წელი. დ. მ. მაისურაძე — სოციალისტური შრომის გმირი, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, ე. ი. კახაძე — ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

1955 წელს დაუმთავრებიათ ტექნიკუმი ფრიადებზე უ. გავაშელიშვილს და ჰ. თადუმაძეს, რომლებიც სწავლას განაგრძობენ მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში.

ვინ მოსთვლის კიდევ, რამდენს გაუტარებია აქ ტკბილად მოსაგონარი ოთხი წელიწადი. გაუტარებია, მაგრამ არ დავიწყებია; არ დავიწყებია იმიტომ რომ აქ სწავლასთან ერთად მრავალფეროვნად და შინაარსიანად ცხოვრობდნენ, ჯანსაღად და ჭეშმარიტად ესმოდათ მეგობრობისა და კოლექტიურობის გრძნობა.

არ გავა დღე, რომ ტექნიკუმის სახელზე არ მოვიდეს კურსდამთავრებულის წერილი, რომელშიც იგი მადლობას უხდის აღმზრდელებს, უამბობს თავის წარმატებებისა თუ მარცხის შესახებ. წელიწადში ერთხელ კი კურსდამთავრებულთა სხვადასხვა თაობა იკრიბება ტექნიკუმში და პირადად ხვდებიან ერთმანეთს. რა სასიამოვნო და თბილია ეს შეხვედრა. ისინი ყვებიან თავიანთი ცხოვრების შესახებ, იგონებენ წარსულ დღეებს, თანატოლებს, ღიმილმორეულები აღიარებენ ტექნიკუმში ჩადენილ „ცოდვებს“.

ასეა აქ ტრადიციულად, ასე გრძელდება დღემდე.

## ტრადიცია არ ირღვევა

ერთი შეხედვით, ზოგს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, როდესაც ტექნიკუმელთა შორის „ასაკგადაცილებულ“ მოსწავლეებს შეხვდება. გასაკვირი არაფერია. დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმმა თავის აღმზრდელებით შორს გაითქვა სახელი. ამიტომ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან მოდიან ადამიანები, რომლებმაც თავდადებულად იშრომეს ჩვენი ქვეყნის მინდვრებზე და ახლა ჩამოვიდნენ, რათა შეივსონ ცოდნა. აქ არიან სოფლის მეურნეობის ნოვატორები, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულები; აქვე არიან ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებმაც ახლახან დასტოვეს სკოლის მერხები.

მაგრამ ასაკი აქ არავითარ როლს არ თამაშობს. ყველა ისინი ერთ მთლიან საერთო კოლექტივს წარმოადგენენ. განა ამის დამადასტურებელი არ არის ის მაღალი აკადემიური მოსწრება — 99,9% — რომლითაც ტექნიკუმი სამართლიანად ამაყობს.

ტექნიკუმის განკარგულებაშია ნათელი, მდიდარი ლაბორატორიები და კაბინეტები. ოცდაათ ჰექტარზე გადაჭიმულა სასწავლო-საცდელი მეურნეობა. მომავალი სპეციალისტები აქ ეცნობიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, ახდენენ ცდებს ახალი ჯიშების გამოსაყვანად.

ერთი კარგი თვისება აქვს ტექნიკუმს. კლასის ხელმძღვანელი პირველ კურსიდან უკანასკნელამდე მიჰყვება თავის ჯგუფს. ეს საშუალებას აძლევს პედაგოგს უკეთ გაეცნოს თვითეულ მოსწავლეს, შეისწავლოს მისი უარყოფითი თუ დადებითი თვისება. როდესაც ტექნიკუმელები ამთავრებენ სწავლას და დიპლომით მიემგზავრებიან სხვადასხვა რაიონებში სამუშაოდ, კლასის ხელმძღვანელი მათ რამდენიმე წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებს, არ წყვეტს მათთან კავშირს.

ძირითად ყურადღებას სასწავლებელში პრაქტიკულ მუშაობას აქცევენ. ახალგაზრდული, მოუღლელი ენერგიით აღსავსენი მოეფინებიან ხოლმე ტექნიკუმელები ხეხილის ბაღებს, ჩაის პლანტაციებს, სიმინდის ყანებს, ვენახებს. ხნავენ, თესავენ, უვლიან და შემოდგომაზე კმაყოფილებით იმკიან დათესილს. მოსავალი კი ცოტა როდია: 1955 წელს ტექნიკუმმა მიიღო 72 ცენტნერი სიმინდი, 355 ცენტნერი პამიდორი, 385 ცენტნერი კომბოსტო, 95 ცენტნერი ყურძენი. 1956 წელს კი მოსავალი გაცილებით მეტი იყო.




სურათზე: მასწავლებელთა ოთხი თაობა (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. ვაშაკიძე, ლ. დარსაველიძე, რ. პატარიძე, ხ. ვაშაკიძე.

ასეთი წარმატებით ტექნიკუმის მოსწავლეები მარტო თავის ნაკვეთზე როდი მუშაობენ. ისინი დიდი მონდომებით ეხმარებიან, აგრეთვე, საშეფო კოლმეურნეობებს. 1956 წლის დამლევს მოსწავლეთა ძალებით სტალინის, შრომის, ოქტომბრის და ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობებში დარგეს 50.000 ძირი კომბოსტო, ამოიღეს 20.000 ძირი ჩითილი, მოკრიფეს 3.000 კგ. ჩაი, 80 ჰექტარზე მოტეხეს სიმინდი და ჩაატარეს კიდევ მრავალი საჭირო სამუშაო.

მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჯიხაიშელებმა 30 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გათოხნეს და 30 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარეს სახელმწიფოს. მეურნეობამ მოსწავლეები ფასიანი საჩუქრებითა და გარდამავალი დროშით დააჯილდოვა. ამავე რაიონის ქვედა ბახვის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ მოსწავლეთა ერთ ჯგუფს კარგი მუშაობისათვის რადიომიმღები „ბალტიკა“ უსახსოვრა.

როდესაც ჩვენმა პარტიამ ახალგაზრდობას ყამირებისაკენ მოუწოდა მოსავლის ასაღებად, დირექციაში უამრავი განცხადება შემოვიდა; აქედან მხოლოდ საუკეთესოები გაემგზავრნენ შორეულ რაიონებში. არც იქ შეირცხვინეს თავი ტექნიკუმელებმა: თავდადებულად იშრომეს და ექვსი მოსწავლიდან ორმა — გურამ მაღლაკელიძემ და გიორგი კიწმარიშვილმა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარჩინების ნიშნებიც კი დაიმსახურა.

შინაარსიანი და ნაყოფიერია ტექნიკუმში კლასგარეშე მუშაობა.

ტექნიკუმის ლიტერატურული წრე (ხელმძღვანელი ვ. ბიბილეიშვილი), უშვებს ხელნაწერ ჟურნალ „ბაღნარს“. აქ შეხვდებით მოსწავლეთა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, წერილებს.

დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს ტექნიკუმში კედლის გაზეთი „ახალი კადრები“, რომელსაც ოცი წლის ისტორია აქვს. გაზეთი გამოდის რეგულარულად — თვეში სამჯერ. ყველა ნომერი ინახება. გაზეთის ფურცლებზე ფართოდ შუქდება სასწავლებლის ყველა მხარე. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მოსწავლეები, ტექნიკუმდამთავრებულები.

ტექნიკუმის ბიბლიოთეკა თხუთმეტი ათას წიგნს ითვლის (ნაწილი აქედან სასწავლებელმა ჯილდოდ მიიღო, 1955 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობისათვის). მართალია, ბიბლიოთეკა სივიწროვეს განიცდის, მაგრამ სულ მალე ხარაჩოები ჩამოეხსნება ტექნიკუმის გვერდით წამოჭიმულ შენობას. ეს იქნება კლუბი ხუთასადგილიანი დარბაზით, სამკითხველოთი, ოთახებით, რომლებშიც წრეობრივი მუშაობა ჩატარდება.

დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკუმში ექსკურსიებს. ჩვეულებრივად ექს-

კურსიების ძირითადი ობიექტებია: ზუგდიდი, სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თბილისი, სამგორი, რუსთავი. სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტები ეცნობიან მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომით ორგანიზაციას, ფაბრიკებისა და ქარხნების მუშაობას, ათვალიერებენ ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს. უფროსკურსელები კი მიემგზავრებიან მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მარტო 1956 წელს მოსკოვში 155 მოსწავლე გაემგზავრა.

ყველაფერი ეს მოსწავლეებს აძლევს ფართო განვითარებას, ხელს უწყობს გაკვეთილზე მიღებულ ცოდნის გაღრმავებას, მატებს სიხალისესა და ენერგიას.

## მეორე სპეციალობა

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში. ეს არის სპორტი. იგი განუყოფელი ნაწილია მოსწავლეთა მრავალფეროვანი ცხოვრებისა. საკმარისია მოხვდეთ ტექნიკუმის სპორტულ ბაზებზე, რომ ეს მთელი სიცხადით დაინახოთ. მწვანე, ხასხასა ბალახით დაფარული ფეხბურთის მოედანი, გულდასმით მოვლილი მძლეოსნური სექტორები, სარბენი ბილიკები, კალათბურთისა და ფრენბურთის სწორი, კოხტა მოედნები. სტადიონს ამშვენებს ნაცრისფერი ორსართულიანი შენობა, შხაპით, გასახდელებით, სადემონსტრაციო დაფით. სტადიონს გარს არტყია მარადმწვანე, სამოთხ მეტრიანი ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე; აქვე, უზარმაზარი ჭადრის ძირში, მოწყობილია საჭიდაო მოედანი და ძალოსანთა ბოგირი. ცოტა მოშორებით გაკეთებულია შესანიშნავი სასროლეთი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არც ერთ რაიონში არ მოიპოვება ასეთი სპორტული ნაგებობა.

მარტო ამის ნახვა არწმუნებს მნახველს, რომ სპორტს აქ დიდ პატივს სცემენ. ეს ასეც არი.

პირველკურსელი სწავლის დაწყებისთანავე ძალაუნებურად ებმება მჩქეფარე სპორტულ ცხოვრებაში. იგი ხედავს უფროსკურსელთა მაგალითს, ათვალიერებს ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის ამსახველ ფოტოვიტრინას, ესწრება ვარჯიშებსა და შეჯიბრებებს და სრულიად ბუნებრივად, სპორტსმენთა რიგებში ჩადგომის სურვილი ებადება.

უკვე თვრამეტი წელიწადია, რაც ტექნიკუმში სპორტული კოლექტივი არსებობს. ყოველ წელიწადს ფიზკულტურულ კოლექტივს აკლდება დიდი ჯგუფი სპორტსმენებისა. მათ მაგივრად მოდიან ახლები, გამოუცდელები, მაგრამ ისინი თავიდანვე ებმებიან საერთო ფერხულში და ტექნიკუმის ტრადიცია არ ირღვევა.

მთავარი ტექნიკუმში სპორტის მასიურობაა. მოსწავლეთა 93 პროცენტი ჩაბმულია თერთმეტ სპორტულ სექციაში, რომელ~ც სისტემატურად მუშაობს. რა თქ~ა უნდა, ამ საქმეს ვერ გასწვდება ფიზკულტურის მასწავლებელი, ენერგიული, მრავალმხრივი სპორტსმენი ილია ლეკვეიშვილი. სწორედ ამიტომაა, რომ თითქმის ყველა პედაგოგს მიმაგრებული აქვს ესა თუ ის სექცია. მაგალითად, ალექსანდრე ქუთათელაძე მძლეოსნებს ხელმძღვანელობს, ნინო ურუშაძე ფრენბურთელებს წვრთნის, მოჭადრაკეებს ავთანდილ დავითულიანი ამეცადინებს, მოჭიდავეებს — სერგო ვაშაკიძე, ხოლო, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი აკაკი ვაშაკიძე, მოსწავლეებს — სპეციალური საგნის გარდა, ზუსტ სროლასაც ასწავლის.

წლების მანძილზე ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სპარტაკიადებზე. ტექნიკუმის ლელობურთელები საქართველოს არა ერთგზის ჩემპიონები არიან. წარმატებით გამოდიან სხვადასხვა სახის შეჯიბრებებზე მძლეოსნები, ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოჭიდავეები. ამას მოწმობს ის მრავალრიცხოვანი თასები, სიგელები, ვიმპელები, საჩუქრები, რომელიც ტექნიკუმში ინახება.

სასწავლებლის ხშირი სტუმრები არიან სახელმოხვეჭილი ქართველი სპორტსმენები. ისინი ესაუბრებიან ფიზკულტურელებს თავიანთი მიღწევების შესახებ, ატარებენ საწვრთნელ-საჩვენებელ გამოსვლებს. სხვადასხვა დროს სასწავლებელში მეცადინეობას ატარებდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ვახტანგ ბალავაძე, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, სპორტის ოსტატები ლევან სანაძე, ვალერი ვაშაკიძე და სხვები.

იმ მრავალრიცხოვან ფიზკულტურელთა შორის, რომლებიც დღეს ტექნიკუმში ბეჯით სწავლასთან მაღალი სპორტული მაჩვენებლებითაც გამოირჩევიან, აღსანიშნავია მეოთხეკურსელი, ფრიადოსანი მოსწავლე ა. ჯანგველაძე, რომელმაც 1956 წლის საქართველოს პირველობაზე ჭიდაობაში, კოლმეურნეთა შორის თავის წონაში პირველი ადგილი დაიკავა. აგრეთვე ძალოსნები ა. ჯიმშელეიშვილი, ზ. ვაშაკიძე, მ. ბიჩინაშვილი, მოჭადრაკე გ. მჟავანაძე, ველომორბენლები დ. ქაროსანიძე, ლ. არველაძე.

როდესაც მოსწავლეები ტექნიკუმს ამთავრებენ, ყოველი მეორე ახალგაზრდა დიპლომთან ერთად მსაჯის, ფიზორგის ან ინსტრუქტორის წიგნაკს იღებს. შემდეგ, ჩადიან რა სამუშაოდ, ტექნიკუმში აღზრდილები აყალიბებენ სპორტულ სექციებს, ფართოდ შლიან ფიზკულტურულ მუშაობას, აი, ეს არის მათი მეორე სპეციალობა.

ამის შემდეგ ძნელია არ დაუჯერო ტექნიკუმის დირექტორს პ. ბ. მიქაძეს, რომ მას სპორტი დიდად ეხმარება აკადემიური მოსწრების ამაღლებასა და დისციპლინის განმტკიცებაში.

## საულაინი—დიდი ჯიხაიში

ორი წლის წინათ, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ერთმანეთს შეხვდნენ დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმისა და ლატვიის სს რესპუბლიკის ბაუსკის რაიონის საულაინის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დელეგაციები. შეხვედრა შემთხვევითი არ იყო. ეს ორი კოლექტივი კარგა ხანი „დაუსწრებლად" იცნობდა ერთმანეთს. ამის „მიზეზი" ძირითადად ის იყო, რომ „ფიზკულტურისა და სპორტის" პავილიონში მათი სტენდები გვერდი-გვერდ იყო მოთავსებული. ამას გარდა, ერთიც და მეორეც ორი წლის განმავლობაში წარმატებით მონაწილეობდა გამოფენის სამ პავილიონში.

პირისპირ გაცნობას უბრალოდ არ ჩაუვლია. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მეგობრებმა ერთმანეთში მიმოწერა გააჩაღეს. წერილებს ამანათები მოჰყვა. შემდეგ ჩაატარეს დაუსწრებელი შეჯიბრება სროლაში, ჭადრაკში. ცოტა ხნის მერე ლატვიელებმა მეგობრებს თანამემამულეთა წიგნები და ყვავილების თესლები გამოუგზავნეს. თავის მხრით ჯიხაიშელებმა საულაინში ქართველ მწერალთა ნაწარმოებები და ხილით სავსე ამანათები გაგზავნეს.

დადგა დრო, როდესაც მეგობრებს მიწერ-მოწერა აღარ აკმაყოფილებდათ. ერთმანეთის ცხოვრებისა და მუშაობის უფრო ახლოს გაცნობა და დაახლოება სურდათ. 1956 წლის მაისის ერთ მშვენიერ დღეს დიდი ჯიხაიშელები ყვავილებით შეხვდნენ საქართველოში ჩამოსულ შორეულ მეგობრებს.

ათი დღე დაჰყვეს სტუმრებმა საქართველოში. ისინი ესტუმრნენ მოწინავე კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს, გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერეს ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები. მაგრამ „ძირითადი ბაზა" მაინც დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმი იყო. აქ ისინი გულდასმით ეცნობოდნენ ყოველგვარ წვრილმანს, სწავლობდნენ ყველაფერ კარგს და შეჰქონდათ თავიანთი შესწორებები ზოგიერთ საკითხებში.

სპეციალურად მოწყობილ სპორტულ დღესასწაულზე მოსწავლეებმა მოაწყეს საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ლატვიელ ახალგაზრდებს განსაკუთრებულად მოეწონათ ჩვენი ნაციონალური თამაში — ლელო.

სტუმრობის უკანასკნელ დღეს ტექნიკუმის კოლექტივმა მეტად „ორიგინალური საჩუქარი" უძღვნა ლატვიელებს. „ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა,—უთხრა მეგობრებს ტექნიკუმის დირექტორმა პოლიკო მიქაძემ, — ცალკე გამოჰყოს და დაამუშაოს 0,54 ჰექტარზე ჩაის, დაფნის, ხეხილის, ვენახის ნაკვეთები და მიღებული მოსავალი ყოველწლიურად გაუგზავნოს საულაინის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს..."

რამდენიმე თვის შემდეგ კი ლატვიელებმა სიხარულით მიიღეს სამხრეთელი მეგობრები თავიანთ სამშობლოში— შემოდგომაზე დიდი ჯიხაიშის დელეგაცია ეწვია საულაინის ტექნიკუმს და საკუთარი ხელით მიართვა „კუთვნილი მოსავალი". მაგრამ მთავარი ეს როდი იყო, მთავარი იყო ის გულითადი, სალი დამოკიდებულება, რომელიც ჩვენი დიადი სამშობლოს ჭერქვეშ მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს აერთიანებს.

ქართველი სტუმრები თორმეტი დღის განმავლობაში მოგზაურობდნენ მთელს რესპუბლიკაში და ეცნობოდნენ ყველაფერს საინტერესოსა და მათთვის საჭიროს. ლატვიელმა ახალგაზრდებმა ჯიხაიშელები მეზობელ რესპუბლიკაში — ესტონეთშიც კი გაასეირნეს. აქ მათ დაათვალიერეს ზოოვეტერინალური ტექნიკუმი და ტარტუს უნივერსიტეტი. თუ რაოდენ ფართო მასშტაბისა იყო მეგობრული მოგზაურობა, ამის შესახებ ნათლად მეტყველებს 2.500 კილომეტრი, რომელიც ავტომანქანით გაიარეს ქართველებმა.

ნასიამოვნები, ღრმა შთაბეჭდილებით აღსავსენი დაუბრუნდნენ ჯიხაიშელები მშობლიურ ტექნიკუმს.

საულაინის და დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმების მეგობრობამ საფუძველი ჩაუყარა ორი რაიონის — სამტრედიისა და ბაუსკის მშრომელთა შემდგომ დაახლოებას.

## მეოთხე თაობა

განა შეიძლება არ მოვიხსენიოთ ის ძირითადი, მნიშვნელოვანი ბირთვი, რომელიც ტექნიკუმის ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს? შეიძლება, რომ გვერდი აუაროთ იმ თბილ და მეგობრულ პედაგოგიურ კოლექტივს, რომელიც დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მუშაობს? რა თქმა უნდა არა!

ისე, როგორც ყველა სასწავლებელში, პედკოლექტივი აქაც წარმოადგენს ხელმძღვანელ ძალას. მაგრამ ჯიხაიშის ტექნიკუმის მასწავლებლებს აქვთ რაღაც თავისებური, ყველასგან გამოსარჩევი თვისება. ეს არის ახალგაზრდული მონდომება, მოუღლელობა და განსაკუთრებული სიყვარული ტექნიკუმისადმი. მათი ინიციატივისა და ენთუზიაზმის წყალობითაა, რომ ტექნიკუმს მოწინავე სახელი აქვს დამკვიდრებული.

შეიძლება ამის მიზეზი ის არის, რომ პედკოლექტივის 90 პროცენტი ამ ტექნიკუმდამთავრებულია და ეს სასწავლებელი მათთვის მეორე ოჯახად არის ქცეული. ასე, მაგალითად, სხვადასხვა დროს ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრეს და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ისევ აქ დაბრუნდნენ: დირექტორის მოადგილე ა. ქუთათელაძე, პარტბიუროს მდივანი ა. რუხაძე, მცენარეთა დაცვის მასწავლებელი მარიამ სანაძე, სოფლის მეურნეობის საფუძვლების მასწავლებელი სერგო ვაშაკიძე, სასწავლო-საცდელი მეურნეობის გამგე დ. ლექავა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის მასწავლებელი ს. თელია, მელიორაციამეტყეობის მასწავლებელი გ. ლექავა და სხვ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს ტექნიკუმის პირველობა ლელოში.



ჩაის კრეფა ტექნიკუმის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე.



ბიოლოგიის გაკვეთილზე.

განა შეიძლება ტექნიკუმი არ უყვარდეს ლაზარე დარსაველიძეს, რომელიც აქ უკვე 26 წელიწადია მეფუტკრეობას ასწავლის, ანდა ევგენი დევიძეს, რომელიც ტექნიკუმის დაარსების დღიდან აქ მოღვაწეობს?

„აქ მოსული ბევრი მინახავს, წასული კი თითქმის არავინო", — ხუმრობს ტექნიკუმის დირექტორი საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი პ. ბ. მიქაძე. თვითონ დირექტორი 1934 წლიდან ხელმძღვანელობს ტექნიკუმს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ენერგიულად შრომობს.

დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში მასწავლებელთა ოთხი თაობა მოღვაწეობს. ყველაზე უფროსი დამსახურებული მასწავლებელი ლაზარე დარსაველიძეა, თმადათოვლილი ჭარმაგი აკაკი ვაშაკიძე კი მისი ყოფილი მოსწავლეა და ახლაც მოწიწებით ეპყრობა მოხუც პედაგოგს; თუმცა მასწავლებელთა შორის მასაც ყავს „მოწაფე" — რებეკა პატარიძე. ყველაზე უმცროსი თაობის წარმომადგენელია სოფლის მეურნეობის საფუძვლების მასწავლებელი სერგო ვაშაკიძე.

ყველა ისინი დიდ საქმეს აკეთებენ: ჩვენ სამშობლოს უზრდიან განათლებულ სიცოცხლითსავსე საბჭოთა ახალგაზრდობას.

*

ასეთი საინტერესო და შინაარსიანია, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ცხოვრება.

**გურამ გომართელი**
ფოტო გ. ქაცარიასი



ნავთის გადამმუშავებელი დანადგარი № 14-ის საერთო ხედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნავთობის 20 პროდუქტი

ბათუმის ნავთის გადამმუშავებელი ქარხანა პირველი ხუთწლედის პირმშოა. სამამულო ომის წლების შემდეგ იგი გადაიქცა უდიდეს წარმოებად, აღიჭურვა უახლესი ტექნიკით და სახალხო მეურნეობისათვის ახლა ამზადებს 20 სახის ნავთის პროდუქტს: სხვადასხვა ხარისხის ბენზინი, ნავთი, სათბობი დიზელისათვის, ზეთები ავტოტრაქტორებისათვის, ტრანსფორმატორის ზეთი, ფლოტის მაზუთი, სამშენებლო და საგზაო ბიტუმი, რომლითაც მოფენილია გზები, ქუჩები და მოედნები საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში.

ბათუმის ქარხანა დიდძალ ნავთის პროდუქტებს აგზავნის რესპუბლიკის გარეთაც. ყოველდღიურად იგზავნება მისი პროდუქცია სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკებში ჩინეთში, ვიეტნამში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ.

შრომის ნაყოფიერების ზრდაში, დანადგარების მოდერნიზაციაში დიდი როლი ითამაშეს ქარხნის რაციონალიზატორებმა — ხუთწლედების განმავლობაში აქ დანერგილია 2.587 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც ქარხანას მისცა 39,5 მილიონი მანეთის ეკონომია.

დიდი ყურადღება ექცევა ნავთის მრეწველობის მუშაკთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. ქარხნის ახლოს, შავი ზღვის პირას აშენდა კეთილმოწყობილი პატარა დაბა. მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობენ ამ ქარხნის მუშები და ინჟინერტექნიკოსები. აქვეა კულტურის ლამაზი სასახლე, რომლის მაყურებელთა დარბაზი 700 კაცს იტევს. თვითმოქმედი წრეებისათვის, სასპორტო მუშაობისათვის, ლექციებისათვის, ტექნიკური სწავლებისათვის განკუთვნილია მრავალი ოთახი. მარტო ტექნიკური ბიბლიოთეკა შეიცავს 60 ათას წიგნს, პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა — 12 ათასს, მხატვრული ლიტერატურისა ხომ უამრავ ტომებს ითვლის. ყველა ამ მდიდარ ლიტერატურას საკმაოდ დიდი მკითხველი ჰყავს.

კულტურის სასახლის ტერიტორიაზე განლაგებულია ფიზკულტურის ქალაქი ფეხბურთის სტადიონით და სპორტული მოედნებით.

ნავთის გადამმუშავებელი დანადგარის მუშაობა სპეციალური ხელსაწყოების მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფება. (მარცხნიდან მარჯვნივ) დანადგარი № 13-ის უფროსი ა. ბუსელი, ოპერატორის თანაშემწე ხ. სურმანიძე და ოპერატორი დ. შაცი, დანადგარ № 13-ის საკონტროლო-საზომ ხელსაწყოსთან.





ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში — (მარცხნიდან მარჯვნივ) უფროსი ლაბორანტები ე. ქლენტი და მ. პეტროსიანი არკვევენ ბენზინის სტაბილურობას.

1957 წელს ამ დაბის საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი მიიღებენ გაზით გათბობას (ქარხანაში არსებულ კრეკინგგაზის ბაზაზე). ამ გაზით ქარხანა უზრუნველყოფს ბათუმის ზოგიერთ წარმოებასაც.

**ვ. ქირია**

ქარხნის მთავარი ინჟინერი.

# სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი



დემნა შენგელაიამ თავისი ცხოვრების სამოცი წლიდან ორმოც წელზე მეტი მშობლიური ლიტერატურის განვითარებას და მშობელი ხალხის სამსახურს შეალია. მისი ცხოვრების გზა აღბეჭდილია ჭეშმარიტი მხატვრის შთაგონებით, რასაც თავისი ანარეკლი უპოვია შემოქმედებითი წვით, ხალისითა და აღტაცებით შექმნილ მრავალ რომანსა თუ მოთხრობაში, მრავალ სტატიასა თუ საჯარო გამოხვლაში.

დემნა შენგელაია ჩვენი კულტურისა და, კერძოდ, ლიტერატურის ერთ-ერთი თავდადებული მებრძოლია.

დ. შენგელაიას შემოქმედება შთაგონებულია ქართველი ხალხის ბედნიერი აწმყოთი, მისი სოციალისტური ყოფით. ხალხთა მეგობრობის თემა მისი მთავარი თემაა და ამ იდეის პროპაგანდას ემსახურება მწერლის შემოქმედება და ცხოვრება.

ჩვენ უფლება გვაქვს კმაყოფილებით გადავხედოთ დემნა შენგელაიას მიერ განვლილ შემოქმედებით გზას. მან ჩვენი შინაგანი სამყარო გაამდიდრა არა ერთი მხატვრული, ხორცშესხმული სახით, რომლებიც არ წარიშლებიან მკითხველთა მეხსიერებაში. მარტო ერთი „ბათა ქექია“ რადა ღირს! მკითხველი თვალნათლივ ხედავს ამ ქართველ გლეხს, ესმის მისი გულისცემა, გრძნობს და განიცდის მის ტკივილსა თუ სიხარულს.

დ. შენგელაიას მწერლური დამსახურება ისიცაა, რომ მან იშვიათი ოსტატობით, სინამდვილის მხატვრული განჭვრეტით დაგვიხატა ქართველი გლეხის ეს სახე და იგი დააჯილდოვა ხასიათის იშვიათი თვისებებით. ეს არის გლეხი, ბუნების ღვიძლი შვილი, რომელსაც არც ყოველდღიურობის სიბრძნე აკლია და არც გონებამახვილობის სიმძაფრე. კითხულობთ რომანს და თბილი ღიმილი არ შორდება ბაგეს. პორტრეტის შესანიშნავი მხატვარი დემნა შენგელაია აცოცხლებს ბათას მეტად კოლორიტულ სურათს და ჩვენს წინაშე დგება საოცარი ხუმარა, სიცოცხლის მოყვარული გლეხი, რომელიც ხშირად განგებ ისულელებს თავს, რათა ორთაბრძოლა მოიგოს, გამარჯვება მოიპოვოს მოწინააღმდეგეზე. — იგი დაუცხრომელი და ღრმა ოპტიმიზმით არის აღჭურვილი. ეს ოპტიმიზმი და ჩაუქრობელი ღიმილი გასდევს მთელ რომანს და მას ხალხურ იერს აძლევს, რითაც ბათას რევოლუციური განწყობილება კიდევ უფრო ძლიერდება.

აღიარებულია, რომ დემნა შენგელაია სიტყვის ნამდვილი ოსტატია. დემნა შენგელაია ერთ-ერთი მწერალია, რომლისთვისაც სიტყვა აზრის გადმოცემის იარაღიც არის და ნამდვილი ესთეტიკური ფენომენიც. დემნა შენგელაიას რომელი ნაწარმოებიც არ უნდა აიღოთ, მკითხველს მასში ხიბლავს ის სიფაქიზე, ის იშვიათი პასუხისმგებლობის გრძნობა და არტისტიზმი, რომლითაც ავტორი მხატვრულ სიტყვას უდგება. მეტად თავისუფლად გრძნობს თავს დემნა შენგელაია ენის სტიქიაში, რაც მის სტილს სრულიად თავისებურს და დამოუკიდებელს ხდის. დემნა შენგელაიას მეტყველებას ახასიათებს პოეტურობა, ლირიკული მღელვარება. მისი წერის მანერა სავსებით ინდივიდუალურია. მისი სიტყვა ტევადია და ხშირად გმირის მთელ ხასიათს ანათებს. დემნა შენგელაიას მხატვრული მეტყველება ძლიერი და ცხოველია იმით, რომ იგი დაკავშირებულია ცხოვრებასთან, სინამდვილესთან.

გეოლოგის მსგავსად აშიშვლებს იგი ხალხური შემოქმედების ღრმა შრეებს და იქიდან იღებს მდიდარ სიტყვიერ მასალას. დემნა იმ მწერალთა პლეადას ეკუთვნის, რომლებიც სიტყვას, მხატვრული ნაწარმოების ამ მთავარ საშენ მასალას, დიდი სიყვარულით და შთაგონებით უდგებიან. ყოველი მისი ნაწარმოები და, მეტადრე, „ბათა ქექია“, ლექსიკის მხრივ ცალკეა შესასწავლი. უკანასკნელში არა მხოლოდ ესთეტიკური იდეალი, არამედ მთელი მისი ენობრივი მასალა, მთელი მისი ინტონაცია ხალხურია. მწერალმა კარგად იცის, რომ ინტონაცია ხშირად ცვლის სიტყვის შინაარსს, ამიტომ უთმობს იგი დიდ ყურადღებას წინადადების ინტონაციურ წყობას. დემნას რომანებში ცოტა რამ არის მწიგნობრულ-ლიტერატურულ ენიდან. მათი მიხედვით შეიძლება შედგეს მთელი ლექსიკონი ხატოვანი სიტყვებისა, გამოთქმებისა, რომლებსაც ფესვები ხალხში აქვს გადგმული.

ჩვენ გვჯერა, რომ დემნა შენგელაია მომავალშიც გაახარებს მკითხველებს ახალი შემოქმედებითი წარმატებებით.

**შალვა აფხაიძე**

ფრიდონ ხალვაში

## თუ არ გიყვარს ადამიანი

მე მოსკოვში ვარ ამ გაზაფხულზე
და შენს წერილებს ველი,
სულ ველი,
მაგრამ შენს თვალებს,
ვით ვარსკვლავებს,
შორიდან ვუმზერ
და ნიავს მგონი ახლავს შენი
თმების სურნელი.
ამბობენ, მზეზე აფეთქება მომხდარა
დიდი,
კოსმოსის მტვერით დაბომბილა
მიწის თავანი,
სამხრეთში თურმე
შეეცვალა აპრილს ამინდი
და თოვლმა ხილი დაგვიმტვრია
ბაღში მრავალი.
ნუთუ ამიტომ ეს წერილი
იგვიანებდა?
გაზაფხული ხომ მაინც მოჰყვა
მიწას გვიანი,
რომ კვლავ სიცოცხლემ
ალამაზოს ჩვენი პლანეტა
და უხაროდეს ადამიანს ადამიანი.
მე მოსკოვში ვარ
და ვყიდულობ სამხრეთის იებს,
ეს ყვავილები ჩემს ოთახში
ცოცხლობენ ორ დღეს,
მაგრამ იები შენ გიყვარს ძლიერ,
ჰოდა, უბრალოდ, მეც მინდა მქონდეს.

მე მოსკოვში ვარ, მეგობარო,
ამ გაზაფხულზე
და ვგრძნობ ჩემია ეს ხმელეთი,
ეს ცა მთლიანი,
მაგრამ ეს მიწა,
ეს სილურჯე,
ვარსკვლავი თუ მზე
არაფერია, თუ არ გიყვარს ადამიანი.

ლადო სულაბერიძე

## შენთან ერთად დღემდე

გზას მივყვებოდი აღმართებიანს...
რაც გამომყევი ცხოვრების გზირად,
თუ რამე საქმე გამმართლებია,
გაგხარებია შენც ჩემნაირად.

ბადეს გავშლიდი, ფართქუნ-
ფართქუნით
ამოჰყვებოდა ბადეს თევზები,
შენ გიხაროდა, თუმც მებადური
სხვაც ბევრი იყო უკეთესები.

შენს სულში ჩემი სული ერია...
რაც კარგი ლექსი დამიწერია
შენც გახარებდა, თუმცა ლექსები
სხვაც ბევრი იყო უკეთესები.

ჩვენ ერთმანეთის ვიყავით ლხენა,
ნეტა ბოლომდე ასე დარჩება?!..
შენ ჩემი მარცხიც მიგაჩნდა შენად
და ზეიმობდი ჩემს გამარჯვებას.

ნოდარ შამანაძე

## წყალსა მოჰქონდა მანდილი

წყალსა მანდილი მოჰქონდა,
იყო გაშლილი ვარდივით;
დადექ, მანდილო, მიამბე,
ვის დაეკარგე ამ დილით.

დადექ, წყალო და მიამბე:
ვის გამოსტაცე მანდილი.
წყალი წავიდა ბუტბუტით,
არც ქარმა მითხრა ნამდვილი.

გავხედე, შუა ყანიდან
ქალი მორბოდა ფრთაგაშლით:
— ბიჭო, მანდილი ჩემია,
ქარმა მომტაცა ყანაში.

მოვიდა მზეში დამწვარი,
თვალების შუქით მადნობდა,
ღიმილით ამხედ-დამხედა,
ჩურჩულით მითხრა მადლობა.

და მერე გაქრა, გაიქცა,
ირემი ბარად გაზრდილი;
წყალს ვეტყვი, ქარს ვთხოვ ვედრებით,
კიდევ მოსტაცონ მანდილი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

* * *

ჩრდილები წვებიან მუხლამდე ბალახში,
ცაზე ულეველი ლალი და ბადახში.
ია კოჭამდეა, ვარდია მუხლამდე,
ამ მიწას ხარკი რომ ვერ გადაუხადეს.
ჰაერი ბევრია ისე, ვით მზის სხივი,
ყაყაჩო — ბდღვრიალა, წითელი — სისხლივით
პურია, ღვინოა, წყაროა, მთა არი,
— რაღაცა მაკლია, რაღაცა მთავარი.
ხომ გახსოვს წინადღე,
ხომ გნახე წინადღეს,
მომწყურდა...
— გინატრე.

ვახტანგ გოგოლაშვილი

## გაგახსენდა, განა?

თოვლი ადევს გადაკრეფილ
ვაზებსა და ყანას,
ეზო-ეზო ჩინარები
სანთლებივით დგანან,
ჩვენი, ძველი სიყვარული
გაგახსენდა განა?

ჩავირბენდით ჩახრიალა
ეზოსა და ბილიკს,
გულში ცეცხლი გიზგიზებდა,
თოვლიც იყო თბილი
და ვხვდებოდით ალვის ხესთან
ყოველ, ყოველ დილით.

შენი თვალის ფერი მახსოვს
ამ ყინვაზე მწველი,
მახსოვს შენი თეთრი, თეთრი,
თოვლზე თეთრი ხელი...
ახლაც მოდი, სოფლის ბოლოს,
ალვის ხესთან გელი.



# ხალხის ზარბაზანი

**ლევან გოთუა**

მოთხრობა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

ალბათ, მოსკოველ მკვიდრებს რომ გაეგოთ ქართველი ოსტატის სიხარულის მიზეზი, ფრიად გაუკვირდებოდათ. და მართლაც, შორეულ სამხრეთელსა და წცივანას, კახთ პირველი ელჩიონის ერთ-ერთ წევრს, ჯაბა-ოსტატს, რად უნდა გახარებოდა მოსკოვური ზამთრის გამკაცრება და დიდთოვლიანობა? მაგრამ ეს მაინც ასე იყო. გრემელ მჭედელ-მელითონეს სიხარულს თავისი „მიზეზიც" ჰქონდა. თოვლიც მოვიდა, მაგრამ „ქალბატონი მიზეზი" მაინც იგვიანებდა. არა, იგი არც სულიერი არსება იყო, მაგრამ ჯაბასათვის უსულოდაც ვერასგზით ვერ ჩაითვლებოდა. მეფე-ზარბაზნის კრემლში გადმოტანა საახალწლოდ იყო განზრახული. მართალია, იგი ჯერ კიდევ ზაფხულში ჩამოასხეს, მოაპირკეთეს ქვემეხების ეზოში, მაგრამ თოვლის მოსვლამდე მისი დაძვრის იმედი არა ჰქონდათ. იგი ორი ათას ოთხას ფუთს იწონიდა და მისი გადმოტანა მხოლოდ საცურავებით თუ იყო შესაძლებელი. ქალაქში ამის თაობაზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო მოდებული. გასაგებია, რომ შორეულ კახელთაც მეტად გულცხარედ სწადდათ „ქვეყნის უდიდეს" მეფე-ზარბაზნის ნახვა. განსაკუთრებით ხომ ჯაბა-ოსტატი ღელავდა. მან კარგა ხანია დაიარა რუს-ხელოსნები, იარაღის მკეთებელნი. ახალი თოფებიც ნახა. ისინი დიდად არაფრით განსხვავდებოდნენ ყირიმის თუ სტამბოლის თოფებისაგან. ხოლო ზარბაზნები კი მხოლოდ შორიდან იხილა ჯაბამ. ქვემეხების ეზოში უცხოელებს არ უშვებდნენ. სული კი სულ იქით ჰქონდა გრემელ ოსტატს. ზარბაზნისა არა და ზარის გამოცდილება მასაც ჰქონდა. მთავარანგელოზის დედოზარი — გრემ-დიდი ხომ მისი ჩამოსხმული იყო. მართალია აქ — მოსკოვს — ისეთი ზარები ნახა, გრემ-დიდი რაღა სახსენებელი იყო, მაგრამ ეს ზომისა და ლითონის სიმრავლის საკითხი იყო და არა ხელობა-ნატიფობისა. აქ კი გრემელი ოსტატი ქედს არ იხრიდა.

...და ჰა, სანუკვარი დღეც დადგა. კიტაი-ქალაქში, ქვემეხების ეზოს დიდ ალაყაფთან, დილიდანვე უამრავი ხალხი შეგროვდა.

მოსკოვში ცნობილი ნათლიღების ყინვები იწყებოდა. სახურავებზე კარგა დიდი თოვლი იდო, ხოლო ქუჩებში დატკეპნილი თოვლ-ყინულა დალესილიყო და გლუვ სავალს ჰქმნიდა. ქუჩის ორთავ მხარეს, სავაჭროებისა და ხელოსნების რიგების წინ, შემაღლებულ ფიცრულ-ბოგირებზე ხალხი კედლად იდგა.

კახელები მარცხენა მხარეზე შეყუჟულიყვნენ. უჩვევნი მაინც იყინებოდნენ, თუმცა თბილ ბეწვეულში იყვნენ შებურულნი.

მხოლოდ ჯაბა იყო ღელვისაგან აღზნებული. გრემული ნაბადი შილიფად მოეგდო და კარიბჭეს თვალს ვერ აშორებდა. მას ცხრა უღელი ხარ-კამეჩი დასჭირდა მთავარანგელოზის გორზე გრემ-დიდის ასატანად... ახლა კი — ორი ათას ოთხასი. მთელი სამრეკლოს წონაა?! აღზნებული იქნებოდა, აბა რა მოუვიდოდა ძველ ოსტატს, რომელიც სწორედ ამიტომ გამოგზავნა კახეთის მეფემ ალექსანდრემ მოსკოვს.

— შენ იცი, ჯაბავ! უთოფ-ზარბაზნოდ აღარ ვარგივართ, კაცო! გაიხედ-გამოიხედე. ხელცარიელი არ ჩამოხვიდე. ახალ-ხელობა და ნიმუში ჩამოიტანე რამე!

აუსრულებს, აუსრულებს კახთ-ბატონს ნაბრძანევს. არა, ბრძანებაც რა ბედენაა, განა თავად არ იცის, რომ ახლა მხოლოდ თოფ-ზარბაზნის ხელობა თუ იხსნის მის სამშობლოს, ვაზებისა და ომიანობის ქვეყანას. არა, ხელცარიელი არც ახლაა — თოფ-ზამბულაკების ახალი ნიმუშები მოიკვლია და აითვისა, მაგრამ ზარბაზნის ჩამომსხმელებს ვერ მიუდგა. აქ კი ჯერჯერობით ხელცარიელია ჯაბა გრემელი.

ყველაფერი კი იცის. შეიტყო, ქვემეხების ეზოშიაც თავი ოსტატი — არა უცხოელი, არამედ შინ გაზრდილი, უბრალო გლეხი-ხელოსანი, ჯაბასავით კაცი — ანდრია ჩოხოვი ყოფილა. ასე უთხრა ზოსიმე-მოძღვარმა, კახეთის პირველმა ელჩმა ამ შორეულ, ვეება რუსეთში მაშველის მოსაყვანად ამგზავრებულმა.

ხალხმა რაღაც განგაში შექნა, მიმოიძრა და ფეხის წვერებზე შემდგარი გაშეშდა. კარიბჭე ფართოდ გაიღო და ორი მეწინავე ცხენი გამოჩნდა. აქეთ-იქით თითო-თითო მეჯინიბე ჩასდგომოდა ცხენებს.

პირველ წყვილს — მეორე მოჰყვა... მეორეს — მესამე... კარიბჭიდან დიდი ჯაჭვი იჭიმებოდა და მას წყვილ-წყვილად ცხენები ჰყავდა ჩაბმული. შიგადაშიგ თითო ცხენზე მხედარიც იჯდა, ერეკებოდა თავის ყევარს. — ნეტავ რამდენია? — ჩაილაპარაკა ჯაბამ და თვლა იწყო, მაგრამ მალე აერია. სულიც კარიბჭისაკენ უსწრებდა.

— არიქა, ზაზავ!.. აი იმ ფაფარკრეჭილასთან ოცდასამი წყვილი იყო. თვლა გამიგრძელე!. — გასძახა კახ-ელჩიონის უახალგაზრდეს თარჯიმან-ძორუსულეს ზაზა კახნიაურს და თავად წინ წარსდგა.

ცხენები კი სულ დიოდნენ, გაუთავებელ, ფაფარაყრილ მდინარესავით. ჯაჭვიც — მსხვილი, მრგვალმარჭვალად ნაჭედი ჯაჭვი — ჩხრიალით და ჭრიახით მიისახსრებოდა, იჭიმებოდა.

— სამოცდაერთი... სამოცდაორი... — სთვლიდა ზაზა...

— რა ამბავია კაცო?! გაგონილა? ვინ დამიჯერებს გრემშია?! ტრაბახში ჩამითვლიან! — გაიძახოდა გაოცებული ჯაბა.

ოთხმოცდაათი წყვილის შემდგომ, სათვალავი ზაზასაც აერია. უკან რომ გაჰხედა, ცხენთა თავბმული სადღაც ქუჩის ბოლოში იკარგებოდა.

ამ დროს თოვლის მოძლიერებული ჭრიალი მოისმა, ჯაჭვმა ერთი საოცრად დაიგმინა და მშვილდის ლარივით დაიჭიმა. ცხენები წელში გაიწურნენ... ერთი შეძახილიც და ჯაჭვის ბოლოში ჩაბმული ვეება მორების მარხილ-საცურავი გამოჩნდა. საცურავებზე ჭიაურის დევ-მუხის ტანოდენა შავ-რუხი მეფე-ზარბაზანი გადაწოლილად იდო და ნელ მოძრაობაში თითქოს უფრო იზრდებოდა...

ჯაბამ ჯერ არც დაუჯერა თვალებს, ალაყაფისაკენ მოიხედა... მაგრამ იქიდან ვიღაც ხელშეხვეული კაცი გამოვარდა, საცურავზე ახტა და ზარბაზანს შვილივით ხელი გადაადო, მის ომახიან ბრინჯაოს ტანზე მიხატულს დაემსგავსა.

— ნუთუ იგია ჩოხოვი? — წამოიძახა ჯაბამ და უფრო ახლო მიდგა. ოსტატი თავის ზარბაზანთან ქონდრისკაცის ოდენა გამოჩანდა. მორებზე განართხული მრგვალი ვეშაპის სისქე — ყელამდე სწვდებოდა თავის შემოქმედს, ხოლო სიგრძე — სულ ცოტა, ცხრა ადლი მაინც იქნებოდა. ალავერდთან ბოგად გადასწვდებოდა ალაზანს. ნაკეთობა გლუვი და ვარაყიანი ჩნდა. რაღაც ტვიფრულიც კი შეამჩნია ჯაბამ.

— გენაცვალე ოსტატო! გიჯობნია! რა მარჯვენამ გააკეთა? შეხე, კაცო?! ჰაი, გრემელო ოსტატებო! რად არ უცქერით ამ ბრინჯაოს სასწაულს?! არა, შესახედავად რომ ასეთია, ეს რომ გავარდეს, სულ არ ამოიბუგა მთელი თურქეთი?! — ჯაბა ზედახლო მისდევდა ზარბაზას და ისეთი თავდავიწყებით გაიძახოდა, რომ უკან ადევნებულ ხალხს ისიც ამ ზარბაზნის ოსტატი ეგონა. ჯაბა კი ქადაგად დავარდნილივით, უფრო და უფრო შედიოდა ეშხში:

— მადლ-სასწაულიანი ხელი არ ჰქონია?! მაგის მარჯვენა ერთ სახელმწიფოდ ღირს, მე და ჩემმა ღმერთმა!

— რაღა მარჯვენა! ვერა ჰხედავ, ზედ არ შეულევია?! — მიაძახა კახელჩიონის შათირმა თედო ბაცაცაისძემ, რომელსაც, მიუხედავად თავისი დამტვრეული რუსულისა, ხალხში კითხვა-გამოკითხვით მაინც გაეგო, რომ ანდრია ჩოხოვს, ჯერ კიდევ ზაფხულში, ამ ზარბაზნის ჩამოსხმის დროს, მარჯვენა ხელი დაეწვა და ჯერაც არ მორჩენოდა.

— რას ამბობ, კაცო?! აფსუსი არ არის?! — ჯაბა ფეხდაფეხ მისდევდა ზარბაზანს და ხელის შევლების სურვილს ვეღარ იკავებდა... — მერმე აქიმები რაღასა შვრებიან?.. აი გიდი თურმანაანთ მალამო! ხელად არ მოვარჩენდი. აი მაგისთვის კი უპრიანია! თავს დავდებდი! დედასა, სად არის ჩვენი გრემელი დოსტაქარი — მანასე ჯილაური?.. არა, შენ ზარბაზანს დამიხედე... ეს ქვასაც გაისვრის და ლითონის ყუმბარასაც!

მაინც მისწვდა სხვის ნახელავს, კრძალვით ხელი გადაუსვა მის შავ-რუხ, მრგვალ ტანს... ვეება ხახაშიაც ჩაჰხედა...

— შენ გენაცვალე... დათვის ომანოს არა ჰგავს?! რა სარკესავით ნახელავია შიგნიდანაც! — ახლა ფალიასა და საყრდენებსაც მისწვდა... მაგრამ ამ დროს გრძელ ქარავნის თავში რაღაც ჩოჩქოლი და ყიჟინა შეიქნა. წინსვლა შეფერხდა. ზარბაზანი შედგა. ქარავანს დიდი მოსახვევისათვის მიეღწია, ახლა მთავარ ქუჩაზე უნდა გასულიყო, იქიდან კი კრემლის ბჭეც საპირდაპიროდ იყო. მოსახვევში დაჭიმულ ჯაჭვს ცხენები მოესხლიტა. სვლა აირია. ვერც შეძახებამ, ვერც შოლტებმა ვეღარ უშველეს. ზარბაზნის სიმძიმე აჭარბობდა ყველაფერს, ჯაჭვს სჭიმავდა და ცხენ-ქარავნის შუა წელს შორით შემოვლის საშუალებას არ აძლევდა.

ჯაბას თვალწინ ისევ მთავარანგელოზის აღმართი აღუდგა... ხარ-კამეჩებს რომ გაუჭირდათ გრემ-დიდის ატანა, თავად გრემელები მიეძალნენ ჭაპნეულს, მხარდამხარ ჩაუდგნენ ცხრაუღლეულს... მართალია, აქ ზომაც და წონაც გაცილებით დიდია, მაგრამ ხალხიც მეტია!

— ჰოი, რუსებო!.. აბა ერთი გრემულად! გრემულად! — ჯაბამ რიხიან ქართულით გადასძახა მოჯრილ ხალხს, თავის ნაბადი ზარბაზანზე შეაგდო და ბოლო ცხენების შუა ჩადგა, ჯაჭვს ჩაეჭიდა — გრემულად! გრემი — რუსო!

— გრემიმ ტაკ გრიანემ! — ძახილი აიტაცეს ირგვლივ და მართლა ყოველ მხრივ იგრიალა ხალხმა. ცხენ-კაცი აირია და აიხუნზლა ჯაჭვის ლარზე.

— აბა ერთად! ერთად გასწით... გრემულად! ხარ-კამეჩსაც შეუძახეთ! — საერთო გუგუნში როყიოდ გაისმოდა ჯაბას ბანი.

— ხარ-კამეჩსაო?! — ატაცებულად როხროხებდა ბაცაცაისძე, იგი ზაზასთან ერთად ჯაბას გვერდში ამოსდგომოდა და მთელი ძალით ჯაჭვს ეწეოდა. თედო ბაცაცაისძე საერთოდ ოხუნჯობისა და ოინბაზობის გუნებაზე იყო, ხოლო საოინბაზო სწორედ ახლა ჰქონდა — ამდენი ცხენ-კაცი ერთ ჯაჭვზე იყო დახვეული:

— ოსტატო! გუთნისდედავ! რუსულად შეუძახე, რუსულად! განა ქართულიც იციან!.. ვერც საქონელს არჩევენ, მაგათ ცხენები ჰგონიათ! ჰამ-ჰო, თქვე უპატრონოებო, თქვენა!

— იციან! იციან!.. აკი გადმომყვნენ! ერთად! ერთად... ჰიო!.. — ჯაბას ძახილი ხალხის ომახიან გნიასში იძირებოდა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი ხათრით უსწავლიათ! აბა კიდევა... ერთი ხმა გაე... ცოდნა არ მოაკლო... გაწევა კი ჩემზე იყოს... ჰთვე-ჰოო! — ხალისიანად ოხუნჯობდა, მაგრამ გულდაგულადაც ეწეოდა თედო.

ხალხ-ცხენთა ნაერთი ძალით მეფე-ზარბაზანი ქუჩის მუხლს შემოატარეს და მოედანზე გაიტანეს. ამის იქით აღარც შეფერხებულა ქარავანი, მაგრამ ხალხი აღარ ეშვებოდა ჯაჭვს. ერთი ყიჟინითა და გუგუნით, ძალამოუზოგავად ეწეოდა ამ საოცარ ზარბაზანს. ჯაბას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ჯაჭვზე კი არ ეკიდა ხელი, არამედ პატრუქზე და ამ გულთაშორის პატრუქს ცეცხლი ჰქონდა გაკიდებული ზარბაზნიდან ჯაჭვის თავამდე.

კრემლის ბჭემდე მიაცილა ხალხმა ზარბაზანი.

ქუჩის ბოლოდან უმზერდა ამ სურათს კახეთის პირველი ელჩი ზოსიმე-ბერი. აზვირთებულმა ხალხის ტალღამ ისიც კინაღამ გაიტაცა. ჯერ ვერაფერს ჰხედავდა გარდა ცხენ-კაცების გრძელზვავისა, რომელიც ვეება ზარბაზან-ძალის უტყუარ ნიშნად ესახებოდა თვალგამჭრიახს. ოდესმე ათენში ყოფნისას ნანახი ძველხატული მოაგონდა. აქაც ერთად ნარევი ცხენ-კაცები ცენტავრებივით მოაბოტებდნენ. უფრო თვალაზრიანად რომ შესძლო დაკვირვება, შეამჩნია, ჯაჭვის საყევარში დედაკაცებიც იყვნენ ჩამდგარნი.

— ჰოი რა ძალაა ქალ-კაციანად! დიდ მომავლიანი ხალხია... და ჩვენი საშველიც აქ იყოს იქნებ?!

კრემლის კარიბჭესთან სარანგებმა ძლივს ჩამოაშორა ხალხი ცხენ-ქარავანს. ჯაბა ხომ ისე იყო თავწასული — ვეღარც დაღლას ჰგრძნობდა, ვეღარც სიცივეს. ჩოხოვმა ჯანსაღი ხელით ნაბადი გადმოუგდო ზარბაზნიდან, ნახვეული მარჯვენაც აუქნია. დოგა ბანით გადმოსძახა:

— სპასიბო, ბრატ! — და მერე ზარბაზნიანად გაეფარა კრემლის გამოხურულ კარიბჭეს.

— ჰფსუს მარჯვენავ! რა ცეცხლმა გაიმეტა?.. აი დედასა, ერთი თურმანაული?! — ბოღმიანად ამოიოხრა ჯაბამ.

— მე მაქვს თურმანიანთ მალამო... დედამ გამომატანა. — წასჩურჩულა ზაზამ, — მოყინულსა და მომწვარს ერთნაირად უხდება!

—შენც აგაშენა ღმერთმა და იმის გამომტანებელიც! აი ეს მარჯვენაც ამ მალამოს მორჩენილი არაა?! — ჯაბამ ხელი სტაცა ზაზას და ზოსიმე ბერისაკენ გაეშურა.

იმ საღამოსვე ჯაბა ქვემეხთა ეზოს მიადგა და ალაყაფს კრძალვით მიუკაკუნა. ნაბდის ქვევიდან ტიკის ყური და ხანჯლის ტარი იხედებოდა. ოსტატი შეიშმუშნა და ნაბადი უკეთ მოიგდო. მოძრაობაში და გამოხედვაში უხერხულობა ემჩნეოდა. მისი წამოსვლა, პირველ ელჩის გარდა, მხოლოდ ზაზამ და თედომ იცოდა.

კახ-ელჩობა ალექსანდრე ნეველის მონასტერში იყო თავიდანვე გამწესებული. ადრევე ავახშმებდა ხოლმე მათ მასპინძელი — ხოზნიკოვი და კრემლის მესტუმრე — ბალამუტოვი. მოკრძალებით, მაგრამ ზუსტად შეამოწმებდნენ ხოლმე ყველას შინყოფნას, ნების ძილს უსურვებდნენ და წავიდოდნენ. სამონასტრო სადგომის გარე-კარი უმალ იკეტებოდა.

ზოსიმემ ადრევე შეამჩნია, რომ მოსკოვში მოსულ სხვა ქვეყნის ელჩებს, მუდამ შემოფარგლული ჰქონდათ ხოლმე თავისუფლების არე. აღმოსავლეთისათვის, გარდა ომის შემთხვევისა, ეს ჩვეულება უცხო იყო. მაგრამ ზოსიმემ ისიც შეამჩნია, სხვებთან შედარებით კახ-ელჩიონს რა ფართო თავისუფლება და მზრუნველობა არგუნეს და სდუმდა, აქაური „ქუდი დაიხურა“. სხვა კახნი კი ჩუმ-ჩუმად არღვევდნენ ამ წესს. ამ ჯერად დარბაისელმა ჯაბამაც თავი ადრე მოიმძინარა და მეგობრების დახმარებით, მონასტრის კარის დაკეტვამდე გაასწრო ქალაქში. თავად დილამდე ვეღარ დაბრუნდებოდა სადგომში. მაგრამ ეს გარემოება კი არ აწუხებდა ოსტატს. ღამეს გაათევდა სადმე... ბოლოს და ბოლოს ერთი ღამე, თუნდაც რუსული ყინვიანი ღამე რა ბედენაა, მაგრამ იმ გარემოებას როგორღა შემოუაროს, რომ გრემელი სალაყბოს ენაწყლიანი და ამო მასლაათის კაცი აქ, რუსეთში, მუნჯია! დიახ — სრულიად მუნჯი! ყველამ ასე თუ ისე ისწავლა რუსული. განა ცოტა დრომ გაიარა! ნახევარი წელიწადი მხოლოდ რუსეთის გზას მოუნდნენ, ახლა აქ მოსკოვს კარგა ხნით დააფერხა კახთ ელჩობა მეფე თედორე იოანესძეს მიერ მიღებამ, ბორის გოდუნოვთან მოლაპარაკებამ. ჰოდა, მაგალითად, ნიჭიერი ზაზა შესანიშნავად დახელოვნდა რუსულში, სხვებმაც ისწავლეს „საყველ-პურო“ რუსული, უკვე ზოსიმე ბერ-მოხუცსაც ესმის ყველაფერი, თუ დასჭირდა, მოკლე სიტყვასაც სძრავს უმცდარად. ეს „ქვეყნის ყბა“ თედო ბაცაცაისძე ხომ იხტიბარგაუტეხავად „პარუსკობს“ უსწორ-მასწორად, მას კი — ჯაბას არაფერი არ ეშველა. ანაგებად არ გაეკარა მის გულსა და ენას რუსული კილო. სულ ვერ ისწავლა.

ალაყაფში დარაჯი ჩამოდგა...

— ჩოხოვი! — თავგანწირულად მიაძახა ჯაბამ, — ანდრია ჩოხოვი!.. მეტი არაფერი მკითხო, რუსო! — და ვიდრე დარაჯი გაარკვევდა მის სხაპასხუპს, კარში შეიჭრა...

— ლეკარ ჩტოლი? — დარაჯმა დაბალ, ძელურ შენობაზე მიუთითა.

— ლეკური კი არა ქართველი, კახი — გრემიდანა!

ვინ იცის, რითი დათავდებოდა მათი ასეთი საუბარი, რომ ახალ გარემოებას სრულიად არ შეეწყვიტა იგი. შუქჩამდგარ სარკმელიდან კაცის ბოხი მოთქმა-ყვირილი მოისმა. ჯაბამ იცნო ჩოხოვის ხმა. კარს ნახტომით მიაშურა და უკითხავად შეაღო. ვიწრო მისავალში მოხვდა... კიდევ ერთი კარიც შეაღო და შინ შევიდა.

შუაგულ მაგიდაზე შიშველი მკლავი გადაედო ჩოხოვს... აქეთ-იქიდან ორ კაცს დაძაგრულად ეჭირა მისი ხელი, დოსტაქარი კი გახურებულ მაყაშით ჩაბერებულ და დაფუთქულ ტყავ-ხორცს აცლიდა დაშავებულ ადგილს. ანდრიას სახეკისერზე სიმწრის ოფლი გადასდიოდა, დაზაფრულად გმინავდა... კარგამოღებულ ღუმელთან კი თვალცრემლიანი დედაკაცები მორიგ მაყაშს ახურებდნენ, მოთქმით ლოცულობდნენ და ქვითინებდნენ.

ჯაბას თავად ნაწვნევი ჰქონდა დამწვრის სიმწარე... მაინც დაშავებული ადგილის ხელახლად დაწვა და ნაფუთქის ჯიჯგნა.

გაწყრა გრემელი ოსტატი. ასე უტიფრად და უღვთოდ როგორ ექცეოდნენ ასეთ მარჯვენას!

ფეხი წადგა, ნაბადი მოსმით გადიგდო, ტიკჭორა მაგიდაზე დააგორა და მაყაშზე ხელი აუკრა რუს დოსტაქარს. ფრიად ეცხელა მაყაში, ამან უფრო გააგულისა და რადგან ენა არ ემორჩილებოდა, მკლავის „ენა“ მოიმარჯვა, ოსტატის გაქაჩული მარჯვენა მუჯლუგუნითააშვებინა.

ჯერ ყველანი ახმიანდნენ და ამოძრავდნენ, გარდა თავად ანდრიასი, რომელიც დადუმდა და გაკვირვებით შეჰყურებდა ხან ჩოხ-ხანჯლიან სტუმარს, ხან მაგიდაზე დაგორებულ ოთხფეხა და უთავო დიდმუცელა „ცხოველს“.

ჯაბამ ზაზას მიცემული კოტოში ამოიღო და მალამო ყველას დაანახა... ახლა კი ენა იყო საჭირო. ეს რეგვენები კი რაღაცას ეჩხუბებოდნენ, კეტებს დაეძებდნენ. დარაჯსაც კი დაუძახეს. ყინჩად წამოეფეთენ კიდევაც. ჯაბამ ერთი დაუბრიალა თვალები მისკენ მოწეულ კაცებს და ხანჯალი იძრო.

ყველანი დადრკნენ. ხმა გაიკმინდეს. ჯაბას გაუკვირდა კიდევაც, მათ მიერ ასე უეცარი ენის ჩაგდება. მას ხანჯალი საძგერებლად ხომ არ ამოუღია. არა, პირიქით, ენის ამოსადგმელად, სიტყვის გასარკვევად.

— ჩემი ხელით, ამ ჩემი გაჭედილ ხანჯლით მოვიჭრი ხელსა, თუ ერთ თვეზე არ მოგარჩინო, აი ამ წამლით!

ხელ-ხანჯალ-კოტოშით ისე დაასურათხატა ჯაბამ ქართული სიტყვა, რომ უმალ გააგებინა ანდრია ჩოხოვს.

— კტო ტი?! ვინა ხარ? — რუსულად ამაოდ ეკითხებოდა ანდრია.

— ბასურმან?!

ეს კი გაიგო ჯაბამ:

— ქრისტიანი ვარ! ქართველი! — კუთხეში ჩამოკიდებულ ხატებისაკენ მობრუნდა და პირჯვარი ისახა.

დედაკაცებმა უმალ სკამი მიუდგეს და დასვეს, ხოლო ანდრიამ თავის „მტანჯველებს“ გადაჰხედა, რუსულად შეესიტყვა.

ჯაბა თითქმის მიხვდა მის ნათქვამს, თავადაც ასე ეტყოდა:

— ერთი ესეც ვსინჯოთ! თქვენ ოთხი თვეა მაწვალებთ, ლამის ხელი სულ მომიწვათ. ეს კი თავის მარჯვენას მიდებს საწინდრად! რომელი თქვენგანი გაბედავს ამას? ეს კი ჩემი კეთილის მსურველი ჩანს... იქაც დამეხმარა, ზარბაზანთან. მისი ჩოხა-ნაბადი მახსოვს. ახლა ვიცან!

აშკარად მიხვდა ჯაბა. რუსული ასე ულოდნელად უსწავლია! ასე ეტყოდა, მაშ როგორ? აკი გასჭრა კიდევაც...

ანდრიამ სათითაოდ შეჰხედა თავის „მტანჯველ“ დოსტაქრებს.

სამივენი ჩამოდგნენ და გარეთ გავიდნენ.

ჯაბამ ეს ანდრიას დასტურად მიიღო და ღუმელთან მიდგა. ქვაბში, ადუღებული წყალი მოიკვლია. ხუფი დაახურა და გარეთ, თოვლში გასაგრილებლად გაიტანა. თან „ნაბიჯ-ნაბიჯ“ იგონებდა და იმეორებდა გრემელ დოსტაქრის — მანასე ჯილაურის საქციელს, როდესაც იგი მას — ჯაბას ურჩენდა დანაწვავს.

შინ რომ შემობრუნდა, ქალებს უკვე ცრემლები მოეწმინდათ, ტიკჭორას შემოსდგომოდნენ და პოლორჭიკის შემხედვარე, შეკავებული სიცილით იგუდებოდნენ. ანდრიას მტკივანი ხელი მაღლა აეწია, მარცხენით კი ჯაბას ხანჯალს ფხას უსინჯავდა. მაგიდაზე უკვე რუსული არაყი და პურ-მარილი იდო.

რუს-ოსტატმა, მიუხედავად ხელის ტკივილისა უმასპინძლა, არაყი დაუსხა. მაგრამ გრემელ ოსტატს სწორედ ახლა მოაგონდა თუ როგორი ღვთის რისხვა დაატეხა მას მანასე ჯილაურმა, წამლობის დროს არაყის სუნი რომ უგრძნო პირში. არაყის სმა სასტიკად აუკრძალა, ღვინისა კი ნება დართო, ისიც ზომიერად, არა უმეტეს ნახევარ ლიტრისა დღეში.

ჯაბა საერთოდ, ზრდილი, დარბაისელი კაცი იყო. ასეთად იცნობდნენ მას გრემში. მაგრამ აბა რაღა ზრდილობაა „უენოდ“? არც აცივა, არც აცხელა, ანდრიას არაყიანი ჭიქა გამოსტაცა და ღუმელში შეასხა. მერმე ხანჯალი მოუქნია და ბოთლს თავი ისე წააცალა რომ არც წაქცეულა ბოთლი. აქ კი კრემელმა ოსტატმა „უსიტყვოდ“ ორი კურდღელი დაიჭირა — არაყის სმაც „ნიშანდობლივად“ აუკრძალა ჩოხოვს და გრემულ ხანჯლის ფოლადის ფხაცა და ხელობაც მოაწონა მოსკოველ ოსტატს.

— ტი ჩტო? — გაიკვირვა ანდრიამ.

— ფიშტო კი არა, ჳრემული ხანჯალია, სატევარი! — და თავმომწონედ გაუწოდა ანდრიას.

სატევარი ახლა უფრო დაკვირვებით გასინჯა რუსმა ოსტატმა, თან თავმოჭრილი ბოთლი შორს გადადგა. დედაკაცები კუთხეში მიჩუჩქდნენ, ყბებზე ხელები შემოიდგეს და სულგანაბულად უცქერდნენ ამ ახალ დოსტაქარს, რომელიც მხოლოდ „ხანჯლის ენით“ ლაპარაკობდა

ჯაბამ გარედან გაგრილებული წყალი შემოიტანა, სუფთა ბატის ფრთით ანდრიას ფრთხილად გაუბანა და დაუამა ხელი. მერმე ოდნავ შეუშრო და თურმანა-



ული თეთრი მალამო თხელ ფენად დასცხო. თან იგონებდა მანასეს საქციელს. ახლა ახალ დოლბანდს დასცხო უფრო ხვავიან ფენად და ნაწვავზე შემოადო. ზევიდან სუფთა პირსახოცი დაახვია.

დაამებული ანდრია მხოლოდ ჰკვირობდა უმტკივნეულობას და იღიმებოდა, ჯაბა კი პატრონივით დადიოდა ბინაში და რაღაცას დაეძებდა.

ბოლოს იპოვნა, დიდი ჯამ-ჭიქა აიღო და ტიკს პირი მოუხსნა, ოდნავ ჩაჰბერა შიგ და მადლიანი კახური საფერავი ჩამოასხა.

დედაკაცები ფეხაკრეფით წინ წამოდგნენ და გაფართოებული თვალებით უმზერდნენ ამ ჯერ არ ნახულ „უთავო ცხოველს“ და მის თავზე ახალ დოსტაქრის „ჯადოქრობას“. ხოლო როდესაც ჯაბამ სავსე ჯამ-ჭიქა ანდრიას მიაწოდა — ერთხმად კივილი შეჰქმნეს ქალებმა და თავის „ანდრეიკო“ უკან დასწიეს.

ჯაბა თავისებურად მიუხვდა შიშის მიზეზს. ერთი ქართულად დაილოცა, მარჯვენის მორჩენა უსურვა რუს-ოსტატს. ქალების დასაყვავებლად პირჯვარიც გადიწერა და ღვინო გადაჰკრა.

ნაამებმა ულვაშებზე ხელი გადაისვა, კარგა ხანია აღარ ესვა ასეთი ღვინო. ეს უკანასკნელ „ყადაღადადებულ“ მარაგიდან იყო, სახელოვან რუს-ოსტატისათვის გამეტებული.

ახლა ისევ დაასხა და მიაწოდა. ანდრიამ სადღეგრძელოსა და პირჯვარზე უფრო, ულვაშზე სიამით გადასმულ მარჯვენას დაუჯერა და უცხო სასმელი ოდნავ მოსვა, მაგრამ ტუჩი ველარ მოაშორა, ძირამდე ამოწრუპა და ღიმილი გაებადრა სახეზე.

შეშინებული ქალებიც დაწყნარდნენ, უცნაურ სტუმარს ხელი დააბანინეს, რუსული ნამცხვრები და ხორცულები მოართვეს.

მადლიანი წამალი კი ორ-ორჯერ კიდევ შესვეს — დოსტაქარ-სნეულმა. მათ შორის გაუგებრობა უკვე გარკვეული იყო, ხოლო ქალებს კი ვერასგზით ვერ გაეგოთ: ამ „უთავო და დიდმუცელა“ ცხოველის „სისხლი“ დამწვრის წამალი თუ იყო, ამ დოსტაქარს რაღა ჰქონდა „დამწვარი“, რომ ასეთი სურვილით სვამდა ამ „წამალს“?!

მხოლოდ ცოტა ხნის შემდგომ დოსტაქარ-სნეულმა მუნჯურ საუბარს რუსულ-ქართული სიმღერები რომ წამოაბეს, მაშინღა ინიშნეს ქალებმა „წამლის“ სიავკარგე. ამ ოთხი თვის განმავლობაში გმინვის მეტი არაფერი სმენიათ ანდრიასაგან, ახლა კი... მღეროდა იგი და მტკივან ხელს ხან მაღლა იქნევდა, ხან კი თავის ახალ დოსტაქარს მხარზე ჰხვევდა. ამ სხვადასხვა კროვნების ოსტატებს კი სულ საოცრება სჭირდათ, აქამდე თუ უენობა და ფხიზლობა უშლიდა ურთიერთის გაგებას, ახლა — ნაქეიფრებს შესანიშნავად ესმოდათ ერთმანეთის გუნება და სიმღერა.

მესამე დიდ ჯამ-ჭიქის შემდგომ, ჯაბამ ისევ მანასე ჯიღაური მოიგონა და ტიკჭორას თავი მოუკრა.

* * *

მოლაპარაკება მფარველობა-დახმარებაზე რუსთ ხელისუფალთა და კახ ელჩებს შორის კეთილად ვითარდებოდა. კეთილად ვიდოდა ჯაბას დოსტაქრობაც. სამ დღეში ერთხელ აკითხავდა ხელდამწვარს. სამი რამეც აუკრძალა: არაყის სმა, აბანოში წასვლა და დოსტაქრის ვინაობის გამჟღავნება.

თანდათან იცლებოდა ტიკი. უფრო და უფრო მეტ ხანს უხდებოდა დოსტაქარს სულის ჩაბერვა. სამაგიეროდ — ხელიც შესამჩნევად უშუშდებოდა ჩოხოვს. ნას უკვე შესანიშნავი ძილიცა და მადაც მოუბრუნდა.

მეტად დამეგობრდნენ. დინჯად საუბრობდნენ. ერთი ქართულად, მეორე რუსულად. ერთი ალთას იყო, მეორე ბალთას. დაბოლოს, სულ რომ ვერ გაიკარებდნენ მიხვედრის ბაიბურს, გულღია ხარხარი აუვარდებოდათ ორთავეს.

ეს კი გააგებინა ჯაბამ, რომ იგიც ოსტატია. მაშინ უფრო დამეგობრდნენ. ანდრიამ ხანჯლის ნაკეთობა და ფოლადი უკვე მოამქრის თვალით გასინჯა. ფრიად მოუწონა. ცერს მაღლა აწეულად უჩვენებდა.

ჯაბამ ხელად შეიხსნა და ქამარ-მათარითურთ აჩუქა.

ანდრიამ თოფხანაში წაიყვანა. მრავალი თოფი აჩვენა.

ჯაბას ერთი „დასავლური ჩახმახა“ მოეწონა, ხელში შეათამაშა თვალანთებულად. ჩოხოვმა თოფი ტყავ-ბუდიანად აჩუქა ჯაბას.

მესამე კვირაზე დოსტაქარმა კიდევ ერთხელ შეუხსნა მკლავი. ქორფა, ლეღვის კანივით ჩვილი ტყავი გადაჰკროდა მთელ იარას. პირი შეკრული ჰქონდა დანაწვავს.

ანდრიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. — მარჯვენა უბრუნდებოდა ოსტატს. მისი შინაურები ხომ სულ ჯაბას მზეს ლოცულობდნენ. მან კი ისევ დასცხო მალამო და შეუხვია. თითებზე ჩამოუთვალა:

— შვიდი დღის შემდეგ მე თავად წაგიყვან აბანოში და მორჩა! მერმე კი შენ იცი და შენმა ზარბაზნებმა! მტერი საერთო გვყავს და აბა ჰა!

თანაც გულში მჯილი დაირტყა ჯავრიანად: ოჰ, ერთი ამასთან საუბრით მაჯერებინა გული!

კვირის ბოლოს ისევ ზოსიმე-პირველელჩთან მივიდა, კრძალვით შეევედრა. ზაზა-თარჯიმანის წაყვანის ნება სთხოვა.

— ოღონდ თავის დროზე მობრუნდით! — უმალ ნება დართო პირველელჩმა. — ოცნებათა და საოცრებათა ქვეყანაში ვიმყოფებით, რასაც ნახავთ და შეისწავლით — ყველაფერი საშანდობლივია, თანაც საჭირო!

ორ მეზარბაზნეთ შორის დიდ გაწამაწიაში ჩავარდა ახალგაზრდა თარჯიმანი. ორივე ერთდროულად და ორივე თავისას გაიძახოდა. მრავალი დაუგროვდათ სათქმელი: დამწვრისა თუ წამლისა, თოფისა თუ ხანჯლისა, ზარისა თუ ზარბაზნისა, რუსეთისა თუ ივერიისა. და ყველაფერი ერთად უნდოდათ. ჭირის ოფლი გადასკდა ზაზას. გოდუნოვისა და ზოსიმეს საუბრის თარგმნა არ გაჭირვებია ასე. შინაური დედაკაცები უმზერდნენ ამ სურათს, ჰკვირობდნენ და იცინოდნენ. ბოლოს ანდრიას სახლობამ ველარ მოითმინა, თავის ზორბა ტან-ხელები გაფარჩხა და ორთავ ოსტატს დაუტატანა:

— აცალეთ მაგ ხუჭუჭას!.. ნეტა ასეთი რა დაშავა! ლამის გაჰგლიჯოთ ჭაბუკი?!

ჩოხოვი ჯერ გაუწყრა ცოლს, მერმე გადაიხარხარა. თითქმის მორჩენილი ხელი, მხარზე დაჰკრა ზაზას:

— წავიდეთ საზარბაზნოში. იქ გაჩვენებთ ამის მორჩენილი ხელის ოსტატობას! — და თითქოს თარგმანს არ ენდო, ჯაბას თავად წაავლო ხელი და დიდ საამქროში შეიყვანა.

გრემელი ოსტატი გულდაგულ დაეწაფა მისთვის სანუკვარ სანახაობას. დიდ ეზოში ორი სალითონე ფარდული იდგა. დიდი სამჭედური, საყალიბო, საწყობები. აქვე ეყარა ლითონის ჯართი. დიდი ყაფანი იდგა. ახლოვე ბორბალსაქაჩიანი ჭა. განზე კი — ძელურ ფორეზე ზარბაზნები ეწყო. დიდი ქვემეხები ქვედამხობილ საწნახლებს ჰგავდნენ. უფრო მორჩილნი წამოქცეულ კოდებივით, ხახაღიად იმზირებოდნენ. ზოგი კი მზეზე ალაპლაპებულ ორაგულივით იყო „ხმელეთზე“ გაშხვართული.

ჯაბას თვალში ეს ზარბაზნები ერთობლივ ადგნენ, ირან-თურანისაკენ იბრუნეს პირი და დაიქუხეს.

— ჰაი დედასა, ზაზავ! ჩვენ ხალხს მისცა ამ მეხის ძალა?! შენ მაშინ გენახა გრემის სახელი!

მეორე მხრივ ზარების რიგი მისდევდა ეზოს კიდეს. დიდ ზარს ჭუჭულებივით შემოსეოდნენ მომცრო და მცირე ზარები. ზოგიერთი გატეხილი ამობრუნებულად ეგდო და კახელებს საოცრად აგონებდა მიწიდან ამოღებულ გატეხილ ქვევრს.

როდესაც დახურულ საყალიბოში შევიდნენ, უეცრად თვალი მოსჭრათ გავარვარებულ ლითონის ნაკადულმა, რომელიც დიდ ღუმელიდან — ყალიბში ჩადიოდა.

— მცირე ზომის ზარებსა და ზარბაზნებს, უკვე ზამთარშიაც ვასხამთ, — ამაყად განუმარტა მთავარმა ოსტატმა და თავის მრავალ მოწაფეებს გადაჰხედა.

მეორე ღუმელში ლითონს ჰყრიდნენ. აქვე იყო დაფაც, ზედ შენადნობის წონა-შეფარდება ეწერა. — ჩაწერით ვერაფერს ჩაგაწერინებთ, წესი არ არის. ისე კი რასაც დაიმახსოვრებთ, თქვენი ხეირი იყოს, ქრისტიან-ძმობილებო! — და ვიდრე ზაზა გრემელ ოსტატს უთარგმნიდა მოსკოველ ოსტატის ნათქვამს, მან გულიანად დასძინა:

— არ გამომიშვებენ თუ არა, მე თავად წამოვიდოდი იმ ვაზებისა და საყდრების ქვეყანაში. ზარბაზნები და ზარები მაშინ გენახათ!

— კაცი ეგ ყოფილა! — შესძახა ჯაბამ, — ზაზავ, დაიზეპირე... დაგვჭირდება, ულვაშს ვფიცავ! — ზაზა დაფას მიაყენა, თავად კი ღუმელი ჩაძიებით დაათვალიერა, შეიგულისხმა.

ერთხელ კიდევ „დააზეპირებინა“ ჯაბამ ზაზას, როდესაც დენთის საამქროში ნახშირისა და გვარჯილას შეთანაზრების ცხრილს წააწყდა.

— დახე, დახე. რუსული თოფის წამალი სხვა ნარევისა ჩანს! ესეც ვცადოთ!.. ჰაი დედასა! მომავალში გრემულ ზარბაზნისათვის გამოგვადგება!

ჩოხოვი გულდასმით უხსნიდა თავის სტუმრებს ცეცხლის იარაღის ოსტატობას „მაჰმადიანთა რჯულის“ გასაწყვეტად.

სამჭედლოში კი ჯაბამ გადიგდო ჩოხა და შეგირდის ტყავის საფარი იფარა. ხელმარჯვედ ხმალი გამოწკიპა და წრთობის გორდა-ხევსურული წესი აჩვენა. თოფხანაში კი ლულის დაზარნიშების გრემული ოსტატობა გაუზიარა.

— ბარი-ბარში ვართ, ძმობილო! ბარი-ბარში! — ჯაბამ ტყავსაფარი წამოიძრო და ახლა ზაზას შეეკითხა შეეჭვებულად, — ბიჭო, რუსულად გამოგივა „ბარი-ბარში?“

— გამოვიყვან! ტაკ ნა ტაკ გამოვიყვან!

— ჰოდა აბა მიდი. გრემული ზარბაზანი კი ჩემზე იყოს!

დღევანდელი დღე აღდგომა იყო ჯაბასათვის, მაგრამ იგიც დამთავრდა. ნასიამოვნები მასპინძელ-სტუმრები გვიან მობრუნდნენ სადგომში.

ჩოხოვის ოჯახობამ უხვი წვენ-ცხიმეული, დიდ-ლორები და უამრავი ხორცპურები თუ ყველცხობილები დაახვედრა.

ჯაბამ უკანასკნელად გაზერა დაჩუტული ტიკი და ჭურჭლებში ჩამოსწურა. პურის ჭამა გაუგრძელდათ. მარჯვენის მორჩენის აღსანიშნავად „ეშმაკის გუდის სისხლი“ თითო-თითო ჭიქა დედაკაცებსაც აგემეს.

კარგად რომ შენაყრდნენ და შექეიფდნენ, ჯაბამ მკლავი შეუხსნა ზარბაზნების ხელოვანს, დოლბანდ-წამალი გააცალა და მის გამრთელებულ მარჯვენას კახური ღვინო აპკურა:

— მშვიდობაში, ჩრდილო ძმაო! ათასი ზარი და ზარბაზანი! შენს ლოცვებში და საქმეში ივერიული ყურძნის წვენისა და თურმანაულის მადლი არ დაგვიწყებოდეს!

... მაგრამ ანდრიამ ასეთი „გაბანვა“ არ აკმარა თავის დოსტაქარს. სახლობას ზეწარ-პირსახოცები და არყის ცოცხები მოატანინა და „თანახმად პირობისა“ კახელები „რუსულ აბანოში“ წაიყვანა.

მისვლისთანავე განცვიფრდნენ კახნი. აბანოს ეზოში, შეშებთან, მინაქარ თოვლის გორა იდგა. აბანოს დაბალი კარი ზარბაზნის ტუჩივით იმზირებოდა... ზედაც წამდაუწუმ იღებოდა, ჯერ ორთქლი და ოხშივარი იბოლქვებოდა, მერმე ნამდვილ ყუმბარასავით გამოვარდებოდა წითლად გამოთუთქული დედიშობილა ადამიანი და ხარხარით თავს წარგავდა თოვლის გორაში... ახლა თოვლის ბუქსა და აბანოს ორთქლს არევდა...

— ჩვენი მეზარბაზნენი ბანაობენ და ერთობიან, — განუმარტა რუსმა.

— შენ ამ ხალხს დამიხედე! მართლა ყუმბარა-ხალხია! ამათთან არ დავიკარგებით. დიდება შენდა! — თავის მტერმომრავლებული სამშობლო მოაგონდა, — ახლა ამას დამიჯერებენ გრემში?! — ერთხელ კიდევ განცვიფრდა ჯაბა და ზაზას წაავლო ხელი:

— გადაუთარგმნე — იმ დიდს, კრემლში წალებულს, ვინ დაარქვა მეფე-ზარბაზანი?

— თედორე იოანესძემ და გოდუნოვმა, თორემ მე სხვა მქონდა გუნებაში — თვალი აბანოსაკენ გადუკრა ანდრიამ.

— ზარბაზან-ხალხი! ხალხის ზარბაზანი! — ერთად წამოიძახეს ჯაბამ და ზაზამ.

— დიახ — ხალხის ზარბაზანი! — უმალ დაუდასტურა მისმა შემოქმედმა და აბანოს მიაშურა. კახელებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ და რუსულ ორთქლის აბანოში წარგეს თავები.

# 10 და 38

ჩვიდმეტი დღის განმავლობაში, დღისით და ღამით ენთო ქალაქ მელბურნის „კრიკეტ გრაუნდის“ ვეება სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი. მთელი სპორტული სამყაროს ყურადღება, ისევე როგორც ოლიმპის მთიდან აქ მიტანილი ჩირაღდნის ცეცხლი, ამ დღეებში ოდნავადაც არ განელებულა; პირიქით, ყოველი ახალი ცნობა შორეული ავსტრალიიდან, უფრო და უფრო აღვივებდა მსოფლიოს ხალხთა ამ ინტერესს.

მთელი გვერდები ჰქონდათ დათმობილი ხუთი კონტინენტის გაზეთებსა და ჟურნალებს ამ გრანდიოზული ასპარეზობისათვის. იტალიურმა გაზეთმა „პაეზემ“ გამოაქვეყნა მხატვარ კამერინის ღრმაშინაარსიანი ნახატი: მორბენალს, რომელსაც ოლიმპიური ჩირაღდანი მოაქვს დანიშნულებისამებრ, შემხვედრი შემდეგი სიტყვებით მიმართავს: — დაუჯერეთ ჩემს რჩევას! თუ თქვენი ჩირაღდანი — მეგობრობის ჩირაღდანია, ნუ შეჩერდებით მელბურნში, იგი მთელი მსოფლიოს დედაქალაქებს შემოატარეთ!

ეს სიტყვები საუკეთესოდ გამოხატავენ მეგობრობისა და მშვიდობის ხულისკვეთების იმ ვითარებას, რაც სუფევდა XVI ოლიმპიურ თამაშებზე. ეს ჩირაღდანი ნამდვილად ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლოდ ენთო.

XVI ოლიმპიურ თამაშებზე 68 სახელმწიფოს უძლიერეს წარგზავნილთა მძაფრ და საინტერესო ასპარეზობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ ყველა მაჩვენებელში აჯობეს თავიანთ უახლოეს მეტოქეებს — ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს, როგორც ოქროს, ისე სხვა მედლების საერთო რაოდენობაში.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ საუკეთესოებმა მოიპოვეს საუკეთესოთა შორის. მელბურნის „საგზურებმა“, რომელთა პირველი სტრიქონები ლუჟნიკებში შეივსო, შემდგომში მრავალგზის წინაოლიმპიურ ასპარეზობებში მიიღეს დამოწმება.

საბჭოთა სპორტის ღირსებას შორეულ ავსტრალიაში, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შვილებთან ერთად საქართველოს 10 სპორტსმენიც იცავდა. ამ ათეულმა გუნდს მოუპოვა 8 მედალი — 2 ოქროსი და 6 ბრინჯაოსი, — ანუ 38 ქულა.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა ნახევარს მოჭიდავეები შეადგენდნენ. ეს გასაგებიცაა: ბოლო წლების „მთავარ“ ასპარეზობებში და მათ შორის, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, ქართველმა მოჭიდავეებმა მრავალგზის ისახელეს თავი.

ასე მოხდა ამჯერადაც.

პირველი ოქროს მედალი საბჭოთა მოჭიდავეებს შორის მირიან ცალქალამანიძემ მოიპოვა. ამ ოსტატის სახელი კარგად არის ცნობილი მთელს მსოფლიოში. მირიანი მონაწილეობდა 1954 წლის ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში, მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებაში, რომლებშიც მან საპრიზო ადგილები დაიკავა. მას იცნობენ, როგორც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბუდაპეშტის ფესტივალისა და საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონს, ბევრ საერთაშორისო შეხვედრაში გამარჯვებულს. მაგრამ მელბურნის საჭიდაო ხალიჩაზე გამოსვლა ეს იყო მისი „ოლიმპიური“ დებიუტი. ჯერ კიდევ ფინალამდე მირიანი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: მის მთავარ მეტოქეებს მასზე ნაკლები საჯარიმო ქულები ჰქონდათ მიღებული. საჭირო იყო, არა მარტო მაღალი ოსტატობის მოხმარება, არამედ მთელი ნებისყოფის დაძაბვა, და რაც მთავარია, ტემპერამენტის, დიდი აქტიურობისა და შემტევი ბუნების შეხამება წინდახედულობასთან, სიფრთხილესა და გაანგარიშებასთან. ერთ


მ. ცალქალამახიძე


გ. კარტოზია


ნ. დვალიშვილი


ვ. ბალავაძე


გ. სხირტლაძე


რ. ძნელაძე


ნ. გვახარია


ბ. ნიკიტინი

პატარა უყურადღებობას შეეძლო ყველაფერი წყალში ჩაეყარა!

ამერიკელ დელგადოსთან, იაპონელ ასაისთან და ინდოელ დავართან გამარჯვების შემდეგ იგი ფინალში უმჩატესი წონის ორ სხვა უძლიერეს მეტოქესთან მოხვდა. მოჭიდავეთა შეხვედრებს საერთოდ ბევრი მაყურებელი ესწრებოდა, მაგრამ „საფინალო მატჩების დღეებში მელბურნის საგამოფენო დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. მირიან ცალქალამანიძემ ღირსეულად დაიცვა საბჭოთა სპორტის პრესტიჟი. მან გაუსწრო ცნობილ ირანელ მოჭიდავეს ხოჯასტეპურს და მსოფლიო ჩემპიონს აკბასს (თურქეთი) და ოქროს მედალი დაიმსახურა.

ეს გამარჯვება იმითაც იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ იგი ჩვენი გუნდისათვის ერთადერთი გამოდგა თავისუფალ ჭიდაობაში. მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე (ქვესაშუალო წონა) და ძლიერი მოჭიდავე გიორგი სხირტლაძე (საშუალო წონა) თავიანთ წონით კატეგორიებში მესამე ადგილებზე გავიდნენ. უნდა ითქვას, რომ სხირტლაძეს საერთაშორისო შეხვედრებში „ბედი არ წყალობს“. მიუხედავად შესანიშნავი ფინიშისა (მან ზედიზედ მოიპოვა სუფთა გამარჯვებები ფილიპინელ არკეილსზე, სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელ ვან ზილზე), ტურნირის საბოლოო ცხრილში გიორგის ორი ძლიერი მეტოქე „გაექცა“ წინ.

ტრიუმფალური იყო საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლები კლასიკურ ჭიდაობაში. ამ ტრიუმფში თავისი წვლილი შეიტანეს გივი კარტოზიამ და რომან ძნელაძემ.

ეს მოჭიდავეები, მიუხედავად ძალზე განსხვავებული სპორტული სტაჟისა, პირველად მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში. თუ გ. კარტოზიას უკვე დიდი ხანია განთქმული აქვს სახელი, როგორც საშუალო წონის „№ 1 ფალავანს“ მთელ მსოფლიოში, რ. ძნელაძემ სერიოზული ყურადღება მხოლოდ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მიიქცია.

და თუ გივი კარტოზიას მიერ მოპოვებული ოქროს მედალი ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ ვაჟკაცის უძლეველობას, არა ნაკლებ მრავლისმეტყველია რომან ძნელაძის ბრინჯაოს მედალი.

ჩვენ მოჭიდავეებთან ერთად აუცილებლად უნდა გავიხსენოთ წინა ოლიმპიადის ჩემპიონი, მოჭიდავე დავით ციმაკურიძე. იგი ამჯერადაც იყო საბჭოთა ოლიმპიური დელეგაციის წევრი, მაგრამ ახლა მწვრთნელის როლში.

ერთადერთი სპორტსმენი საქართველოდან, რომელიც ჰელსინკისა და მელბურნის სტადიონებზე იცავდა ჩვენი სპორტის ღირსებას, — იყო მძლეოსანი ნადეჟდა დვალიშვილი. ნადეჟდამ გაიმეორა თავისი შედეგი: როგორც XV ოლიმპიურ თამაშებზე, მან „კრიკეტ გრაუნდის“ სტადიონზეც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მხოლოდ ამ მედლის მოპოვების გზა შეიცვალა და... შემოკლდა. მაშინ, 1952 წელს, იგი მსოფლიოს უძლიერეს მორბენლებს 200-მეტრიან დისტანციაზე შეება მძიმე ბრძოლაში და ფინიშთან მესამე იყო. ახლა კი ბრინჯაოს მედლის მოსახვეჭად „სულ რაღაც“ 6 მეტრი და 7 სანტიმეტრი იმყოფინა... სიგრძეზე ხტომაში.

ორი დანარჩენი მიღწევა წყალში იქნა „ნაპოვნი“. ამ „პოვნას“ არა მარტო ცალკეული სპორტსმენების მაღალი ოსტატობა დაჭირდა, არამედ მთელი კოლექტივის შეუპოვარი სწრაფვა გამარჯვებისკენ. ბორის ნიკიტინმა ამანათცურვაში 4 × 200 მეტრზე თავისუფალი სტილით, ხოლო სპორტის ოსტატმა წყალბურთელმა ნოდარ გვახარიამ — თავისი წვლილი შეიტანეს საბჭოთა გუნდების მესამე ადგილზე გასვლაში.

გ. აკოფოვი,
მ. კაკაბაძე.

# მიხეილ დოროთეს ძე წინამძღვრიშვილი



1956 წლის 28 დეკემბერს ქ. თბილისში, 75 წლის ასაკში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე აკადემიკოსი მიხეილ დოროთეს ძე წინამძღვრიშვილი.

მ. დ. წინამძღვრიშვილი იყო გამოჩენილი საბჭოთა თერაპევტი, ბრწყინვალე კლინიცისტი და ნიჭიერი პედაგოგი.

მ. წინამძღვრიშვილმა საექიმო მოღვაწეობის პირველი პერიოდი გაატარა ხარკოვის უნივერსიტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკაში, იმ დროის გამოჩენილი თერაპევტის პროფესორ გიორგიევსკის ხელმძღვანელობით. სადაც ჯერ ორდინატორად მუშაობდა, ხოლო შედარებით მოკლე ხანში არჩეულ იქნა კათედრის ასისტენტად.

1914 წელს მ. წინამძღვრიშვილი ჩამოვიდა საქართველოში. 1921 წელს მან პირველმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და სამათეულ წელზე მეტს მოღვაწეობდა სამედიცინო ინსტიტუტში. მან შექმნა თავისი სკოლა, სადაც აღიზარდა ბევრი გამოჩენილი სპეციალისტი. მისი სახელმძღვანელო „შინაგან სნეულებათა კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები“ განუყრელი მეგობარია არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ ექიმებისა და პედაგოგიური პერსონალისათვის.

1946 წელს განხორციელდა წინამძღვრიშვილის დიდი ხნის მისწრაფება. მისი ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა, საბჭოთა კავშირში პირველი კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის სახით მან შექმნა ფრიად საჭირო დაწესებულება, უახლესი აპარატურით. ინსტიტუტის ნაყოფიერი და მრავალმხრივი მუშაობა მიმართულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების ძიებისაკენ, მათი წარმოშობის მიზეზების შესწავლისაკენ.

ამ ინსტიტუტის კედლებში მ. წინამძღვრიშვილმა სინამდვილედ აქცია თავისი დიდი ხნის ოცნება — დაენერგა კლინიკაში ექსპერიმენტულ-ფიზიოლოგიური მიმართულება.

მ. წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით ინსტიტუტისა და კათედრის თანამშრომლების მიერ შესრულებულია 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ რიცხვში ოცდაათამდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციაა.

პირადად მ. წინამძღვრიშვილს შესრულებული აქვს 60-დე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია. იგი მონაწილე იყო თერაპევტთა საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობებისა, რომლებზედაც ყოველთვის საპროგრამო მოხსენებებით გამოდიოდა.

ბოლო დროს მ. წინამძღვრიშვილი აწარმოებდა დიდ მუშაობას გულის დაავადებათა ნაკლებად შესწავლილ და საკამათო საკითხებზე მიოკარდიუმის პათოლოგიის შესახებ. მან შესძლო მოეწოდებინა ჰიპერტონიული დაავადების და გულის კუნთის დაავადებათა ახალი ორიგინალური, სამუშაო კლასიფიკაციები, რომლებმაც საყოველთაო მოწონება და გამოყენება ჰპოვეს, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე რესპუბლიკის გარეთაც. საქართველოში მან პირველმა შემოიღო ეგრეთ წოდებული გულის ორთოპერკუსიული გამოკვლევა.

მ. წინამძღვრიშვილის დიდი დამსახურება კიდევ იმაში გამოიხატება, რომ იგი ყოველთვის მიისწრაფვოდა მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებთან შემოქმედებითი აკადემიური მუშაობისა და მეგობრობის განმტკიცებისკენ.

მისი ხელმძღვანელობით მოეწყო კარდიოლოგიის ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესიები ქ. კიევსა და ლენინგრადში. როგორც პირადად თვითონ, ისე მისი მოწაფეები ხშირად მონაწილეობდნენ კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო სესიებში და კონფერენციებში. კარდიოლოგიის ინსტიტუტმა მ. წინამძღვრიშვილის ინიციატივით რამდენიმეჯერ გამართა ქ. თბილისში გაფართოებული სამეცნიერო სესიები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკები.

1947 წელს მ. წინამძღვრიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ნამდვილ წევრად.

უკანასკნელი წლების განმავლობაში იგი რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად და უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

პარტიამ და ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცა მ. წინამძღვრიშვილის დამსახურებას სამშობლოს წინაშე და დააჯილდოვა იგი ორდენებითა და მედლებით, მიანიჭა მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი არჩეული იყო საქართველოს და ქ. თბილისის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1946 წელს — საბჭოთა კავშირის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის საპატიო წევრად.

საბჭოთა მეცნიერებამ და მთელმა საზოგადოებრიობამ აკადემიკოს მ. დ. წინამძღვრიშვილის სახით დაჰკარგა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დაუღალავი მებრძოლი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა საბჭოთა ჯანდაცვის საქმეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, საბჭოთა ექიმების და მეცნიერების კადრების აღზრდის საქმეს, ფართო და უანგარო საზოგადოებრივ მუშაობას.

გ. ცაბაძე

კარდიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

# ქურთი პოეტები

სახელგამმა ახლახან გამოსცა საქართველოში მცხოვრებ ქურთი პოეტების რჩეული ლექსების კრებული. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი მკითხველი წიგნით ეცნობა ქურთი პოეტების ლექსების თარგმანებს.




ეროვნული ბიბლიოთეკა


კრებულში დაბეჭდილია ჯარდოე ასადის, ტოგარ ბროევის, ბახჩოე ისკოს, აზიზე ისკოს, მოროვ მამედოვის, ხაჩიკ მურადოვის, ქოლოზ შაროევისა და ადო ჯანგოევის ლექსები და პოემები.

ქურთი პოეტების ნაწარმოებთა ძირითად თემას საბჭოთა სინამდვილე შეადგენს. ისინი უმღერიან ხალხთა ძმობას, მშვიდობას, სამშობლოს, გმირ საბჭოთა ადამიანებსა და კომუნისტურ პარტიას.

ყურადსაღებია კრებულში მოთავსებული პოემები და ბალადები, რომლებიც ქართული ფოლკლორის მოტივებზეა დაწერილი.

წიგნი შეიცავს 126 გვერდს და ღირს 4 მან.

ტოგარ ბროევი

## მ შ ვ ი დ ო ბ ა

მშვიდობა შენდა, ხალხო ძლიერო,
მშვიდობამ ქვეყნად იბედნიეროს!
მშვიდობა—მზეა სხივების მფენი,
მშვიდობა არის დევიზი ჩვენი.
მშვიდობა ჰკურნავს ომის იარებს,
მშვიდობის დროშით მტკიცედ ვიაროთ.
ნუ შეგვაშინებს სისინი მტრისა,
თავისუფლების მტრებს — ჩვენი
რისხვა!
მეგობრობა და ძმობა ერების
საწინდარია ბედნიერების.
ძირს ჩაგვრა, სისხლისღვრა,
მონობის უღელი!
მშვიდობას ვუმღერით,
მშვიდობას ვუმღერით.
ხალხო, სიფხიზლე გვმართებს ორმაგი,
ქედს ნუ მოვუხრით ომის ქომაგებს!
ზიზღი მძარცველებს, მკვლელებს,
ყაჩაღებს,
ვინც ქვეყნად ომის ხანძარს აჩაღებს.
მშვიდობის დროშა ავაფრიალოთ,
მშვიდობის დროშით მტკიცედ ვიაროთ.
ომი მძარცველთა მონაგონია,
ომი არასდროს ხალხს არ სდომია.

მშვიდობის დროშა ბრწყინავს მზიური,
ძირს ყველა ომი აგრესიული!
ძირს ომი, სისხლისღვრა,
მონობის უღელი!
მშვიდობას ვუმღეროთ,
მშვიდობას ვუმღეროთ.
მტერი მშვიდობის ხელყოფას ბედავს,
გავარდა ტყვია, — მსოფლიო ხედავს:
ომის ცეცხლისგან მშვიდობას იცავს
ეგვიპტისა და ალჟირის მიწა.
ომი არასდროს ხალხს არ სდომია,
ომი მძარცველთა მონაგონია.
ომი დაამწვევს სოფლებს, ქალაქებს,
ხალხის სიმდიდრეს გააჩანაგებს.
მითხარ, ძმის სისხლი ძმამ რისთვის
ღვარა?..
მშრომელ ხალხს ომი არა სურს, არა!
ძირს ომი, სისხლისღვრა
და უამინდობა!
მშვიდობის მზე ბრწყინავს,
დიდება მშვიდობას!

თარგმნა
გიორგი კალანდაძემ

# შესანიშნავი სპექტაკლი

## გ. სუნდუკიანის „პეპო“ მახარაძის თეატრის სცენაზე

მახარაძის თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა გ. სუნდუკიანის კომედია „პეპო“.

სპექტაკლი მიეძღვნა ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობას. პიესა დადგა რეჟისორმა გიორგი ვასაძემ, მხატვრულად გააფორმა მხატვარმა ი. ასკურავამ. დამდგმელმა რეჟისორმა ხწორად გაიგო პიესის იდეა და დამაჯერებლად მიიტანა იგი მაყურებლამდე. რეჟისორს კარგად უმუშავნია, როგორც მსახიობებთან, ისე ცალკე მიზანსცენების დახვეწაზე.




პეპოს როლს ასრულებდა ვ. დოლიძე. ნიჭიერმა მსახიობმა სპექტაკლის რიტმს დაუმორჩილა მის მიერ შექმნილი სახის მთელი შინაგანი მოქმედება.

დიდის პასუხისმგებლობითა და მონდომებით ასრულებდნენ თავიანთ როლებს სპექტაკლის დანარჩენი მონაწილეებიც.

ქებას იმსახურებს მხატვარ ი. ახკურავას დეკორაციები.

მახარაძის თეატრის ეს ახალი დადგმა გულთბილად მიიღო მაყურებელმა.




ეროვნული ბიბლიოთეკა











თბილისის კინოსტუდიამ უკანასკნელ ხანებში გამოუშვა სამი მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუკი“, „აბეზარა“ და „ჩვენი ეზო“. ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ჩანართზე ვბეჭდავთ კადრებს აღნიშნულ ფილმებიდან

# ბაში-აჩუკი



ეროვნული ბიბლიოთეკა











ეროვნული
ბიბლიოთეკა









# გამოჩენილი მეცნიერი — ვირუსოლოგი ა. შუბლაძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკის დროს მან ჩაფიქრებით მოაბრუნა ქვიშის საათი. უხმაუროდ ეშვება ოქროსფერი ქვიშის აბრეშუმის ძაფივით წვრილი ჭავლი. მისი გამოხედვა, ხმა, ვარდისფერი მომცრო ხელის მტევნები, მარგალიტის საყურეების მქრქალი ციალი მთელი სისრულით გაგრძნობინებთ ქალურ სინაზეს. ამიტომ განსაკუთრებით გაოცებთ, რომ მეცნიერული მუშაობის ოცზე მეტი წლის მანძილზე იგი გამუდმებით და გაბედულად იბრძოდა, რათა აღმოეჩინა ულმობელი, უხილავი და, მაშასადამე, განსაკუთრებით საშიში მტერი... — ასე დაგვიხატა პროფესორი ანტონინა კონსტანტინეს ასული შუბლაძე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელმაც იგი ლაბორატორიაში ინახულა მუშაობის დროს.

ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ იგი არ არის მარტო ლაბორატორიით შემოფარგლული მკვლევარი — გატაცებით უყვარს მუსიკა, ლიტერატურა, უაღრესად ქალურ საქმესთან — ქსოვასთან ერთად მანქანის საჭესთან დაჯდომა და ქალაქგარეთ გასეირნება. ამ დროს იგი ისვენებს, ახალი ენერგიით ივსება.

... თავდადებული შრომით და ახლის შეუპოვარი ძიებით აღსავსე გზაზე, რომელსაც სტუდენტობის წლებიდან განუხრელად მიჰყვება ანტონინა შუბლაძე, უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო მეცნიერთა სპეციალურ კომპლექსურ ექსპედიციასთან ერთად შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრება.

ცნობილმა საბჭოთა მეცნიერებმა ლ. ზილბერმა, მ. ჩუმაკოვმა, ვ. სოლოვიოვმა, ა. პანოვმა და სხვებმა, რომლებსაც გვერდში ედგა ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმის უფროსი ახალგაზრდა ქართველი ქალი, ათასობით კილომეტრი გაიარეს უკაცრიელ, პირქუშ ტაიგაში. მაგრამ საბჭოთა მეცნიერებს როდი სჩვევიათ სიძნელეებისა და დაბრკოლებების წინაშე უკან დახევა, მით უმეტეს, როცა საქმე შეეხება ჩვენი ადამიანების სიცოცხლეს.

შორეული აღმოსავლეთიდან — უკიდეგანო ტაიგაში გაფანტულ სოფლებიდან, ტყის მჭრელთა სადგომებიდან — ცნობა მოვიდა, რომ იფეთქა რაღაც უცნობმა სენმა. დაავადება თავის ტკივილით იწყებოდა. ამას თან ერთვოდა ქრქოლა და გულისრევა. ბოლოს ავადმყოფი ცნობიერებას ჰკარგავდა და კვდებოდა ან, უკეთეს შემთხვევაში, სამუდამოდ ინვალიდი რჩებოდა... აი, ტაიგის ამ ავადმყოფობის საიდუმლოების ამოხსნა დაევალა ზემოაღნიშნულ ექსპედიციას. ყოველგვარ გაჭირვებასთან ერთად მის წევრებს ემუქრებოდა უდიდესი საფრთხე — თვით ამ, ჯერ-ჯერობით უკურნებელი სენით დაავადება. მაგრამ ამის როდი ეშინოდათ მათ — დღედაღამ მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, შეძლებდნენ თუ არა დაავადების გამოცნობას? აღმოაჩენდნენ მის საწინააღმდეგო საშუალებას? რამდენი კვირა, თვე, წელიწადი დასჭირდება ყოველივე ამას?

ანტონინა შუბლაძის რაზმი ეპიდემიის გავრცელების კერის ცენტრში მუშაობდა. სადღაც აქ იყო ავადმყოფობის გამომწვევი, უხილავი, უცნობი, უვერაგესი მიკრობი. ამ პირობებში მუშაობისათვის კი საჭირო იყო ფიზიკური და სულიერი ძალის უკიდურესად დაძაბვა.

ტაიგაში ეს გაბედული შეჭრა ძვირად დაუჯდათ მამაც ადამიანებს — ექსპედიციის რამდენიმე წევრი მძიმედ დაავადდა და დიდხანს მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა; ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა პროფესორმა ჩუმაკოვმა ამ უმაგალითო კვლევას მსხვერპლად შესწირა თავისი მარჯვენა და ყურთასმენა.

მაგრამ აუწერელმა ტანჯვა-წამებამ, გაღებულმა მძიმე მსხვერპლმა, დაგროვილი მასალების გულმოდგინე შესწავლამ, უამრავმა ცდამ და უძილო ღამეებმა ბრწყინვალე შედეგი მოგვცა: ავადმყოფობა, რომელიც აზიანებდა ცენტრალურ ნერვულ სისტემას, აინვალიდებდა და ჰკლავდა ადამიანებს, გარკვეულ იქნა — ეს იყო შორეულაღმოსავლეთური ტკიპოკაბი ენცეფალიტი. მეცნიერებმა ცხადყვეს მისი ვირუსული ბუნება, იპოვეს, აგრეთვე, მისი გამავრცელებელი — ტაიგის ტკიპა, შეიმუშავეს უტყუარი სამკურნალო ვაქცინა.

ამგვარად, შორეულაღმოსავლეთური ენცეფალიტი — ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაშინელესი მტერი, დამარცხებულ იქნა. ეს იყო ჩვენი ვირუსოლოგიის დიდი გამარჯვება, ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანტონინა შუბლაძემაც.

ვირუსოლოგიამ მთელი არსებით გაიტაცა ანტონინა კონსტანტინეს ასული. იგი გახდა ამ ახალი მეცნიერების ყველაზე გამოუკვლეველი, ყველაზე რთული დარგის მუშაკი.

მედიცინაში ცნობილია დიდი ჯგუფი ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცული ნერვული ინფექციური დაავადებებისა. დასნეზოვნებული ავადმყოფნი აუწერელად იტანჯებიან და თუ სიცოცხლე შეუნარჩუნდათ, ინვალიდობას თავს ვერ აღწევენ.

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე დაუბრუნო მათ სიცოცხლის სიხარული!..

ასეთ დაავადებებს მიეკუთვნებოდა ეგრეთ წოდებული მრავლობითი სკლეროზი, რაც მედიცინისათვის მხოლოდ გამოცანას წარმოადგენდა.

ანტონინა კონსტანტინეს ასულმა კარგად იცოდა, სად შეეძლო მას, ვირუსოლოგს, გარკვეულიყო მრავლობითი სკლეროზის არსში — ეს ადგილი კლინიკა იყო. ავადმყოფის საწოლთან დაიწყო მან უკეთილშობილესი საქმიანობა. შუბლაძე კლინიკაში მუშაობს ცნობილ საბჭოთა ნევროპათოლოგთან პროფესორ მიხეილ სიმონის-ძე მარგულისსთან. პროფესორმა მარგულისმა პირველმა გამოთქვა თეორიული ვარაუდი იმის შესახებ, რომ მრავლობით სკლეროზს უმჭიდროესი კავშირი აქვს მეორე ნერვულ დაავადებასთან — მწვავე ენცეფალომიელითთან, და არის მისი მეორე სტადია. ამგვარად, ყველაფერი, რაც ეხებოდა ენცეფალომიელითის შესწავლას, შუქს ჰფენდა აგრეთვე მრავლობითი სკლეროზის პრობლემას.

საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვით კვლევა ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა სხვადასხვა ლაბორატორიაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ენცეფალომიელითთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პრობლემას ამუშავებდა პროფესორი ვალენტინ დიმიტრის-ძე სოლოვიოვი — ანტონინა კონსტანტინეს ასულის მეუღლე და თანამებრძოლი.

მეტად რთული საქმე იყო გასაკეთებელი. ამიტომ ხშირად იმედს გულგატეხილობა სცვლიდა, გულგატეხილობას — ახალი იმედი... და, ბოლოს, მაინც იქნა მიღწეული გამარჯვება — აღმოაჩინეს მწვავე ენცეფალომიელითის ვირუსი, დაადგინეს მისი კავშირი მრავლობით სკლეროზთან. გასაგებია, თუ რა მხნედ, იმედით აღვსილნი განაგრძობდნენ მეცნიერები მუშაობას, რათა შეექმნათ ამ დაავადების დიაგნოსტიკური პრეპარატი და სამკურნალო ვაქცინა. კვლავ ცდები, თავდაუზოგველი ძიება და მედიცინამ შეიძინა უძვირფასესი სამკურნალო საშუალება, რომელსაც შუბლაძე-მარგულისის ვაქცინა ეწოდება.

ახლა მთელ მსოფლიოში ცნობილია როგორც ეს უებარი ვაქცინა, ისე მისი შემქმნელების — ანტონინა შუბლაძისა და განსვენებულ მიხეილ მარგულისის სახელები.

ამის ცხადსაყოფად მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

ივონა დე ბრეინს, ბელგიის ერთ-ერთ პატარა ქალაქ დეინცში მცხოვრებ ახალგაზრდა ქალს, რამდენიმე წლის წინათ ატკივდა ხელები და ფეხები. ბოლოს მას უკვე სიარულიც აღარ შეეძლო. ბელგიელმა ექიმებმა ვერ გამოიცნეს დაავადება და, რასაკვირველია, ვერ იპოვეს მისი განკურნების საშუალება. ერთხელ ივონას მეუღლემ, რომელიც სისტემატურად კითხულობს ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზს", ჟურნალში ნახა წერილი სსრ კავშირში სამედიცინო მომსახურების შესახებ და ყურადღება მიაქცია სამედიცინო რჩევა-დარიგებებს, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალის ამ ნომერში რედაქციის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული წერილის პასუხად.

— მივწერ და ვკითხავ მათ, რას ფიქრობენ შენი ავადმყოფობის შესახებ, — გაუზიარა თავისი აზრი ივონას მისმა მეუღლემ ვილიმ.

მალე შეკითხვის პასუხად მან საბჭოთა კავშირიდან მიიღო წერილი.

„ჩვენ ვვარაუდობთ, — ნათქვამი იყო წერილში, — რომ ეს არის მრავლობითი სკლეროზი. ამ ხანგრძლივ დაავადებას იწვევს ზურგის ტვინის ვირუსი. პროფესორებმა შუბლაძემ და მარგულისმა ერთად აღმოაჩინეს შრატი, რომელიც დადებით შედეგებს იძლევა".

რამდენიმე ხნის შემდეგ საბჭოთა კავშირიდან გაიგზავნა ამანათი, რომელშიც იყო ამპულები ამ შრატით. ბელგიელი ექიმი კოლი, რომელიც მიღებული შრატით ივონას მკურნალობდა, თვალს არ უჯერებდა — ავადმყოფი მალე გამოჯანმრთელდა და სიარული დაიწყო. ახალგაზრდა ქალი გადარჩენილ იქნა.

საბჭოთა კავშირიდან უკვე 26 ქვეყანას ეგზავნება შუბლაძე-მარგულისის ვაქცინა. ბელგიაში გაიგზავნა 23.530 ამპულა, საფრანგეთში — 6.988, ნორვეგიაში — 1.805... სრულიად საკავშირო გაერთიანებისაგან „სოიუზხიმექსპორტისაგან" ასობით ამპულებიანი ამანათი მიიღეს ეგვიპტემ, საბერძნეთმა, იტალიამ, დასავლეთ გერმანიამ, ავსტრიამ, კანადამ და სხვა ქვეყნებმა. იქიდან კი მოდის უამრავი წერილი, რომლებშიც განკურნებულნი უგულითადეს მადლობას უთვლიან ანტონინა შუბლაძეს წამლის შექმნისათვის.

შუბლაძე-მარგულისის ვაქცინის ამბავმა ოკეანესგადაღმაც მიაღწია. ამერიკიდან წერილი გამოგზავნა ჰასკლ ფილდმა, რომელიც დამბლამ ლოგინს მიაჯაჭვა. იგი ითხოვდა გაეგზავნათ მისთვის მრავლობითი სკლეროზის საწინააღმდეგო ვაქცინა. რასაკვირველია, მისი თხოვნა შესრულებულ იქნა. მაგრამ „სოიუზხიმექსპორტის" კანტორამ ფილდისგან მიიღო წერილი, რომელიც აღაშფოთებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის სიცოცხლე. ფილდის დავალებით წერილი დაეწერა მის მეგობარ ქალს.

„უღრმესი მადლობა საბჭოთა ადამიანებს ვაქცინის გამოგზავნისათვის. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, მე იგი არ გამომიყენებია. რადგან საბაჟოში უარი მითხრეს მის გაცემაზე. რასაკვირველია, საბაჟოდან შემატყობინეს ამანათის მიღების შესახებ, მაჩვენეს ყუთი და ამით დამთავრდა ყველაფერი..."

საინტერესოა, რატომ არ მისცეს ავადმყოფს წამალი კალიფორნიის შტატის ქალაქ ტაჰუნგის საბაჟოს მოხელეებმა?

— ჩვენთვის უცნობია ეს რუსული წამალი. — ასეთი იყო უარის მოტივი.

ფილდის მეგობრებმა მიმართეს შტატის დედაქალაქის ხელისუფლებას. იქ უთხრეს, რომ წამალი ახალია და ამიტომ აკრძალულია მისი გამოყენებაო. ასეთივე უარი მიიღეს მათ ვაშინგტონიდან — ჯანმრთელობის დაცვის მთავარი სამმართველოს განყოფილებისაგან.

მაგრამ შეიძლება კი ახალი დაერქვას წამალს, რომელიც უკვე მრავალი წლის მანძილზე ხმარებაშია? ხომ ფაქტია, რომ სსრ კავშირში ეს ვაქცინა იყიდება 1946 წლიდან, ხოლო 1953 წლიდან იგი ეგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანას.

ამას გარდა, შეუძლებელია ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის მესვეურთათვის ცნობილი არ იყოს, რომ ლილში პასტერის ინსტიტუტთან არსებულ „სალპეტრიერის" საავადმყოფოში საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გახსნა სპეციალური განყოფილება, სადაც მხოლოდ ამ ვაქცინით მკურნალობენ. 1956 წლის ივნისში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც მიეძღვნა ინფექციური პათოლოგიის საკითხებს, მოხსენებით გამოვიდა ამ ვაქცინის ერთ-ერთი ავტორი პროფესორი ანტონინა შუბლაძე. მან 36 ქვეყნის დელეგატებს უამბო 15 წლის შრომის შედეგებზე — მრავლობითი სკლეროზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე. საბჭოთა მეცნიერის ეს მოხსენება დაბეჭდა მრავალი ქვეყნის სამედიცინო პრესამ.

* * *

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ინფექციური ჰეპატიტის ლაბორატორიის თანამშრომლები და მათი ხელმძღვანელი ანტონინა შუბლაძე ამჟამად დაჟინებით ეძებენ ადამიანის კიდევ ერთ უხილავ მტერს: მათ უნდა გაარკვიონ, რა იწვევს ინფექციურ ჰეპატიტს — სიყვითლეს, რომელიც ძველთაძველი დაავადებაა და გავრცელებულია მსოფლიოს ყველა კუთხეში.

**დავით ბიწაძე**

# რუმინულ-ქართული კულტურის კავშირი წარსულში და დღეს

ქართველთა მეგობრობას რუმინელ ხალხთან დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია რუმინელ და ქართველ ხალხებს შორის არსებული ტრადიციული მეგობრობის მრავალი საინტერესო ფაქტი. ქართული და რუმინული არქიტექტურული ძეგლების მნიშვნელოვანი მსგავსება, ანთიმ ივერიელის (ანთიმოზ ქართველის), ბესიკის, მიხაი უნგრო-ვლაქელის და სხვათა სახელები მიუთითებენ უძველეს მეგობრობაზე რუმინელ და ქართველ ხალხებს შორის.

ცნობილი რუმინელი აკადემიკოსი კონსტანტინესკუ-იაში თავის შრომაში „რუმინულ-რუსული კულტურული კავშირი წარსულში“ საკმაოდ ვრცელ თავს უძღვნის ქართული და რუმინული არქიტექტურული ძეგლების შედარებას. იგი დიდ მსგავსებას პოულობს ქართული და რუმინული მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის. აკად. კონსტანტინესკუ-იაში აღნიშნავს, რომ დეალულუის მონასტერი, კურტეა დე არჯეშის, შტეფანე დიდის ეკლესიები და სხვა ისტორიული ნაგებობანი ძალიან გავს მცხეთის, სამთავისის, ბეთანიისა და ახტალის არქიტექტურულ ძეგლებს. მისი აზრით, ზოგიერთი რუმინული მონასტერი იმეორებს ქართულს.

XVII-XVIII საუკუნეებში რუმინეთსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს ანთიმ ივერიელის (ანთიმოზ ქართველის) ცხოვრება და მოღვაწეობა.

ანთიმი თურქებმა წაიყვანეს ტყვედ საქართველოდან. შემდეგ იგი მოხვდა უნგრო-ვლაქეთის მთავრის კონსტანტინე ბრინკოვანუს კარზე. ანთიმმა რუმინულ მიწაზე პოვა თავშესაფარი, ამიტომაც მან რუმინელთა ქვეყანას თავისი მეორე სამშობლო უწოდა. ანთიმ ივერიელმა შესანიშნავად იცოდა ბერძნული ენა. ჩქარა მან ბრწყინვალედ შეისწავლა, აგრეთვე, რუმინულიც. ანთიმმა სნაგოვში საკუთარი სტამბა დააარსა. იგი ბეჭდავდა რუმინულ, ბერძნულ, არაბულ და სლავურ წიგნებს. მრავალი უცხო ენის შესანიშნავი ცოდნა ხელს უწყობდა ანთიმს წიგნის ბეჭდვის საქმეში. ანთიმი შესანიშნავ უნარსა და ოსტატობას ამჟღავნებდა მხატვრობასა, ქანდაკებასა, ქარგვასა და ხელოვნების სხვა დარგებში. აღსანიშნავია, რომ იგი უმთავრესად ხატავდა სამშობლოდან მოტანილი მოდელების მიხედვით.

ანთიმ ივერიელის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი „დიდახიები“ (ქადაგებანი), რომელშიც აღწერილია რუმინელი ხალხის მძიმე მდგომარეობა თურქი დამპყრობლების უღლის ქვეშ.

რუმინელი თანამედროვეები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ანთიმის პიროვნებასა და მოღვაწეობას.

ანთიმი რუმინული კულტურის აყვავების ეპოქის უდიდესი მოღვაწეა. ამავე დროს მას მუდამ ახსოვდა საქართველო. როცა ანთიმმა შეიტყო რომ მეფე ვახტანგ VI საქართველოში სტამბის დასაარსებლად ემზადებოდა, თხოვა უნგრო-ვლაქთა მთავარს კონსტანტინე ბრინკოვანუს ნება დაერთო მისთვის, რათა დახმარებოდა ქართველებს წიგნის ბეჭდვის საქმეში. კონსტანტინე ბრინკოვანუს თანხმობითა და მოწონებით ანთიმ ივერიელმა საქართველოში სპეციალური დავალებით გამოგზავნა თავისი ღირსეული მოწაფე მიხაი უნგრო-ვლაქელი.

მიხაი საქართველოში ჩამოვიდა 1703 წელს. მან აქ ენერგიულად მოჰკიდა ხელი სტამბის მოწყობის საქმეს.

ახლად მოწყობილ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს მეფე ვახტანგ VI ხშირად გზავნიდა ვლაქეთში. ანთიმმა თვითონ გაუკეთა სახარებას შესანიშნავი ყდა და კონსტანტინე ბრინკოვანუს მიართვა. ამ წიგნს დართული ჰქონდა ვლაქეთის მთავრისადმი მიძღვნილი ლექსები. ვახტანგ VI მადლობას უხდიდა ვლაქეთის მთავარს სტამბის მოწყობაში დახმარებისა და ამ საქმის მცოდნე, ენერგიული მუშაკების გამოგზავნისათვის.

შესანიშნავი ისტორიული ტრადიციების მქონე მეგობრობა რუმინელ და ქართველ ხალხებს შორის განსაკუთრებით დიდ განვითარებას პოულობს ჩვენს დროში. ამ ხალხების დაახლოებას დიდად უწყობს ხელს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ფრონტზე მიღწეულ წარმატებათა ურთიერთგაზიარება.

1949 წელს ბულგარეთიდან მომავალი ქართველი მეცნიერები ნ. ბერძენიშვილი, ა. შანიძე და ო. გიგინეიშვილი ქ. იასში შეჩერდნენ. მათ აინტერესებდათ გამოჩენილი ქართველი პოეტის ბესიკის საფლავის მონახვა. რუმინელი ისტორიკოსების დახმარებით ქართველმა მეცნიერებმა მართლაც მიაგნეს ბესიკის საფლავის ქვას. პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ ბესიკის თანამემამულე პოეტებს შორის პირველმა ინახულა ბესიკის საფლავი.

თანამედროვე ქართველი საზოგადოება დიდ ინტერესსა და სიყვარულს იჩენს რუმინელი ხალხის ცხოვრებისა და კულტურისადმი. 1955 წელს სახელგამმა გამოსცა გრ. აბაშიძის მიერ თარგმნილი დიდი რუმინელი პოეტის მიხეილ ემინესკუს ლექსების კრებული. „ლიტერატურულმა გაზეთმა“ საგანგებო სტატია უძღვნა დიდი რუმინელი პატრიოტი პოეტის მიხეილ ემინესკუს დაბადების წლისთავს.

თბილისში სპეციალურად სწავლობენ რუმინულ ენას, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ უკეთესად გაეცნონ მეგობარი ხალხის ცხოვრებასა და მდიდარ კულტურას. ქართველი საბჭოთა საზოგადოებრიობა სიხარულით ადევნებს თვალს რუმინელი ხალხის წინსვლას. პოეტმა გ. ლეონიძემ თავის „რუმინულ დღიურებში“ ასახა რუმინელი ხალხის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მრავალი საინტერესო დეტალი, მისი ინტერესი და სიყვარული ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისა, თანამედროვე ცხოვრებისა და კულტურისადმი.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოებას მუდმივი კავშირი აქვს საქართველოსთან. რუმინელ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს ისიც, რომ 1953 წელს თბილისში დიდი წარმატება ჰქონდა რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენას. თბილისში სისტემატურად იღებენ რუმინულ წიგნებს, ჟურნალებსა და გაზეთებს, რაც საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად გავეცნოთ რუმინელი ხალხის წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, მის ისტორიასა და კულტურას.

საქართველოში ხშირად ჩამოდიან რუმინელი პოეტები, მეცნიერები, შრომაში წარჩინებული ადამიანები, მსახიობები და სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეები. წელს, ისე, როგორც შარშანაც, დიდი წარმატება ხვდა წილად რუმინელი მსახიობების გასტროლებს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

1955 წელს ოქტომბერში საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი რუმინელი ხელოვნებათმცოდნე და ისტორიკოსი აკად. კონსტანტინესკუ-იაში, რომელიც სწავლობს რუმინეთისა და ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურთიერთობას წარსულში. მასთან ერთად საქართველო ინახულეს რუმინეთის სხვა საზოგადო და კულტურულმა მოღვაწეებმა. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქართული არქიტექტურული ძეგლები, მუზეუმები, თეატრები და ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილები.

რუმინეთის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც, იმოგზაურეს რუმინელი ხალხის წარმომადგენლებმა. 1956 წლის 5 ოქტომბრის ნომერში გაზეთმა „ვეაკ ნოუმ“ (ახალი დრო) გამოაქვეყნა დელეგაციის შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ. დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ი. მორარუმ სპეციალური სტატია უძღვნა საქართველოს სათაურით: „დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი“. „საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას, — წერს იგი, ძნელია იმის არჩევა, თუ რა სჯობს ნახოს კაცმა. ჩვენი არჩევანი შეჩერდა საქართველოზე. შ. რუსთაველის მზიური სამშობლო ამიერკავკასიის ერთ-ერთი რესპუბლიკაა, რომელთანაც ჩვენ შორეული წარსული გვაკავშირებს“.

თბილისის ისტორიაში, მოგვითხრობს წერილის ავტორი, მრავალი შესანიშნავი გვერდია ჩაწერილი, მაგრამ საქართველოს არასოდეს არ განუცდია ისეთი აყვავება, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს. ი. მორარუ თავის წერილში აღნიშნავს საქართველოს მრეწველობის შესანიშნავ ტექნიკურ აღჭურვილობასა და მაღალ პროდუქტიულობას, მას სიამოვნებით შეუნიშნავს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთ წარმოებაში — თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატში — მეგობრულად მუშაობს 25 სხვადასხვა ერის წარმომადგენელი. ამ კომბინატის კლუბში, წერს ის, ჩვენ დავათვალიერეთ რუმინეთის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა, რითაც მეტად ნასიამოვნები დავრჩით. „მაგრამ ის, რაც განსაკუთრებით ჩაგვწდა გულში, აღტაცებით შენიშნავს ი. მორარუ, არის საბჭოთა ადამიანი, ქართველის დიდსულოვანი, კეთილშობილი და სტუმართმოყვარე ბუნება. ჩვენ საქართველოს დატოვების შემდეგ თან წამოვიღეთ ღრმა სიყვარულის თბილი გრძნობა ჩვენი ქვეყნის მეგობარ, ამ შრომისმოყვარე გულითადი ხალხისადმი“.

დელეგაციის მეორე წევრი ვასილე ჩიოკირლიე აღნიშნავს, რომ იგი დიდად ასიამოვნა რუმინული მეტყველების მოსმენამ თბილისში. ჩვენ, წერს ის, აღფრთოვანებულნი დავრჩით იმ უდიდესი ინტერესით, რომელსაც ქართველები იჩენენ ჩვენი ენისა და საერთოდ ჩვენი ხალხის მიმართ.

ქართველთა და რუმინელთა შორის არსებული მეგობრული კავშირის შემდგომი გაფართოება-გაღრმავებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გენიალური ქართველი პოეტის შ. რუსთაველის თარგმნას რუმინულ ენაზე.

გამოჩენილმა რუმინელმა პოეტმა ვ. კერნბახმა დიდის სიყვარულითა და გატაცებით მოჰკიდა ხელი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას რუმინულ ენაზე. იგი გაეცნო ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს; გადაიკითხა მრავალი ქართველი მწერლის ნაწარმოებები, დაათვალიერა ქართველი მხატვრების ნამუშევართა რეპროდუქციები, შეისწავლა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მასალები, ნახა საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის რამდენიმე სპექტაკლი, დაწვრილებით ესაუბრა პოეტ. გ. ლეონიძეს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და ა. შ.

ამგვარმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ვ. კერნბახმა დაამთავრა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. იგი უკვე დაიბეჭდა ბუქარესტში. „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულ ენაზე გამოცემა კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს ქართული ლიტერატურისადმი რუმინეთში.

ფ. ჯინჯიხაშვილი



რუმინელი სტუმრები ათვალიერებენ ი. ბ. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.

# გეოგრაფიის გაკვეთილი გრძელდება

ს. კინწურაშვილი

აგურით ან სხვა ადგილობრივი საშენი მასალით ნაგები, ხის ფართოაივნებიანი ასეთი სახლები ხშირად შეგხვდებათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ მათ. ისინი კოხტად არიან ჩამწკრივებული ქართველ მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქ რუსთავის ქუჩებში და ძველი გორის ახალ უბნებში. ასეთი სახლებით არის, აგრეთვე, გაშენებული საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა დასახლებული ადგილები — ონარი, ბიჭვინთა...

ეს არის საქართველოს რესპუბლიკაში ასაშენებლად განკუთვნილი საცხოვრებელი სახლის ტიპიური პროექტი „209“ სერიისა, რომელიც ჯერ კიდევ 1948 წლის 1 მარტს დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ. იმავე წელს მოსკოვში არქიტექტურის სახელმწიფო გამომცემლობამ ამ სახლის პროექტების კომპლექტი სამუშაო ნახაზების ალბომის სახით გამოსცა. ნახაზების კომპლექტი შედგება ოთხი ნაირგვარი, მაგრამ ერთი ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრით, მსგავსი დეტალებით და კომპოზიციური ხერხებით გაერთიანებულ. პროექტებისაგან. ფასადების არქიტექტურაში წამყვანია ქართული საცხოვრებელი ხუროთმოძღვრების ტრადიციებისათვის დამახასიათებელი, ჩვენს კლიმატურ პირობებში მეტად საჭირო კომპონენტი — აივანი. აივნის მოაჯირის ნახატი ძველი ხალხური ხუროთმოძღვრებიდან არის აღებული და გადამუშავებული. რამდენიმე ვარიანტი და, აგრეთვე, ქუჩაზე დადგმის შესაძლებლობის სხვადასხვაობა, ქმნის ამ სახლებით ახალი ქუჩის გაშენების ხუროთმოძღვრული ვარირების საშუალებებს. ყველაფერმა ამან განაპირობა ამ ტიპიური საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა ჩვენს რესპუბლიკაში — უკვე აშენებულია 500-ზე მეტი სახლი. და, აი, ჟურნალ „ოგონიოკ“-ის გასული წლის აგვისტოს თვის № 34-ში, მე-5 გვერდზე პატარა ფოტოსურათზე ჩანს ფართო, გამწვანებული ქუჩის პერსპექტივა და ორივე მხარეზე ჩამწკრივებული, ჩვენთვის ნაცნობი სახლები. ჰორიზონტზე ღრუბლებით დაფარული მთებია... ვკითხულობთ წარწერას — „ვიქტორიის ცენტრალური ქუჩა ლენინის სახელს ატარებს“. ასეთი ქალაქი, დაბა, ან სოფელი ჩვენში არ არის!... ფოტოსურათის თავზე კი ბუქარესტიდან გამოგზავნილი მ. იონესკუს პატარა კორესპონდენციაა.

ვიქტორია ახალი ინდუსტრიული სოციალისტური ქალაქია. მას საფუძველი ჩაეყარა რუმინელი ხალხის ფაშიზმზე დიდი გამარჯვების აღსანიშნავად. „მისი წლოვანება — ექვსი წელია, — წერს ი. იონესკუ, — ნიშნები: არ არის განაპირა უბნები, არ არის ბოლი — ბინები თბება ნატურალური აირით...“

მაშ ჩვენთვის ნაცნობი სახლები აუგიათ შორეულ რუმინეთში! რუმინელმა მშენებლებმა გამოიყენეს ტიპიური პროექტი, რომელიც დამუშავებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში („საქსახპროექტი“), რომლის ავტორებია ქართველი ხუროთმოძღვარი ლ. სუმბაძე და ქართველი ინჟინერი ი. ჯაფარიძე, და, ბოლოს, რომელიც განკუთვნილია საქართველოს პირობებში ასაშენებლად! ეს მრავალმხრივ სასიამოვნო მოვლენაა.

მ. იონესკუს წერილის სათაურმა — „გეოგრაფიის გაკვეთილი“ და ქართველი ხუროთმოძღვარის მიერ დაპროექტებულმა სახლებმა რუმინეთში მე გამახსენა ერთი ჭეშმარიტება — გეოგრაფია არ არის მხოლოდ ქალაქის ან დაბის სახელწოდება; გეოგრაფიული სახელწოდების იქით ყოველთვის წარმოგვიდგება ქალაქის ქუჩები, სახლები, ადამიანები... და ისევე, როგორც ყოველდღიურად ფართოვდება ადამიანთა კეთილი, მეგობრული ურთიერთობის საზღვრები, ისე გაფართოვდა ამ ცოცხალი, კოხტა შენობების გეოგრაფია, ასე გავიდა იგი სამშობლოს საზღვარს გარეთ...



ქ. ვიქტორიის ცენტრალური ქუჩის ხედი.



# თეთრხალათიანი ყმა

გიორგი ნაჭროშვილი ჰუმორისტული მოთხრობა მხატვარი ჯ. ლოლუა

ქუჩაზე რომ გადავდიოდი, ნაცნობი ბუღალტერ-ეკონომისტი დავინახე. დამდუღრულივით გამოვარდა ფოსტის შენობიდან. დაფეთებული იყო და შიშით იცქირებოდა აქეთ-იქით. მივუახლოვდი. ხელი რომ მოვკიდე, უეცრად შეკრთა და განზე გაიწია, მაგრამ მალე მიცნო. მკლავში ხელი გავუყარე და წავიყვანე. ფოსტას კარგა მანძილზე რომ გამოვცილდით, ცოტათი დაწყნარდა და მაშინღა ვკითხე — რა დაგემართა, ზურაბ, რა მოხდა-მეთქი.

— ნუღარ გამახსენებ, თუ ძმა ხარ... გონზე აღარა ვარ, — განწირულივით წამოიძახა ზურაბმა და ნაბიჯს აუჩქარა, — წავიდეთ... წავიდეთ....

— ბიჭო, რამ აგაფორიაქა... მითხარი, ეგებ გიშველო რამე...

— აარაა! ჩემს საქმეს აღარა ეშველება-რა... კაცო, ახლა გაზეთში რომ გამწერონ, სამართალში რომ მიმცენ, — არ გადავირევი?

საუბარში ლაღიძის წყლებთან გამოვსულიყავით...

— ზურა, რას მაწვალებ, ბიჭო, აღარ იტყვი, რა ჩაიდინე? მოდი, აგერ ჩავიდეთ, აჭარულ ხაჭაპურზე დაგპატიჟებ, წყალიც დავლიოთ... გულსაც გაიგრილებ და შენი ამბის მოყოლასაც მოასწრებ...

დამეთანხმა და სარდაფში ჩამომყვა. ხაჭაპური და სასმელი რომ შევუკვეთეთ, მან დაიწყო:

— ჭირმა დასწყევლოს და ამოაგდოს ზარმაცი კაცის სახსენებელი... და ამ ზარმაცებზე ყველაზე უარესები იცი, ვინ არიან? ვინც თავის ბედოვლათობას, ასე ვთქვათ, იდეურ გამართლებას მოუძებნიან ხოლმე — ჩემი მოწოდება ეს ხელობა არ არისო, მე სულ სხვა მიზანი მქონდა ცხოვრებაშიო და კიდევ ვინ მოსთვლის... თან ამ თითქოს განგებისაგან მისთვის ამორჩეულ მოწოდებაზე რომ ლაპარაკობს, თავის შესაძლებლობას აღარ ითვალისწინებს, თითქოს ყველაფერი მარტო სურვილზე იყოს დამოკიდებული. მეც ამ წუნიათა რიცხვს ვეკუთვნოდი და ამან დამღუპა. თურმე შენი ხელობა არასოდეს არ უნდა დაიწუნო. ტყუილად კი არ უთქვამს შოთას — მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდესო...

— ბიჭო, რა შორიდან უვლი, შენ რა დაგემართა, ის მითხარი!

— დამაცა, კაცო! ჩემი დაღუპვის ამბავი აგრე ადვილი სათქმელი არ არის... ჯერ ისევ აი ამ თითისხელა ბიჭი ვიყავ, — ზურაბმა საჩვენებელი თითი ასწია მაღლა, — დედამ აიჩემა, — ჩემი ზურიკო, ღმერთმა დაიფაროს, რომ ექიმი არ გამოვიდესო! რაო, თუკი ცალთვალა იაგორას გოგო ექიმია, თუ კრუხიჭამიაანთ თებროს ბიჭიც საექიმოზე შევიდა, თუ ზემოუბნელმა მიხაკომ ქალსაც და ვაჟსაც საექიმო დაამთავრებინა — და დედაჩემი ათიოდე კარის მეზობელს კიდევ ჩამოსთვლიდა ხოლმე და დაუმატებდა, — მაშ ჩვენ ვისზე რა ნაკლებნი ვართ, ისეთი რა შანაცოდარი გვაქვს, რომ ჩემი ზურიკო მინდორში გავგზავნოთ... განა იმიტომ ჩავბღუჲ მიწას მთელი ჩემი დღე და წუთისოფელი, რომ შვილიც ბარის მუშად ვაქციოო?!

ზურაბი ერთ ხანს ჩაფიქრდა, მერე განაგრძო:

— კაცო, ექიმობაზე უფრო კეთილშობილი პროფესია სად მოიძებნება ქვეყანაზე, მაგრამ ხომ გაგიგონია, მეტისმეტი — რეტის რეტიაო. გადაჭარბებული არაფერი არ ვარგა. აბა ეს კარგია, რომ ახლა თითო ავადმყოფზე თითო ექიმი მოდის?.. მერე ბევრი სოფელში წასვლასაც არ კადრულობს — სხედან ამ ნახევარ განაკვეთებზე, ზოგიც სულაც მთელი წლობით, იობის მოთმინებით ელოდება ადგილის გათავისუფლებას და...

— ისევ გადაუხვიე, ზურაბ.... — შევახსენე.

— კარგი... ერთი სიტყვით, ცხრა წლისა რომ მოვიყარე, იმის მერე სულ ის მესმოდა დედასაგან — შვილო, ეცადე, სიტყვა არ გასტეხოო. — ეს იყო ნატვრა, ოცნება, სასოება დედაჩემისა... და მეც ეს სურვილი ისე ჩამიჯდა გონებაში, რომ დღე და ღამე ექიმის პროფესიაზე ვოცნებობდი. წლები კი მიდიოდნენ... ოცნებაში ისე ღრმად შევცურავდი ხოლმე, სულ მოვწყდებოდი ამ დედამიწას. ხან წარმოვიდგენდი, ვითომ უკვე დავაუკაცებული ვარ, რომ ვზივარ აივანზე, პაპიროსს ვაბოლებ... შემორბის ამ დროს უცნობი დედაკაცი, შვილი მიკვდებაო — მოსთქვამს, მივრბივარ საჩქაროდ... მზეთუნახავი ქალიშვილი ისე მძიმე ავად ჰყავს, რომ იმედი ყველას დაუკარგავს, მე კი ვაძლევ რაღაც წამალს, რაღაც ხსნარს შევუშხაპუნებ და ხუთი წუთის შემდეგ ქალიშვილი წამოხტება... შემდეგ ვითომ შევუყვარდები იმ ქალიშვილს. ეს კიდევ არაფერი: წარმოვიდგენ, რომ დაბადებიდან ბრმებსაც კი თვალებს ვუხელ, კოჭლებს ფეხმართალ ადამიანებად ვაქცევ... მერე ქვეყნიერებას მოედება ჩემი სახელი, ვითომ მიწვევენ მსოფლიოს ყველა კუთხეში, ვაკეთებ რაღაც ფანტასტიკურ ოპერაციებს, თითქმის მკვდრებსაც კი ვაცოცხლებ... არა, არავითარი საზღვარი არა აქვს ჩემს ფანტაზიას.

ამასობაში ნელ-ნელა ხუთიანებიდან ოთხიანებზე ჩამოვედი და მერე აქა-იქ თითო-ოროლა სამიანიც და ერთი ორიანიც გამოერია ჩემს ნიშნებში, მაგრამ — დახეთ ჩემს სიბრიყვეს, — ეს სულაც არ მაწუხებს... დავხუჭავ თვალებს და ვხედავ ისევ ჩემს თავს, თეთრი ხალათით... ისევ აივანზე ვზივარ... ისევ სადღაც მეძახიან... ფიზიკის მასწავლებელი, დღეს ორიანი რომ დამიწერა, თურმე უკანასკნელ დღეშია, მივრბივარ საშველად... ჩემი წამლის შემდეგ მოხუცი ერთ დღეში ფეხზე წამოდგება, ტირის და ლუღლუღებს: „მაპატიე, ზურაბ, რა ვიცოდი, რომ თურმე არაჩვეულებრივი მოწაფე მყავდი, მაპატიეო“, და მეც დიდსულოვნად ვაწყნარებ ენადგაკრეფილ მოხუცს.

— გიგოს ხომ იცნობ, ნანობაშვილს? — მეკითხება უცებ ზურაბი, და მე ვერ გამიგია, რა კავშირი აქვს ამ კაცს მის ადრინდელ ოცნებებთან.

„რაღაც არ მაგონდება-მეთქი“, — ვპასუხობ...

— აკი გაგაცანი წვეულებაში, ელიკოსას რომ ვიყავით.... გახსოვს, რა სუფრა ჰქონდა — წუთით აუციმციმდა თვალები ზურაბს, მაგრამ მალე ისევ მოიღუშა... — ჰო, რა მინდოდა მეთქვა, იცი? მე და ეგ გიგო ახლო მეზობლები ვიყავით სოფელში, პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით... ისეც სულ ერთად ვიყავით, გარდა ზაფხულის დღეებისა, როცა გიგო შირაქისაკენ გასწევდა ხოლმე... ყანის მკისა და ლეწვის ცხარე დღეებში ისე გაირუჯებოდა მზეზე, ველარ იცნობდი... მე კი დედა არ მიშვებდა მინდორში — ჯერ ისე არ გამჭირვებია, ჩემი შვილი მინდორში გავგზავნო, შენი საქმე წიგნია, ეგ არის შენი ბარიცა და თოხიცაო.

საშუალო მე და გიგომ ერთად დავამთავრეთ და აი დავიწყეთ მზადება თბილისისაკენ წამოსასვლელად. დედაჩემმა გადასწყვიტა, რომ ახლა დადგა მისი ოცნების განხორციელების დრო. თბილისში წამოსვლის წინ დედამ ყველაფერს თავი მიანება და თან წამომყვა, გიგო კი არავის გამოუცილებია — არ ეცალათ. დედა ამის გამო კინაღამ წაეკიდა მეზობლებს:

— ნეტავი გამაგებინა, რა ხალხნი ხართო... არ გინდათ ბიჭი დააბინაოთ, რა გული გიძლებთ, რომ იმასაც კი არ კითხულობთ, რა დარგზე შედისო.

გიგოს მამამ უპასუხა:

— ჩემი შვილი, ვიცი, ყაჩაღი არ გამოვა და სხვა ხელობა კი რაც უნდა ის აირჩიოს, ოღონდ ერთი ლუკმა პური იშოვნოსო...

დედამ ხელი ჩაიქნია... გავედით სადგურზე... გზაში, თბილისამდე დედაჩემი იმდენს ეჩიჩინა გიგოს, რომ ისიც დაითანხმა და თბილისში რომ ჩამოვედით, ორივემ განცხადება სამედიცინო ინსტიტუტში შევიტანეთ.

სრულიად მოულოდნელად გიგო მიიღეს სამედიცინოზე... მე კი, წარმოიდგინეთ, ვერ მოვხვდი სიაში. ეს იყო მეხი, კატასტროფა... წყეულიც ვიყო, თუ იმ ღამეს დამძინებოდეს... მაგრამ წამხდარ საქმეს რაღა ეშველებოდა... წელიწადი არ გამიცდეს-მეთქი, სასწრაფოდ ეკონომიურზე შევიტანე განცხადება, მოვასწარი ჩაბარება — იქ უფრო ნაკლები

ხალხი აწყდებოდა; გულდაწყვეტილი დედა კი სოფელში გავისტუმრე და დავიწყე მეცადინეობა იმ იმედით, რომ მომავალ წელს სამედიცინოზე გადასვლას მოვახერხებდი...

არაფერი არ გამოვიდა... ის კი არა, მეორე წელს სამედიცინოს რომ მივაკითხე, მასხარადაც ამიგდეს, ეგ იმას ჰგავს მეფუტკრემ იურისტობა რომ მოინდომოს, აქაო და ორივეს თაფლში გვირევია ხელიო. ისწავლე იქ, სადაც ახლა ხარო. ასე ჩავრჩი საბოლოოდ ეკონომიურზე. დავამთავრეთ ორივემ უმაღლესი და ის იყო ომიც დაიწყო.

ერთ ხანს დავკარგეთ ერთიმეორე მე და ჩემმა სიყრმის მეგობარმა.

ომის მერე ისევ მოვნახე ჩემი ძველი ძმაკაცი. ისიც მშვიდობით დაბრუნებულიყო ფრონტიდან...

ახლაც, გიგოს რომ ვხვდები, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ისევ უწვერული ჭაბუკები ვართ... თუმცა მეც და იმანაც ცოლები შევირთეთ, მყუდრო ოჯახები შევქმენით.

მომენატრება ხოლმე გიგოსთან შეხვედრა.

— ბიჭო, შენს ამბავს აღარ ამბობ?..

— აი, დამაცა, უკვე მივუახლოვდით... ამ ერთი კვირის წინ, ღამის რვა საათზე კინოდან გამოვედი. „ავარას“ ვუყურებდი... მოვდივარ ქუჩაზე და ვღიღინებ: „ავარაუ, ავარაუ, ია გერდიჩმენუ ასმან თაქარანუუ... ავარაუ, დუნიააააა!“ ამ ყოფაში რომ ვარ, უცებ ქუჩის კუთხეში განათებულ წარწერას მოვკარი თვალი: „ღამის გადაუდებელი დახმარება“. დახეთ, პოლიკლინიკასთან გამოვსულვარ... გიგო ხომ სწორედ აქ მუშაობს. შევხედე, მეორე სართულზე სინათლეც ანთია, ქუჩაზე, შესასვლელთან, „მოსკვიჩი“ დგას, ზედ წითელი ჯვარი ახატია. მივხვდი, ეს მორიგე ექიმის მანქანაა, მგონი გიგო უნდა იყოს მორიგე ამ საღამოს. ვიფიქრე, მოდი შევუვლი, ეგებ ერთი საათით გამოვიტყუო, ცოტათი ყელის ჩასველება არ გვაწყენს-მეთქი. ბედზე ეს მანქანაც აქა ჰყავს. ხუთ წუთში მიგვაფრენს ყველაზე საუკეთესო რესტორანამდე.

გახსენებაზე ზურაბმა ახლა ტარხუნის წვენით ჩაისველა ყელი და განაგრძო:



— შევედი... ზის ეს ჩვენი გიგო კაბინეტში და ამთქნარებს. მარტოა. მოწყენილობისაგან აღარ იცის რა ჰქნას. გავუზიარე ჩემი მოსაზრება. ააგდო ქვა და შეუშვირა თავი, მითხრა: „პოსტს ვერ დავტოვებ, დილის რვა საათამდე აქ უნდა ვიყო... თუ გინდა, დილით გამომიარე და ხაშზე წავიდეთო“. ვეხვეწები — „ბიჭო, გამოდი ერთ წუთს, ქვეყანა არ დაიქცევა, ვითომ სასწრაფო დახმარებაზე ხარ წასული, რა მოხდა, ვინ გაიგებს“... ის მაინც უარზეა... ამ დავიდარაბაში რომ ვარ, იმ წუთს ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა. გიგოს სასწრაფო დახმარებაზე გამოუძახეს... მან ნიშნის მოგებით გადმომხედა, ხომ ხედავო, თავისი თეთრი ხალათი გაიძრო, სავარძელზე მიაგდო, მითხრა — „აქ დამელოდე, ნახევარ საათში დავბრუნდებიო“... „კეთილი და პატიოსანი-მეთქი“. მერე ჩანთას ხელი დასტაცა და გაიქცა.

ზურაბი ერთ წუთს ისევ დადუმდა და წყალი მოსვა.

— ვზივარ და ვუცდი... რის ნახევარი საათი, აგერ საცაა ათი შესრულება... აღარ ვიცი რა ვქნა... წამომიარეს მძიმე ფიქრებმა — დახეთ ერთი, რა კაბინეტი აქვს... როგორ ქათქათებს და ბზინავს აქაურობა. აგერ ახლაც გამოიძახეს, ვიღაცის სიცოცხლე უნდა გადაარჩინოს, ქვეყანაც მადლიერი დარჩება და ცოლ-შვილიც... მე კი მთელი სიცოცხლე ამ ციფრებს უნდა შევალიო. ციფრები და ციფრები... კარგი ჯარისკაცებივით რომ არიან ჩამწკრივებულნი... აფსუს, სად მაჯობა გიგო-ბიჭმა, ვფიქრობ ჩემთვის. რაო, განა მე არ მომიხდებოდა ეს ხალათი... მელვიძა

და ამ ხალათზე ვფიქრობდი, მეძინა და სიზმარში ვხედავდი, ეს იყო ჩემი ოცნება, თუმცა ახლა გამახსენდა, რომ ის ჯერ მე ხელში არა მჭერია...

— რაღა ბევრი გავაგრძელო, ისე ფრთხილად მოვკიდე ამ ხალათს ხელი, როგორც მართლმორწმუნენი ქრისტეს კვართს ეეხებოდნენ. გადავიცვი და ჩავიხედე სარკეში... რაღაც მაკლია... ჰო, მართლა სტეტოსკოპი... მაგიდის უჯრა გამოვწიე, ამოვიღე და გულის ჯიბეში ჩავიჩარე... მეორე — აი რაღაც რეზინისმილებიანი რომ არის, ღვინის გადმოსასხმელ მილს რომ ჰგავს, ფონენდოსკოპს ეძახიან, ისიც მოვნახე, ორივე წვერი ყურში გავიკეთე და მილი დაბლა დავუშვი...

ზურაბს უნებურად გაეღიმა:

— გამოვიჯგიმე სარკის წინ და ახლა კი მომეწონა ჩემი თავი... ვფიქრობ, მართლაც დამმშვენდებოდა ეს ხალათი. ვტრიალებ ამ სარკესთან, როგორც ცხრამეტი წლის გოგო პაემანზე წასვლის წინ... და უცებ, რატომ ის წუთი არ დაიქცა — უცებ კარი კი არ გაიღო, შემოამტვრია ვიღაცამ... შევხედე, შუახნის ქალია... სახე შეშლილს მიუგავს, ცალ მხარეს თმაც ჩამოშლია... პირდაპირ ჩემსკენ გამოექანა, დამეტაკა და მიმათრევს, რაღაცას გაიძახის — ვერც ვარჩევ — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩამესმის — „შვილი“, „სიკვდილი“, „ტაქსი“... ხალათის გახდა ვინ დამაცალა, სტეტოსკოპიც ჯიბეში ჩამრჩა და ის რეზინიც ყურებში მიკეთია... „ქალო, მე ექიმი არა ვარ“, ვიძახი, მაგრამ ვის ესმის... ქალი გაოგნებულია, გაავთრებულია, როგორც ძუ ვეფხვი... ესეც არ იყოს, როგორ დაარწმუნებ, ექიმი არა ვარო, იფიქრებს წამოსვლა ეზარება და მატყუებსო. ამოსუნთქვა ვერ მოვასწარი, ისე შემაგდო ტაქსში, უკანა კაბინის კარი მოიჯახუნა, შოფერს ქუჩა დაუსახელა და ისიც, კი არ წავიდა, გაფრინდა....

— კაცო, ამოგელო ხმა...

— ეეჰ, შე დალოცვილო, ახლა ადვილია ლაპარაკი. განა დამაცალა მოფიქრება?.. ისე წამიყვანა იმ ქალმა, ნიაღვარი რომ წაგლეკავს. ახლა შოფრისაც შემრცხვა... რაღაც ასე მგონია, სულ უკანასკნელ წუთში ყველაფერი გამოირკვევა და ეს საშინელი გაუგებრობა გაიფანტება-მეთქი... მაგრამ საქმეში ხარ? აგერ უკვე ქშენით ავრბივარ კიბეებზე... მესამე სართულზე რომ ავედი, მეოთხედან რაღაც ხმაური შემომესმა... მიცვალებულს რომ დაატირებენ, სწორედ ისეთი მოთქმა მესმის... ამიკანკალდა მუხლები, გულთან რაღაცამ ჩხვლეტა დამიწყო.

მე ღრმა ინტერესით ვუსმენ. ეს მართლაც უკვე სახუმრო საქმე არ არის, ზურაბი დამწუხრებული მომითხრობს.

— შევაღეთ კარი. ვეება ოთახი ხალხითაა გაჭედილი. სარეცელზე ავადმყოფი წევს... დასტრიალებენ თავსა და ტირიან. ხალხმა გზა დამიგდო, მაგრამ ფეხი წინ ვერ გადამიდგამს. ძლივს ამოვილუღლუღე — რა დაემართა-მეთქი... დედას ლაპარაკის თავი სადღა აქვს, მოხუცი ქალი მიახლოვდება, ალბათ, ბებია თუ არის; იმასაც ცრემლები ახრჩობენ... ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიამბობს, რომ თურმე მედიკოს, აგერ იმ ქალიშვილს, სარეცელზე რომ წევს, სახლის სახურავზე სარეცხი ჰქონდა გაფენილი. ცხრისნახევარზე ჩამოსახსნელად ასულა. ბნელში თურმე სარეცხის გასაფენი თოკები და ელექტრობის მავთულები ველარ გაარჩია ერთიმეორისაგან, გაიხლართა იმ მავთულებში, დაჰკრა დენმა და იქვე გული შეუწუხდა, მოცელილივით წაიქცა... მას მერე ველარ მოაბრუნეს...

— მივუახლოვდი... წევს ანგელოზივით გოგო. სიკვდილის ფერი ადევს. მაჯას ვუსინჯავ — აღარ უცემს, აღარც სუნთქავს, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა.

ზურაბი ჩუმდება და ერთ ხანს დაკვირვებით მიცქერის. მერე რაღაც სიამაყით აღსავსე კილოთი მეუბნება:

— ახლა ისეთ რაღაცას გეტყვი, რომ იქნებ შეხტე და შემოტრიალდე, წყეულიმც ვიყო თუ ასე არ მოხდეს. ამიტომ წინასწარ მოემზადე... მზადა ხარ? მაშ დამიგდე ყური — აქამდე ხომ გულზე ლოდი მეწვა, იმ მოხუცი ქალის სიტყვები რომ მოვისმინე, უცებ თავისუფლად ამოვისუნთქე. ვერ მიხვდი რამ გამახარა? სასწაული მოხდა — მილიონი შესაძლებელი შემთხვევიდან შემხვდა პაციენტი, რომელსაც შემეძლო დავხმარებოდი... ერთი შანსი მილიონის პირდაპირ... დავხუჭე თვალები და უცებ წარმომიდგა გერმანელების ეკლიანი მავთულხლართები, რომლებშიც ელექტროდენს ატარებდნენ. რამდენი ჩემი ჯარისკაცი გამიგზავნია იქ, ხომ მითქვამს შენთვის ოცეულის მეთაური ვიყავი, და როცა მარცხი მოხდებოდა — ამ ბიჭებს მაინც გონზე მოვიყვანდი ხოლმე, თუმცა გეგონებოდა ამ ქვეყნისანი აღარ არიანო. ფრონტზე ამის მეტი რა მინახავს... ეს გამახსენდა, მომაგონდა, როგორ ვშველოდი მათ და წარმოიდგინე სულ დამავიწყდა ვინ ვიყავი და რას ვაკეთებდი აქ. ახლა უკვე თამამად მოვკიდე ხელი — ავადმყოფი ზურგზე დავაწვინე, ბალიში გამოვაცალე, რომ თავი სხეულზე უფრო დაბლა ჰქონოდა, მერე თავთან დავუდექი, მაჯებში ხელი ჩავკიდე და ხელოვნური სუნთქვა დავაწყებინე. კარგად ვიცოდი, ამას სხვა წამალს ვერ მოუძებნიდნენ, მთელი მსოფლიოს აკადემიკოსები რომ მოეწვიათ კონსილიუმზე.

— როგორ უნდა დააწყებინო ადამიანს ხელოვნური სუნთქვა, ეს ჩემი ხუთი თითივით ვიცოდი... ფრონტზე უამისოდ ვერ გასძლებ... ხან წყალია გადასასვლელი, ხან მავთულხლართებია, ხან კიდე... ეშმაკმა წაიღოს, ვინ მოსთვლის... ისიც გამახსენდა — კაცმა ასეთ დროს იმედი არ უნდა დაჰკარგოს, თუნდაც ავადმყოფი ერთი, ორი, სამი საათის განმავლობაში ვერ მობრუნდეს; მაინც არ უნდა დაანებო თავი, სანამ სიკვდილის აშკარა ნიშნები არ გამოაჩნდება, სანამ სხეული ლაქებით არ აჭრელდება და არ გაშეშდება.

რომ აღარ სუნთქავს — ეს კი არაფერი. ეს ცრუ სიკვდილია, ასე ეძახიან მედიცინაში.

ჰოდა, მეც, როგორც გითხარი, დავიკაპიწე ხელები... გავიდა ერთი საათი. დავიქანცე, ოფლი ღვარივით მოდის სახეზე... უკვე მეშინია, ვაითუ გვიან არის-მეთქი, მაგრამ უეცრად, მეც ველარ შევნიშნე როდის მოხდა ეს, ქალიშვილს ლოყები აუვარდისფრდა, კი არ ამოისუნთქა, ამოიოხრა და თვალები გაახილა.

უნდა გენახა, რა ჟრიამული ატყდა ოთახში... მე-

ხვევიან, მკოცნიან, გულში მიხუტებენ და ტირიან... ლამის გამწეწონ და გამგლიჯონ. და შენ წარმოიდგინე ჩემი თავხედობა — შევიფერე ყველაფერი ეს და მეც ავტირდი.

ზურაბს მღელვარებისაგან უცებ ხმა გაუწყდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო:

— ჰო, იმას ვამბობდი... მეც ამიჩვილდა გული, შენ ხომ იცი ძალზე მგრძნობიარე ვარ. აქაო და რაკი ხუმრობა უყვარსო, ზოგს ასე ჰგონია დარდი არ ეცოდინებაო. არა, ძმაო, აგრე არ არის... იმათმა დარდმა და სიხარულმა პირდაპირ სახსრებში მომშალა. უეცრად ისევ ავადმყოფს დავხედე და...

ნეტავი არ შემეხედნა!

ქალიშვილი რაღაც გაოგნებული თვალებით იცქირება. აზრზე არ არის — რა მოხდა, რატომ წევს ამ ოთახში, რა უნდა აქ ოფლში გალვრილ ექიმს, რატომ დაუკაწრია დედას ლოყები, რა ატირებს ბებიას, რატომ ქვითინებენ მეზობლები... ვის დასტირიან? მას, მედიკოს? მერედა მას სატირალი რა სჭირს? ის ხომ სარეცხის ჩამოსატანად ავიდა სახლის სახურავზე. მერე? და ვეღარ გაიხსენა ეს „მერე“, მერე არაფერი აღარ იყო, ნისლი იყო და ბურანი, წუთიერი არყოფნა იყო.

— ჰოდა, მე უცებ მივხვდი მისი სულის შეშფოთებას. მან ხომ ელვის უსწრაფესად დაჰკარგა გონება და ახლა ყველაფერი ეს სიზმარი ჰგონია, ამიტომ იცქირება ასეთი გაოცებული თვალებით — ალბათ, ასეთი გამოხედვა ექნება ადამიანს, რომელმაც დაიძინა თბილისში, თავის ოთახში, და გაიღვიძა... სადღაც შორს, უცხო ქალაქში... არა, ეს შედარებაც ვერ გამოხატავს იმ განცვიფრებას, რომელსაც მედიკო შეეპყრო: მას ხომ არც დაუძინია, არც ავად ყოფილა და არც ის იცის, თუ ელექტროდენმა დაჰკრა, არც ის თუ როგორ ჩამოიყვანეს სახლის სახურავიდან და ამ ლოგინში დააწვინეს. მერე თავისი ლოგინი მაინც იყოს, ბებიას საწოლზე დაუწვენიათ... და ის კვლავ შეშფოთებით უცქერის ამ აჟრიამულებულ ქალებს, ყურს უგდებს მათ საუბარს და მერე საწოლთან ჩაჩოქილ დედას ნელი ხმით ეკითხება:

— რა მოხდა, დედა?

დედა ყველაფერს უხსნის, დაწვრილებით უყვება, შემდეგ ჩემზე უთითებს, როგორც რაღაც მოვლენილ მხსნელზე... მედიკო განცვიფრებით შემომყურებს და თვალებით თავისკენ მეძახის. მეც მივედი და საწოლზე ჩამოვუჯექი.

ქალიშვილმა ჩემი ორივე ხელი გულში ჩაიხუტა. რა უნდა ეთქვა ამისი ბადალი, რომ თავისი მადლობა გამოეხატა. მართლაც მაშინ მივხვდი, რომ ხანდახან ადამიანის ენაც უძლურია, ამიტომ დადუმდება ხოლმე და მარტო თვალებიღა მეტყველებენ. და რასაც ისინი გეუბნებიან, ეგებ გულით მიხვდე, მაგრამ ენით ვერ იტყვი...

— მაპატიე... ცოტათი სიტყვა გამიგრძელდა, ალბათ, ფიქრობ ეს რა ლაღადი დაიწყოო, — მეუბნება ზურაბი, გამომცდელად შემომყურებს და თითქოს მამოწმებს. და უცებ ამ მგრძნობიარე საუბრიდან ის ისევ თავისებურ, მისთვის ჩვეულ მსუბუქ კილოზე გადადის:

— ახლა კი, ბიჭო ზურაბ, — ვეუბნები ჩემს თავს, — აითესე აქედან, ბედმა ერთხელ გაგიღიმა და ნუ გათამამდები, ბედს ნუ გაეთამაშები... მეც ავჩქარდი, მაგრამ, როდი მიშვებენ... სუფრის გაწყობას აპირებენ, მაგრამ იქ დამრჩენი ვარ? ცა მიწითლდება, ვიდრე იქიდან გავაღწევ... ათას რაღაცას ვიმიზეზებ, ვამბობ, რომ ვინ იცის სხვაგანაც მელიან, სხვაგანაც უჭირთ. ამ ფანდმა გასჭრა... გავიწიე კარებისაკენ, მაგრამ იქ... შევატყე, რომ ტკიცინა ასიანი ჩამჩარეს ჯიბეში... ფული იმავე წუთს უკან დავუბრუნე. იმათ თვალში ხომ აქამდეც ღმერთი ვიყავი, სიცოცხლის მომნიჭებელი და ახლა ეს კეთილშობილურ ჟესტად ჩამომართვეს და სულ გადაირივნენ. დედა მაინც აღარ მომეშვა, კიბეზე ჩამაცილა, ქუჩაზე გამომყვა, ტაქსი დაიჭირა, სახლამდე მიმაცილა, დერეფნამდე ამომყვა და მერე დამემშვიდობა.

— ჩუმად შევიძურწე სახლში, მეშინია ცოლმა არ დამინახოს — თეთრი ხალათი ხომ ჯერაც არ გამიხდია... ჩემს სამუშაო ოთახში შევედი, კარი მოვიკეტე და, ღმერთო ჩემო, ის ასიანი მაინც გამოუტანებიათ. როდის ჩამიდო იმ ქალმა, რატომ ვერ გავიგე, ალბათ, ტაქსში რომ ვისხედით, მაშინ მოახერხა ეს. რაც არის, არის... შკაფის ყველაზე ყრუ უჯრა გამოვაღე და ის ხალათიც, ის სტეტოსკოპიც, ის ფულიც, ყველაფერი ერთად დავმალე.

ვზივარ ახლა ოთახში შტერივით და ვფიქრობ: რა იყო ეს — სიზმარი, ჰალიუცინაცია... ვიჩქმიტე მაგრად მკლავზე, მერე თითზე ვიკბინე... მეტკინა... დავიღუპე, არა მძინავს...

— მაინც კარგად გადარჩენილხარ, — ვეუბნები მე.

— ეე, ჯერ სადა ხარ, ძმაო! ფონი ჯერ გასასვლელს არის, ჩემი სატანჯველი ახლა იწყება. მეორე დღეს, საღამოთი, ვზივარ ოთახში და უკვე ყველაფერი გათავებული მგონია. ამ დროს უცებ ზარის წკრიალი მესმის. გავაღე კარი... ღმერთო ჩემო! ის შუახნის დედაკაცი და ის ახალგაზრდა გოგონა,



მე რომ გადავარჩინე, ორივენი მოსულან. გამოწყობილნი არიან, გაღიმებულნი, გახარებულნი... დედას ხელში ვეება ტორტი უჭირავს და მედიკოს კი — თაიგულები. ხომ უნდა გამხარებოდა... მე კი ისე გავხდი, ტყვია დაეკრათ, ის მერჩივნა. მაგრამ რა უნდა მექნა — შემოვიპატიჟე და ჩემს ოთახში შევიყვანე, დასხდნენ თუ არა, დედამ ტორტი მაგიდაზე დადო და დაიწყო:

— მაპატიეთ, ბატონო ექიმო, თქვენი ოჯახის გაცნობა მინდოდა...

პასუხად რაღაცას ვლუღლუღებ, თან შიშით სული ფრჩხილებში მიდის — მეშინია ცოლმა არ გაიგოს ეს ჩვენი ლაპარაკი, სიტყვას ბანზე ვუგდებ, ვეუბნები, რომ ყოველივე ეს არ ღირს მადლობად, რომ მე განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, მაგრამ სტუმარი ამას ჩემი თავმდაბლობით ხსნის:

— ღმერთო კი მომკალი!.. — გაიძახის ის, — არ გამაგონო, შენი ჭირიმე, შენზე ძვირფასი ვინღა მეყოლება ქვეყანაზე... როგორც მე შენ შვილი გადამირჩინე, ისე შენი შვილები გადარჩნენ ყოველ განსაცდელს.

— ეჰ, არაფერი, მე რა შუაში ვარ...

— ნუ ამბობ ბატონო, ნუ, შენი ჭირიმე, მე რომ თქვენ დაგკარგოთ, აი ეს ჩემი ერთი გოგო არ შემარჩინოს დამბადებელმა... ნათესავზე ახლობელი ხარ, შვილო, შენ შემოგევლე...

ვუსმენ, ვიშმუშნები და ცალი ყური მეორე ოთახისაკენ მიჭირავს. იქიდან რაღაც საეჭვო ხმაური მესმის. ჩემს ცოლს, ალბათ, ესმის ყველაფერი და, ალბათ, ქალი ჭკუასა ჰკარგავს, ყურებს არ უჯერებს... აი, ეტყობა ვეღარ მოითმინა და კარიც შემოაღო... მეც იძულებული ვარ, წარმოვსთქვა: „იცნობდეთ, ჩემი მეუღლე გახლავთ“, — ვამბობ და ცოლს თვალს ვარიდებ. ეს დარბაისელი ქალი კი წამოხტა და ნელის გადაეხვია. თან ლაპარაკობს:

— უი, შენი ჭირიმე, რა კარგი ქალი ყოფილხარ, გენაცვალე! — მერე შვილს მიმართავს... — მედიკო, გოგო, მოდი, მადლობა უთხარი, შვილო!

ნელი ისეთია, როგორც საავდროდ მოქრუშული ღრუბელი, არაფერი მასზე არ სჭრის. არც ეს ალერსი, არც მოფერება. დედაკაცი კი განაგრძობს:

— მე თქვენ აღარ დაგკარგავთ, შვილო, თქვენი მეუღლე ექიმი კი არა, ღმერთი ყოფილა...

და სხვა, და ასე შემდეგ, და მეც ვიტანჯები, შეშფოთებული ამ მოულოდნელი ნათესავით, მოულოდნელი სიყვარულის ალმურში გახვეული.

ბოლოს, როგორც იყო, გავაცილე სტუმრები .. გაიხურეს თუ არა კარი, ჩემი სათნო და ნაზი ნელი სულთამხუთავივით დამადგა თავზე და განრისხებული მეკითხება:

— ამიხსენი, ეს რა კომედია იყო? დამიხედეთ ერთი ამ ვაჟბატონს: ბატონი ექიმი! სიცოცხლის მხსნელი! — ირონიულად აიბზუა მან ტუჩები, — სიცოცხლის მხსნელი კი არა, შენ ჩემი სიცოცხლის მომსპობი ხარ... შენმა უსაქციელობამ მომიღო ბოლო... ნეტავი ერთი ჩქარა მოვკვდე და მოგშორდე... დახეთ როგორ გატვრენილა, ვითომ ბუზიც არ აფრენია... რას ჩაგივარდა ენა?

მე კი მართლაც ენა ჩამივარდა. რა ვუთხრა, რა ვუპასუხო. საოჯახო ბრძოლების ტაქტიკაში გამოწრთობილებმა კარგად იციან, რომ ასეთ დროს თვითონ უნდა გადახვიდე შეტევაზე, თორემ თუ თავდაცვა დაიწყე — მტრისას, ცოლი ფრონტიდანაც დაგკრავს, ფლანგებსაც აიღებს, ალყაში მოგაქცევს და უსიტყვო კაპიტულაციის გარდა სხვა გზა აღარ დაგრჩება. მეც ასე ვიქცევი: ვითომ საშინლად ამეშალა ნერვები, ვითომ ხელებიც მითრთის (ეს ფსიქიკური იერიშია!) და განწირული ხმით ვყვირი:

— დამანებე თავი... ამ საშინელ წუთებში, როცა ლამის არის თავი მოვიკლა, განა კიდევ ასეთი სიტყვები უნდა მესმოდეს... აღარ შემიძლია მეტის მოთმენა, — და მივვარდი უჯრას, ამოვყარე ის ხალათიც, სტეტოსკოპიც, ის ასმანეთიანიც ხელში გადავაწოდე და ვუთხარი — აჰა, ფული... დილას რომ წუწუნებდი... საყვედურებით რომ ამიკლე...

ნელიმ თეთრი ხალათი და სტეტოსკოპი რომ დაინახა, უფრო შეცბუნდა... გაოცებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო... უსიტყვოდ გაბრუნდა, ხოლო ასმანეთიანს წალება მაინც არ დავიწყებია.

ახლა კი ამოვისუნთქე-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ბედმა ერთი საშინელი გამოცდა კიდევ მომიწყო, ერთ ბეწვის ხიდზე კიდევ გამატარა. მესამე დღეს, საღამოთი, ისევ დაირეკა ზარი, ისევ დედა და ქალიშვილი შემოვიდნენ, თაიგულები აღარ უჭირავთ, მაგრამ რაღაც შეკრულები მაინც მოიტანეს. ახლა შოკოლადის კონფეტი უყიდიათ. მათ ვიღაც ჩაჟინულილებული კაცი შემოჰყვათ... შევხედე, იონა მეხაშესა ჰგავდა, მისალმების ჩვეულებრივი ცერემონიალის შემდეგ ის კაციც გამაცნეს, ჩვენი ბიძაა, მთელი ქვეყნის ექიმები დავახვიეთ თავზე და ვერაფერი ვერ უშველეს. ახლა, ბატონო, მარტო თქვენი იმედიღა გვაქვს, თქვენი მადლიანი ხელის ამბავი რომ ვიცით. ოღონდ ერთი უბედურება ესაა, ბიძაჩემმა, რა სტკივა, თვითონაც არ იცისო!

არა! მორჩა, დავიღუპე, ესენი უეჭველად თავს მომაკვლევინებენ. ისევ შევხედე იმ კაცს. რა უნდა სტკიოდეს — სტკივა რამე იალალზე გაყალალნებულ ბულა-კამეჩს... იმ კამეჩივით ქედი აქვს ამ კაცს... თანაც შუბლზე აწერია — დალევა და მოლხენა ვიცი ისეთი, რომ იქ მოდი და იქა მნახეო.

სხვა გზა აღარ არი, უნდა გავიქცე ქალაქიდან, ანდა მტკვარში უნდა გადავვარდე.

— მიკვირს, ზურაბ, შენი ამბავი, — ვეუბნები მე, — კაცო, ახლა მაინც აუხსენი, რომ შენ არავითარი ექიმი არა ხარ...

— ბიჭო, მრცხვენია უკვე... მრცხვენია... როგორ ვუთხრა, რანაირად, განა ასე ადვილია?.. ჰო, რას ვამბობდი? ზის ეს კაცი და შემომყურებს. ერთი გული მეუბნება — წამოდექი და მოსდე ქეჩოში, ამოჰკარი პანღური, მაგრამ თავს ვიკავებ, წარბებს ვიჭმუხნი და ზრდილობიანად ვეკითხები:

— რენტგენის სურათები მომიტანეთ? — თან ვფიქრობ: ვიდრე ეს რენტგენის სურათებს მომიტანს, მანამდე ან გავიპარები ქალაქიდან ანდა მართლაც გადავეშვები მორევში, ვერის ხიდიდან... მდიოს მერე! მაინც სიცოცხლე უკვე მოძულებული მაქვს...

რენტგენი არ აღმოაჩნდა... მე ვუთხარი, უმაგისოდ ვერ გაგსინჯავ-მეთქი...

წასვლისას ფული შემომაძლიეს, არ ავიღე, მაგრამ დახეთ ასიანი ჩუმად მაინც დაეტოვებინათ სკამზე. მერეღა შევნიშნე.

იმ ღამეს სულ საშინელ სიზმრებსა ვხედავდი.

დილით ცოლშვილიანად სიდედრთან გადავბარგდი დროებით. მაგრამ ცხოვრება არ გინდა: ნელი ისეთია, დანა პირს არ უხსნის, ვატყობ, დარდობს, ალბათ, ფიქრობს, ეს რა დამემართა, ჩემმა ქმარმა აფერისტობა დაიწყო, ახლა აქაც იმიტომ გადმოვიდა, რომ მილიციას ემალებაო.

შემეცოდა ნელი, ჩავკეტე ერთხელ ოთახში და თავიდან ბოლომდე ყველაფერი გულწრფელად მოვუყევი. ჯერ სიცილი აუტყდა და მერე ისევ შემომიბღვირა.

— არა გრცხვენიან... პატარა ხომ აღარა ხარ... ოცდათხუთმეტი წლის კაცი ხარ და ისევ პამპულაობაზე გიჭირავს თვალი...

უეცრად წამოხტა, დასტაცა ხელი თავის საფულეს, ორი ასიანი ამოიღო და ცხვირში მომახალა:

— აჰა, ახლავე წაიღე, დაუბრუნე... დღეს კაპრონის ბლუზა მინდოდა მეყიდნა, მაგრამ... მაგის თავილა მაქვს? მიუტანე ეგ ფული და ყველაფერი შენი პირით უთხარი...

წამოვიღე ის ფული, მაგრამ, აბა ჩემი ხელით რა მიმატანინებდა, ან რა უნდა მეთქვა მათთვის... ფული კონვერტში ჩავდე, თანაც წვრილად მივწერე, ყველაფერი ავუხსენი და აგერ ახლა ჩავაგდე ფოსტაში. ვითომ მიიღებენ ხვალისთვის? არ გაგიჟდებიან?.. დედააა, ვაითუ ისევ მომიცვივდნენ... მაგრამ რას მერჩიან, ძმაო! მე იმათთან პირნათლადა ვარ...

— შენს სახლში გადახვედი?

— არა, ჯერ ისევ სიდედრის ბინაზე ვარ... ჯერ ვერ გამიბედნია... და აბა ახლა მითხარ, ჭკუა აქვს იმ კაცს, ვინც თავის პროფესიასა სწუნობს და სხვისას ეპოტინება? მე კი კარგი გაკვეთილი მივიღე და სხვისა არ ვიცი!



# სახანძრო რაზმი



წყლის პირველადი მიწოდება ხშირად ხანძრის დროულად ჩაქრობის საწინდარია.



მჟავბადის აპარატი მეხანძრეებისათვის საჭიროა კვამლიან ადგილებში.



საბრძოლო მანქანების რადიომოკავშირეები უზრუნველყოფენ მეხანძრეების დროულ და ორგანიზებულ მუშაობას.

საიდან არ მოსულან ეს ყველაფრით დაინტერესებული „მაყურებლები". ისინი გაფაციცებით თვალს ადევნებენ სახანძრო რაზმის საწვრთნელ მეცადინეობას.



როცა ტელეფონი 01 რეკავს, სადღაც ხანძარია. ტელეფონის მილში ისმის შეშფოთებული ხმა — დაგვეხმარეთ! მოგვეშველეთ! ხანძარია!

სახანძრო რაზმის დისპეტჩერი აზუსტებს ხანძრის ადგილს, მისამართს, ყველაფერი იწერება მაგნიტოფონის ფირზე.

გამოძახება მიღებულია, აძლევენ საგანგაშო ნიშანს, მეხანძრეები ელვის სისწრაფით იცვამენ საბრძოლო ტანსაცმელს.

საგანგაშო ნიშნის მიცემიდან მხოლოდ 40 წამი გადის და მანქანები უკვე მიეშურებიან ხანძრის ადგილისაკენ.

რადისტი გზიდან უკავშირდება სახანძრო რაზმის უფროსს.

ხანძრის ადგილიდან — რაზმის დისპეტჩერი, მიიღებს რა პირველ ცნობებს, იძლევა განკარგულებებს.

იგზავნება დამატებითი ტექნიკა — სპეციალური მანქანები — კავშირგაბმულობის, განათების, წყლით დაცვის სამსახურისა და სხვ.

მეხანძრეები ეუფლებიან უახლესს სახანძრო ტექნიკას, ისინი მუდამ მზად არიან ხანძრისაგან დაიცვან სახალხო ქონება და ადამიანების სიცოცხლე.

ფოტო ო. თურქიასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სახანძრო მანქანებისათვის გზა ხსნილია. ისინი ქალაქის ქუჩებში უჩვეულო სისწრაფით მიექანებიან ხანძრის ადგილისაკენ.

...ის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი
7552

ეს უახლესი სახანძრო მანქანებია. ისინი ყოველთვის საბრძოლო მზადყოფნაში დგანან. საგანგაშო ნიშანი, და თვალისდახამხამებაში ხანძრის ადგილზე გაჩნდებიან, სახალხო ქონებისა და ადამიანების გადასარჩენად. →



საგანგაშო ნიშანი მიცემულია. მეხანძრეები ემზადებიან გასასვლელად.



# სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი

1938 წელს გამოცემულ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ საილუსტრაციო ნახატებს შორის წიგნში მოყვანილია სულხან-საბა ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტი.

წიგნში რატომღაც არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ მოყვანილი საილუსტრაციო მასალა და თვით ორბელიანის ჭაბუკობის პორტრეტი საიდან არის ამოღებული.

ჩვენ აქ შევჩერდებით სულხან-საბა ორბელიანის ახალგაზრდობის ამ პორტრეტზე და იმ წყაროზე, რომლიდანაც ამოღებულია თვით წინამდებარე პორტრეტი.

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ქართულ ფონდთა საბინინის კოლექციაში დაცულია მეცამეტე ნომრით ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. ხელნაწერი ასეა დასათაურებული „წიგნი. სიბრძნე. სიცრუისა. ნათქვამი. სულხან. ორბელიანისა. ჟამსა. სიჭაბუკისა. თვისისასა“. ხელნაწერი დათარიღებულია 1814 წლის 26 აპრილის რიცხვით და შესრულებულია საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ს ძის ბაგრატის მიერ ქალაქ ს. — პეტერბურგში (ახლანდელი ლენინგრადი).

ტექსტის დასასრულს ჩახატულია ერთი ენძელას მსგავსი პატარა ყვავილი, ამ ხელით შესრულებული ორნამენტის შემდეგ 262-263 გვერდებზე მოთავსებულია თვით გადამწერის შემდეგი ვრცელი ავტოგრაფიული მინაწერი:

„აღიწერა. წიგნი. ესე. მალხენელი. და. მარტოს.
გამაძლებინებელი. სიბრძნე. სიცრუისა. ხელითა.
მეფის. გიორგის. ძის. ბაგრატის. მიერ. სამეფოსა.
ქალაქსა. სანკტ. პეტერბურღსა. წელსა: 1814: — (გვ. 262);
თვესა. აპრილსა: 26. — თუმცაღა. არა. ჯერ.
იყო. ჩემ მიერ. წიგნისა. ამის. აღწერა. გარნა.
ვინაითგან. ვიყავ. მწირ, მამულით ჩემით დიდსა.
როსიასა. შინა. ამად. აღარ. მივეც თა-
ვი. ჩემი. უქმობისა. მწუხრებასა. და. მითი გა-
ნვატიე. დრო. რაოდენიმე. იძულებულმან-
დის. ჩემისა. მეუღლისა. თუშთ. მოურავის. თავადის. ჩოლოყაშვილისა.
დურმიშხანის. ასულის. ჩერქეზის. შვილის. სულხანის კნეინას.
სოფიოსაგან. რომ(ე)ლმანცა. მაიძულა. წიგნისა.
ამის. აღწერა. და ვერ. ურჩ ვექმენ თხოვასა. მისა-
სა. უკეთუ. შეცდომა რაიმე. იხილოთ. ნუ.
გამკიცხავთ. ამიტომ. დედანი. დიდად. ცუდი.
ნაწერი. და. უკანონოთ. დათხზული. იყო. და.
საქმის გაჭირვებით. გადმოვსწერე. ესე. წიგნი.

წელს 1814. აპრილის. 26. სრულ. იქმნა. ვასილის. ოსტროვში. ხამუთოვის სახლში“. (გვ. 263).

წიგნი ჩასმულია იმავე დროის მშვენიერ ყდაში და მისი ქაღალდი თავისი ჭვირნიშნებით დათარიღებულია 1812-1813 წლებით.

სულხან-საბა ორბელიანის აქ მოთავსებული პორტრეტი ბაგრატის დახატული უნდა იყოს, რასაც ადასტურებს პორტრეტში გამოხატული ს.-ს. ორბელიანის წინ გადაშლილ „სიბრძნე სიცრუის“ წიგნზე დაწერილი სამად გაყოფილი ორი სიტყვა: „იყო ხელმ- წიფე“, რომლითაც საერთოდ ამ წიგნის ტექსტი იწყება და რომელიც თვით ბაგრატის ხელია. პორტრეტის ქვემოთ მოთავსებული წარწერაც — „თავადი სულხან ორბელიანი — რომელსაცა ალუწერია ისტორია ესე ჟამსა სიჭაბუკისა თვისისასა“ — ბაგრატის ავტოგრაფია და იმავე ხელითაა დაწერილი, რომლითაც შესრულებულია მთლიანად ხელნაწერი. „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ გადაწერილია მთლიანად (გარდა მე-85 გვ.) ერთი ხელით და ეკუთვნის ბაგრატ ბატონიშვილს (ბაგრატიონს).

ბაგრატის სიტყვით ეს „მალხენელი და მარტოს გამაძლებინებელი „სიბრძნე სიცრუისა“ მას გადმოუწერია „საქმის გაჭირვებით“ თავის ცოლის დის სოფიოს შეკვეთით „დიდად ცუდი და უკანონოდ დათხზულ დედნიდან“. ისმება კითხვა: პირველი, გადაწერისას, ბაგრატს ხელთ ჰქონდა ს.-ს. ორბელიანის ავტოგრაფიული „დედანი“ თუ სხვა ვარიანტის ხელნაწერს უწოდებს იგი „დედანს“? მეორე, ბაგრატის ავტოგრაფიულ ხელნაწერში ჩახატული ს.-ს. ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტი მისი პირადი ფანტაზიის ნაყოფია თუ მან იგი გადმოიღო იმ უცნობ ხელნაწერიდან, რომლიდანაც „აღწერა“ თვით ტექსტი „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“?

ეს ორი კითხვა ჩვენს წინ წამოიჭრა ჯერ კიდევ 1939 წელს, როდესაც საკანდიდატო დისერტაციაზე ვმუშაობდით, დავიწყეთ ამის ირგვლივ შესაფერისი კვლევა-ძიება და ბოლოს იმ დასკვნამდის მივედით, რომ გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამოქვეყნებული ს.-ს. ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტი იგივეა, რომელსაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ. პორტრეტის ავტორობა ბაგრატს უნდა ეკუთვნოდეს და მის მიერ ნასარგებლებ „დედან“ ხელნაწერში ამისი მსგავსი რამ არ უნდა ყოფილიყო.

ს.-ს. ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტი, რომ მართლა ბაგრატის მიერ არის შესრულებული, ამას მოწმობს სხვა ასეთი ფაქტიც: 1818 წელს ს. პეტერბურგში გამოცემული „ახალი აღთქმის“ ერთ-ერთ ცალში, რომელიც ბაგრატის საკუთრებას წარმოადგენდა, ჩახატულია წმინდანების (მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანეს) ოთხი პორტრეტი და ეს ნახატები ბაგრატის მიერ შესრულებულია სწორედ ისეთივე გემოვნებითა და გარეგნული გაფორმებით, როგორც თვით ს.-ს. ორბელიანის პორტრეტი.

რაც შეეხება იმ ხელნაწერს, რომლიდანაც ბაგრატმა გადმოიღო „სიბრძნე სიცრუის“ ტექსტი, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია და არაა გამორკვეული, მართლა „დედანი“ იყო თუ ასლის რომელიმე ვარიანტი, რომელთა რიცხვი იმ დროისათვის ბევრი იყო ს. — პეტერბურგში მცხოვრებ ქართველი ბატონიშვილების ოჯახებში.

* * *

ცოტა რამ გადამწერის პიროვნების შესახებ: ბაგრატ ბატონიშვილი (1776-1841) მესამე ვაჟიშვილი იყო საქართველოს უკანასკნელ, მრავალშვილიან მეფე გიორგი XII-ისა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ 13 და-ძმა და 16 ქალ-ვაჟი დარჩა. საქართველოს რუსეთთან შეერთებისას ბატონიშვილებიდან ბაგრატს პირველს ხვდა წილად თავის უფროს ძმა ივანესთან და უმცროს ძმა მიხეილთან ერთად 1801 წლის 9 მარტს მიეტოვებინა სამშობლო მხარე — საქართველო და სამუდამოდ ს. — პეტერბურგში ჩასახლებულიყო. ქართველი ბატონიშვილების რუსეთში ცხოვრებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამას მოწმობს თვით ჩვენამდის მოღწეული ლენინგრადისა და საქართველოს წიგნთსაცავებში შემორჩენილი მრავალი ქართული ხელნაწერი ძეგლებისა, რომლის ავტორებად ითვლებიან ბატონიშვილები: თეიმურაზი, იოანე, ივანე, ბაგრატი, დავითი, დიმიტრი, გრიგოლი და კიდევ მათ მიერ აღზრდილნი სხვა მრავალი ქართველი მეცნიერ-მწიგნობრები: იონა ხელაშვილი, ი. ბაზლიძე, პ. ლარაძე (ყარიბი), პ. ქებაძე, ს. ტაბიძე, გ. ფირალოვი, დ. ჩუბინაშვილი, ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი და ბევრი სხვ. აკად. მ. ბროსეც ხომ თეიმურაზის მიერ იყო განსწავლული ქართულ დამწერლობაში.



ბაგრატმა რამდენიმე წიგნი გადმოიღო რუსულიდან ქართულად. აქვე უნდა შევნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ბაგრატმა შეთხზა მრავალი ორიგინალური ნაწარმოებებიც და მათ შორის: „ისტორია რუსეთ-სპარსეთის ომისა 1826-1828 წ. წ.“, მოკლე „ისტორია რუსეთისა და თურქეთის ომისა 1828-1829 წ. წ.“ და ერთი საუკუნის მანძილზე „საქართველოს ახალი ისტორია (1744-1842 წ. წ.)“. უკანასკნელი ნაშრომი ავტორს თავის ძმა დავითთან ერთად დაუწერია.

თავის დროზე ბაგრატი ცნობილი ბიბლიოფილი იყო და მისი მდიდარი ბიბლიოთეკა შეიცავდა ქართული წიგნების, ხელნაწერების და სხვადასხვა ფერებში საკუთარი ხელით შესრულებული სურათ-ნახატების იშვიათი ეგზემპლარებს.

გარდაიცვალა ბაგრატ ბატონიშვილი 65 წლის ასაკში 1841 წ. მაისის 8-ს.

ბაგრატის სიკვდილის შემდეგ მისი მოღვაწეობით შექმნილი მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა დაიშალა: ნაწილი იოანე (ივანე) გრუზინსკის (ქართველიშვილი — ბატონიშვილი) ბიბლიოთეკის კოლექციას შეუერთდა, ნაწილი მიხეილ პავლეს ძე საბინინის საკუთრება გახდა, ხოლო ფონდების მთავარი ნაწილი კი — 50 წლის განმავლობაში შთამომავლობით უმცროსი ვაჟიშვილის — დავითის ოჯახში იყო შემონახული.

იოანე გრუზინსკიმ და მიხეილ საბინინმა თავიანთი მდიდარი ფონდები (1880 წ. და 1896 წ.) იმპერატორის საჯარო ბიბლიოთეკას (ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა) მიჰყიდეს და ამჟამად ამ ძველი დაბეჭდილი ქართული წიგნებისა და ნაწილი ხელნაწერების კოლექცია ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება, რაც შეეხება ბაგრატის უმცროსი შვილის ოჯახში შემორჩენილ ბიბლიოთეკას, ამის შესახებ გაზეთი „ივერიის“ (1888 წ. 22 დეკ., № 270) და ჟურნალ „მწყემსის“ (1889 წ. 15 იანვ., № 1) ფურცლებზე ა. ხახანაშვილი დავით ბაგრატის ძე ბატონიშვილის (1809-1888) გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოსკოვიდან შემდეგს გვატყობინებს: „განსვენებულს დარჩა ძვირფასი სურათები ჩვენი საძეფო გვარეულობის წარმომადგენელთა; ამ სურათებში ყურადღებას იპყრობს მშვენიერი ხელოვნურად დახატული სურათები მეფეთა თეიმურაზ II-სა და ვახტანგ VI-სა. გარდა ამისა ჩვენ ვნახეთ აქ სურათები დარეჯან დედოფლისა, მარიამ დედოფლისა, გიორგი მეფისა და სხვათა. სურათები იმ ზომისაა, რა ზომისაც არის შოთა რუსთაველის სურათი, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს. ძვირფასი განძი იქნებოდა „საზოგადოების“ წიგნთსაცავისათვის ეს სურათები, რომელთაც სამი ოთახი უჭირავს, და, აგრეთვე, ის წიგნები, რომელნიც დასტოვა განსვენებულმა თავადმა. წიგნთსაცავი უკვე გადატანილია იმის მემკვიდრეობის სახლში და ამიტომ ვერ მოგვიხდა ჯერჯერობით იმისი გადათვალიერება“.

დავით ბატონიშვილის (გრუზინსკის) სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეებისაგან ხსენებული კოლექცია მოსკოვის გარეშე საქმეთა სამინისტროს მთავარმა არქივმა შეიძინა და ამ ბიბლიოთეკის დაწვრილებითი აღწერილობა პროფ. ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა (იხ. „Сведения о памятниках грузинской письменности“, т. 1, вып. III, СПБ, 1894 стр. 248-251).

ს.-ს. ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტის გვერდით უნდა ვიფიქროთ, რომ ა. ხახანაშვილისა და ა. ცაგარელის წერილებში დასახელებული სურათები და ნახატები: შოთა რუსთაველის, თეიმურაზ II-ს, არჩილის, ვახტანგ VI-ს, გიორგი XII-ს, ქართველი დედოფლების, წმინდანების და სხვა მრავალი ნახატები „რომელთაც სამი ოთახი ეჭირათ“ დავით ბატონიშვილის სახლში ყველა თუ არა, მეტი წილი მაინც თვით ბაგრატის ხელით არის შესრულებული. საჭიროა შესწავლილი იქნას ბაგრატ ბატონიშვილის, როგორც მხატვრის მოღვაწეობა.

ა. აბრამიშვილი

# ფორაქიშვილების დარბაზი

დილომის დარბაზის პირველი ალბომის გამოცემიდან (1922 წ.) დღემდე განვლილ დროში ქართული დარბაზები არა ერთი ხუროთმოძღვრისა და ხელოვნებათმცოდნის თუ ეთნოგრაფის შესწავლის სა-ნად გამხდარა; გაზომილია და გამოკვლეული მრა-ალი ათეული ობიექტი, განსაკუთრებით, ქართლსა ა მესხეთში, სადაც ეს ტიპი საცხოვრებელი სახლი-ა თითქმის დღემდე პოულობდა ფართო გავრცე-ლებას.

წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ დარ-აზული ტიპი საცხოვრებელი სახლისა, რომლის აუ-ილებელ და ნიშანდობლივ ელემენტს ხის გვირგვი- წარმოადგენს ზემოთ დატანებული სანათურით — ბილისშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული, გან-აკუთრებით აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელ შე-ოსევამდე.

თბილისურ დარბაზებს მრავლად მოუღწევიათ ცხრამეტე საუკუნემდეც, მაგრამ თითქმის არც რთი არ გადარჩენილა საბჭოთა ხელისუფლების ამყარებამდე, ე. ი. იმ დრომდე, როდესაც ამ ობი-ქტებისადმი შესწავლის ინტერესი აღიძრა და მათი ეგმიანი შესწავლა დაიწყო.

როგორი იყო თბილისის დარბაზების დაგეგმარე-ს სისტემა, დედაბოძების განლაგების წესი, რა იპის გვირგვინული გადახურვები იყო გავრცელე-ული ჩვენი დედაქალაქის ნაგებობებში?

იმ ცნობების მიხედვით, რომელთაც ჩვენამდე ოაღწიეს — არ ხერხდება ამ კითხვებზე პასუხის გა-ემა; ჩვენთვის არ იყო ცნობილი თითქმის არც რთი გვირგვინიანი დარბაზი, თუ მხედველობაში არ ვიღებთ ერთ პატარა სათავსოს პარალელური წყო-ს პრიმიტიული გვირგვინით გადახურულს, რომე-იც დოც. დ. რჩეულიშვილმა გაზომა ამ თხუთმე-ოდე წლის წინ ძველი თბილისის ერთ-ერთ ბანში.

ამიტომ, არქიტექტორ იაკობ კახიანის მიერ შემ-ხვევით მიგნებული რეპროდუქცია ნატურიდან ჩა-ტული თბილისური დარბაზის ერთი ნიმუშისა ხ. სურ.), მნიშვნელოვან დოკუმენტად უნდა ჩაი-ვალოს ჩვენი დედაქალაქის საბინაო ხუროთმოძღვ-ების შესწავლისათვის.

ფურცელი, რომელზედაც ეს ჩანახატია დაბეჭდი-ი წარმოადგენს ერთ-ერთი გერმანული ჟურნალის -14 გვერდს. წარწერა რეპროდუქციის ქვეშ ნმარტავს, რომ იგი „ძველქართული საცხოვრებე-ი და საძინებელი სათავსოა თბილისში“ და „შე-ულებულია ბერლინელი კარლოს ცაარის მიერ“. ხურათზე კარგად იკითხება ფანქრით მიწერილი ნიშვნები გერმანულ ენაზე. ერთ-ერთი მათგანი არიღებს აქ წარმოდგენილ ნახატს 1903 წლის ხექტემბრით. *

ცაარის ჩანახატი წარმოადგენს ქართული ორბო-ანი დარბაზის პერსპექტივულ ხედს კუთხური ობის („მერცხლიბუდურა“) გვირგვინითა და შუ-თ გადახურული ერდო-სარკმლით. ჩანახატის მარ-ვენა ქვედა კუთხეში მოცემულია დარბაზის გეგმა სი ძირითადი ზომების აღნიშვნით (9.30 × 5.50 ტრზე), მარცხენა მხარეს კი, ზემოთ, გამოსახულია დაბოძისა და მასზე დაყრდნობილი ბუღაურის ლიშის) დეტალები ორტოგონალში.

სურათის სხვადასხვა ადგილას გაკეთებული მინა-რები განმარტავენ ინტერიერის ცალკე ელემენ-ებს და მათ ზომებს („ჭერში დატოვებული სინათ-ის ხვრეტის სიგანე დაახ. ერთი მეტრია“, „გრძივი დლის ექვსი ნიში არაა კანონზომიერად განლაგე-ული“ და სხვ.).

რა ადგილას იყო აგებული ეს დარბაზი? მოაღწია უ არა ჩვენამდე მისმა კედლებმა მაინც?

მარცხნივ გაკეთებული მინაწერი ავტორისა გვამ-ნობს, რომ ეს ძველქართული სახლი „სარაჯევის ჯახს“ (გვარს) ეკუთვნის.

მიუხედავად იმისა, რომ სარაჯიშვილების დარ-ზის შესახებ ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი ცნო-, ამ დარბაზის მიგნება მაინც ადვილად მოხერხდა. კარლოს ცაარის ნახატის შედარებამ მეტეხის რა-ნში (ჩეხოვის ქ. № 1) შერჩენილ ერთი ძველთბი-ისური სახლის ანაზომთან, რომელიც ფორაქიშვი-ების დარბაზის სახელითაა ცნობილი, დაგვარწმუ-, რომ გერმანელი ხუროთმოძღვრის ეს ნახატი ორედ ამ დარბაზის გამოსახულებას წარმოადგენს. ას ამტკიცებს უპირველეს ყოვლისა ნატურაში რჩენილი ელემენტებისა და ნახატზე მათი გამო-ხულების სრული თანხვდენა. ესენია: ორ წყებად განლაგებული განჯინები და ჩაწეულსწორკუთხედებში ჩასმული ირანული ყაიდის შეისრული თაღჩები. ცაარის მიერ მიწერილი ზომების შედარებამ სათანადო ელემენტების ზომებთან ნატურაში საბოლოოდ დაადასტურა ჩვენი მოსაზრება. აღმოჩნდა, რომ კარლოს ცაარს ეს დარბაზი მეტად ზუსტად და კეთილსინდისიერად აუზომია.

ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მან ასევე ზუსტად აზომა და გადმოხატა ინტერიერის ის ელემენტები, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს: ხის გადახურვის ორიგინალური კონსტრუქცია — გვირგვინი ზემო სანათურით (ერდოთი) და დედაბოძები. ისმება კითხვა: მაშ რატომ ჩასთვალა ცაარმა ეს დარბაზი სარაჯიშვილების კუთვნილად? გამოირკვა, რომ ამ გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილს ცოლად ივანე ფორაქიშვილის ქალი ჰყოლია. მას ცაარისთვის უჩვენებია თავის ცოლეურთა სახლი, როგორც ერთადერთი ნიმუში ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების მატარებელი ძეგლებისა. სტუმარი სურათის გამოგზავნასაც შეჰპირებია სახლის პატრონებს და როგორც დღევანდელი მემკვიდრენი იხსენებენ — მგონი გამოუგზავნია კიდეც ჟურნალი დარბაზის გამოსახულებით, მაგრამ სად გაჰქრა იგი — აღარავის ახსოვს.

დარბაზი, რომელიც ცაარს ჩაუხატია 1903 წელს — უკვე 1904 წელში გადაუკეთებიათ თბილისის ქალაქის მთავარი ინჟინრის ალ. მელიქ-ბეგლაროვის რჩევითა და მითითებებით: მიუნგრევიათ ხის დაძველებული გვირგვინი თავისი დირეებითა და დედაბოძებით და რკინის კოჭებზე ბეტონის ბრტყელი გადახურვა გაუკეთებიათ, რომელშიაც სამი ჰორიზონტული სანათურია დატოვებული.

ამ დროს მოუშლიათ, ალბათ, კედლის ღუმელიც, რომელიც ცაარის ნახატზე დარბაზის კუთხეშია ნაჩვენები.

საყურადღებოა, რომ ცაარის ესკიზურ გეგმაზე ნაჩვენებია კარი, რომელსაც დარბაზიდან სასმელი წყლის ღრმა ჭისაკენ მივყავართ. ჭამდე ჩასახვლელი გვირაბი აგურის ფიგუროვანი წყობის კამარებითაა გადახურული, რომლებიც ქვევითკენ ჩამავალ დამრეც კიბეს ჩასდევენ.

კარლოს ცაარის ნახატი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ქართული დარბაზების მკვლევართათვის. იგი პირველი, და შეიძლება ითქვას ერთადერთი ნიმუშია თბილისში ოდესღაც ფართოდ გავრცელებული საცხოვრებელი სახლის დარბაზული ტიპისა.

ამ დარბაზის ანაზომი და რეკონსტრუქცია ამ 10 წლის წინათ არქიტექტურის დოქტორმა მ. ილინამ გამოაქვეყნა.

ცაარის ნახატმა ცხადი გახადა ამ რეკონსტრუქციის შეუსაბამობა, რომელიც ჩვენში აქამდეც იწვევდა ეჭვს. მ. ილინას რეკონსტრუქციაში მოცემულ პრიმიტიული ბოძის მაგიერ ფორაქიშვილების დარბაზს ტანშეწყობილი და შესანიშნავად შემკული დედაბოძები ჰქონია შედგმული, რომელთაც ზემოდან თურმე გრძელი, ცხოველხატული პროფილით დამუშავებული ბალიშები (ბუღაურები) ეყრდნობოდა; რვაკუთხოვანი გვირგვინის მაგიერ, რომელიც მ. ილინას შესრულებულ ჭრილში საერთოდ არაა სწორად აგებული, დარბაზს მდიდრული თორმეტწახნაგოვანი გვირგვინი ამშვენებდა.

ფორაქიშვილის დარბაზის დედაბოძი ბუღაურით — ქართული დედაბოძების ნაკლებად გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს. მისი საკმაოდ ზუსტი ანალოგიები ცნობილია ყარალაჯის, ერთაწმინდისა და წითელქალაქის დარბაზებში, 12 წახნაგოვანი გვირგვინი თბილისური დარბაზისა წარმოადგენს ჯერჯერობით მხოლოდ მეორე მაგალითს ყველა იმ გვირგვინულ გადახურვათა შორის, რომლებიც ცნობილია ჩვენთვის მათი გავრცელების ფართო ზონაში კორეიიდან ეგეოსის ზღვის ნაპირებამდე.

კარლოს ცაარის ნახატზე გამოსახული დარბაზის ფორმათა ანალიზი და მისი შედარება სხვა მსგავს ობიექტებთან გვაფიქრებინებს, რომ მისი გვირგვინი არ უნდა იყოს თავდაპირველი ზომისა.

მაშინ ამ დარბაზს, ალბათ, ფანჯრებიც არ ჰქონდა, რომლებიც 1903 წლის გეგმაზეა აღნიშნული დღემდე შემორჩენილი სახით. დროთა განმავლობაში გვირგვინი დაძველდა და პატრონმა დარბაზი გადააკეთა ახალი მოთხოვნილებების მიხედვით. შეუმცირა გვირგვინი და შემოსასვლელი კარის აქეთ-იქით ფანჯრები გაუჭრა. გვირგვინის გამოცვლის დროს დედაბოძები თავის ძველ ადგილზე დაუტოვებიათ. შევნიშნავთ, რომ გრძივი დირეები, რომლებსაც გვირგვინი ეყრდნობა, ცაარის ნახატში არაა სწორად გამოსახული. ისინი არასოდეს არ კეთდება უჭრი ე. ი. მთლიანი, კედლიდან კედლამდე. მით უმეტეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო მთლიანი ფორაქიშვილების დარბაზში, რომლის სიგრძეც თითქმის 10 მეტრს აღწევს!

რა უნდოდა თბილისში არქიტექტორ კარლოს ცაარს? რა აკავშირებდა მას დავით სარაჯიშვილთან?

სახლი, რომელიც დავით სარაჯიშვილმა ააშენა თბილისში მაჩაბლის ქუჩაზე — ახლანდელი მწერალთა სახლი, დამთავრებულია სამშენებლო წარწერის თანახმად 1905 წელს. ცაარს დარბაზი 1903 წელს ჩაუხატავს. მეორე მხრივ სარაჯიშვილის სახლის არქიტექტურა გერმანული მოდერნის აშკარა კვალს ატარებს. იგი ამ სტილით აგებული ერთ-ერთი შესანიშნავი შენობათაგანია. ჩვენთვის ცნობილია, აგრეთვე, რომ მის აშენებაში ერთი უცხოელი არქიტექტორი იღებდა მონაწილეობას.

ხომ არ იყო კარლოს ცაარი სარაჯიშვილის ამ სახლის ერთ-ერთი ავტორმშენებელთაგანი? თუ ეს ასეა, მაშინ სავსებით ბუნებრივად უნდა ჩავთვალოთ ის ამბავი, რომ დავით სარაჯიშვილმა აჩვენა საქართველოში ჩამოსულ უცხოელ არქიტექტორს ფორაქიშვილების დარბაზი, როგორც ძველი ქართული საცხოვრებელი სახლის საინტერესო მაგალითი.

ეს ჩანახატი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართული სახუროთმოძღვრებო მეცნიერებისათვის; იგი საშუალებას გვაძლევს ზუსტად აღვადგინოთ თბილისური დარბაზების ამ უნიკალური ნიმუშის თავდაპირველი სახე.

არქიტ. კანდ. ლ. ხუმბაძე
არქიტ. ი. კახიანი



* ჩვენს მიერ დღევანდლამდე წარმოებულმა ძი-მ თბილისის და ნაწილობრივ მოსკოვის ბიბლიო-ეკებში ამ რეპროდუქციის შემცველი ჟურნალის ხაგნებად ჯერჯერობით შედეგი არ მოგვცა. დარ-უნებით შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალში ამ ხატის გარდა ამ დარბაზის შესახებ სხვა არაფერი იპოვება.



# დოკუმენტი აკაკის პენსიის შესახებ

ქართველმა საზოგადოებრიობამ 1908 წლის 7 დეკემბერს ზეიმით აღნიშნა დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

აკაკი ამ დროს უკვე 68 წლის მოხუცი იყო, საკმაოდ დაავადმყოფებული და მატერიალურად გაჭირვებული.

იუბილეს შემდეგ 1909 წლის 29 იანვარს აკაკი წერეთელს განცხადებით მიუმართავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისათვის, რომ მის იუბილეზე შეწირული ნივთები მაინც შეესყიდათ, რადგან ავადმყოფ აკაკის სხვა საშუალება არა ჰქონდა მკურნალობისათვის. მოვუსმინოთ თვით აკაკის განცხადებას: „ჩემი ავადმყოფობის გამო საჭიროა წავიდე სამკურნალოდ საზღვარგარეთ და რადგანაც ამჟამად ავადმყოფობასთან ერთად ფრიად გაჭირვებული ვარ ქონებრივად, ამისათვის იძულებული ვარ გავყიდო იუბილეის დროს ჩემდამი მოძღვნილი ნივთები, რომელიც ამჟამად ინახება წერა-კითხვის საზოგადოებაში; თუ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა შეიძენს ამ ნივთებს ქართული ეროვნული მუზეუმისათვის, ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება, და თუ რომელიმე მიზეზის გამო ვერ შეიძენს, მაშინ იძულებული ვიქნები სხვას მივყიდო.

გთხოვთ რაც შეიძლება დროით გამომიცხადოთ თქვენი გადაწყვეტილება ამ საგანზედ. აკაკი წერეთელი“.

აკაკის ამ განცხადებაზე 1909 წლის 30 იანვრის თარიღით წარწერილია რეზოლუცია: „უსახსრობის გამო, ამჟამად, სამწუხაროდ გამგეობას არ შეუძლია შეისყიდოს ნივთები“.

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, როგორც ჩანს, გასცნობია მხცოვანი მწერლის გაჭირვებულ მდგომარეობას და რამდენჯერმე დაუყენებია საკითხი მისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

იაკობ გოგებაშვილი 1909 წლის 10 თებერვალს მიმართავს წერილით აკაკის საიუბილეო კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს გიორგი ყაზბეგს „დიდად პატივცემულო გიორგი ნიკოლოზისძევ! ფრიად საჭიროა, რომ აკაკის ფონდის და პენსიის შესახებ ერთი სხდომა კიდევ მოვახდინოთ. ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. ასევე ფიქრობენ სხვა საიუბილეო კომიტეტის წევრებიც. კარგი იქნება კრება დაჩქარდეს, და, თუ დღეს საღამოზე იგი ველარ მოესწროს, ხვალ მაინც მოვახდინოთ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი იაკობ გოგებაშვილი“.

წერილი დაწერილია საფოსტო ქაღალდზე, რომლის მარცხენა მხარეს გამოსახულია 1907 წელს ტრაგიკულად დაღუპული დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. აქვე მოგვყავს ამ დოკუმენტის ფოტოანაბეჭდი.

ეს დოკუმენტები საკმაოდ ლაპარაკობენ იმაზე, თუ ძველად, მეფის ხელისუფლების პირობებში, როგორ ძნელად ღებულობდა მატერიალურ უზრუნველყოფას მოხუცებულობის ჟამს ისეთი გამოჩენილი ადამიანიც კი, როგორიც იყო აკაკი წერეთელი.

**დავით შუღლიაშვილი**
ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერ მუშაკი.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი



### ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

1. ქალაქი საბჭოთა კავშირში. 5. სმენადაკარგული ადამიანი. 6. ქალაქი საბჭოთა კავშირში. 7. რიცხვი. 9. უახლოესი ვარსკვლავი. 11. ქალაქი კორეაში. 13. ფრინველი. 15. ფუტკრის ოჯახი. 17. სახლი. 19. ოლქი საბჭოთა კავშირში. 21. ქალაქი ბელგიაში. 23. გარეული ცხოველი. 24. ქართული ჟურნალის სახელწოდება. 27. მდინარე საქართველოში. 28. ხალხური სათამაშო. 30. შექსპირის ტრაგედია. 32. ინგლისური სიგრძის საზომი. 34. ფრანგული რომანის გმირი ქალი. 35. ქალაქი ინდონეზიაში. 36. ვოლგის შენაკადი. 40. გერმანელი ფიზიკოსი. 41. მხარე საბჭოთა კავშირში. 42. ებრაელთა ძველი სამშობლო. 43. საამშენებლო მასალა. 44. ქალის სახელი. 45. ქალაქი ჩრდილო კავკასიაში. 47. ქალაქი შუა აზიაში. 48. ნაზი აგებულების მწერები.

### ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. ქალაქი აფრიკაში. 2. საკრავი. 3. ქედი აღმოსავლეთ ციმბირში. 4. საღებავი. 8. ქალაქი საბჭოთა კავშირში. 10. მუხის ნაყოფი. 11. საცხოვრებელი ბინა. 12. ირტიშის შენაკადი. 13. ქვეწარმავალი. 14. ტბა ფინეთში. 15. ქალაქი საბჭოთა კავშირში. 16. გამოჩენილი ქართველი პოეტი. 18. მოკავშირე რესპუბლიკა. 20. ოლქი საბჭოთა კავშირში. 22. რესპუბლიკა ლათინურ ამერიკაში. 25. გამოძახილი. 26. მოუხარშავი ხორცი. 29. ყურძნის ჯიში. 30. გმირი ქალაქი. 31. მკვეთრი სუნის მქონე გაზი. 32. მდინარე ჩინეთში. 33. ნავსადგური ყირიმში. 37. ნ. ლომოურის მოთხრობა. 38. ქალაქი აფრიკაში. 39. თარიღი რომელიმე ღირსშესანიშნავი პირის ან მოვლენის აღსანიშნავად. 40. რიცხვი. 45. განსაზღვრული სივრცე. 47. მდინარე ციმბირში.

## ჟურნალ დროშის“ № 12-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

### ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

2. პირენეი. 6. ტუნისი. 7. ბილბაო. 9. ავტონომია. 11. სეატო. 12. ულტრა. 13. რეიდი. 15. მორჟვია. 16. ფალანგა. 18. აპოლონი. 20. იპრიტი. 22. შარადა. 23. რელიგია. 26. პიანო. 27. ნაიბი. 28. ადმინისტრაცია. 29. ანწლი

### ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. პერპენდიკულარი. 2. პასივი. 3. იდილია. 4. კურატორი. 5. ბაბილონი. 8. სეგმენტი. 10. არგატურა. 13. რამპა. 14. იფანი. 17. გლისანდო. 19. სარდინია. 21. ირონია. 22. შანხაი. 24. ლეგიონი. 25. განტელი.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: საახალწლო გადაცემა. ფოტოეტიუდი გ. თ ი კ ა ნ ა ძ ი ს ა.

მ ე ო თ ხ ე გ ვ ე რ დ ზ ე: მეხანძრე მ. ა. დარსამელია — საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჩემპიონი ორჭიდში.

ფერადი ფოტო გ. თ ი კ ა ნ ა ძ ი ს ა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ზ. ლეჟავამ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ.
ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-38.

ფასი 8 მან.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/57 წ. გამომც. № 133. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 735 უე 01204

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

სტამბოთა სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

# სტუდენტები სცენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა





მასხარა („მხიარული უინძორელი ქალების“ წამყვანი მსახიობი) — ლ. ჩიქვილაძე.

მარცხნიდან მარჯვნივ: კატო — ზ. ბერუჩაშვილი. ჟოდლე — გ. ილურიძე. მასკარილი — რ. მეგრელიშვილი, მადლონ — მ. მგალობლიშვილი („სასაცილო პრანჭია ქალები“).

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სტუდენტები ხალისითა და გულმოდგინებით ემზადებიან ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. როგორც ცნობილია, ფესტივალი ჩატარდება მოსკოვს, 1957 წლის ზაფხულში.

ამას წინათ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებმა უნივერსიტეტის სცენაზე წარმოადგინეს ორი პიესა. ფრანგულმა სექციამ დადგა მოლიერის ერთმოქმედებიანი კომედია „სასაცილო პრანჭია ქალები“, ხოლო ინგლისურმა სექციამ — შექსპირის „უინძორელი მხიარული ქალები“.

უნივერსიტეტის ფრანგული და ინგლისური ენების კათედრის პედაგოგთა მუყაითი მუშაობის შედეგად ქართველმა სტუდენტებმა შესანიშნავად გადმოსცეს დედანში შექსპირისა და მოლიერის ლამაზი, მაგრამ რთული დიალოგები. მაყურებლებმა კმაყოფილება გამოთქვეს სპექტაკლთა კარგი დადგმისა და სტუდენტთა აქტიორული თამაშის გამო. მოლიერის პიესა დადგა თბილისში პრაქტიკაზე მყოფმა კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. დობროვოლსკაიამ (ხელმძღვანელი რეჟისორი ხელ. დამსახურებული მოღვაწე ვ. ყუშიტაშვილი). „უინძორელი მხიარული ქალების“ დადგმა ეკუთვნის ნიკო ყიასაშვილს.

სტუდენტები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან, აგრძელებენ რეპეტიციებს, აზუსტებენ ცალკეულ მიზანსცენებს, „ასუფთავებენ“ ამა თუ იმ ფრაზების გამოთქმას. ამავე დროს ისინი ახალ პიესებსაც ამზადებენ. მათი მიზანია გაიმარჯვონ რესპუბლიკურ და საკავშირო კონკურსში და მონაწილეობა მიიღონ ფესტივალში. ამას გარდა, ეს ყველაზე საპასუხისმგებლო გამოცდა იქნება მათი ცოდნისა, რადგან მოსკოვში მსოფლიოს ყველა მხრიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს შორის მრავალი ინგლისელი და ფრანგი იქნება.



„მხიარული უინძორელი ქალები“ სერი ჯონ ფოლსტაფი (გ. ნიჟარაძე) და რობინი (ნ. გურაბანიძე).

— ცოტა თმები ავიწიოთ. ეს ჩვენს რეპუტაციასაც ასწევს („სასაცილო პრანჭია ქალები“).

მაროტა (თინა ჭილაძე) — პრანჭია ქალბატონების ეშმაკი და ჭკვიანი მოსამსახურე.







ეროვნული
ბიბლიოთეკა